

ისტორიული შეხვედრის პერსპექტივა წითელ მოედანზე A4



როცა ხარ სრულიად მარტო B5



ხომ არ ვიცეკვოთ? B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 31 მარტი, 2005 წელი. №72 (932)

ფასი 50 თეთრი


## სამართალი

მსჯავრდებულ დავით მირცხულავას ევროსასამართლოს იმედი აქვს



ათი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით - ასეთი განაჩენი გამოუტანა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მილერ ხარებავამ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას.

A7

## საზოგადოება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი გამოფენა-ფორუმი საქართველოში

საქმე, რომელსაც ვემსახურებით!

A4


იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7, B6



მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.


## ამინდი

| | 31/3 | 1/4 | 2/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 8 | 4 |
| ქუთაისი | 11 | 5 | 2 |
| ბათუმი | 6 | 2 | -2 |
| სოხუმი | 8 | 3 | 1 |
| ფოთი | 9 | 2 | -2 |
| თელავი | 8 | 7 | 2 |
| ზუგდიდი | 12 | 4 | 2 |
| გორი | 6 | 3 | 0 |
| ახმეტა | 9 | 8 | 4 |
| ჭიათურა | 8 | 3 | -1 |
| გაგრა | 7 | 6 | 3 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8340 |
| ევრო | 2.3767 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.4461 |
| რუბლი | 0.0659 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| რეკლამა | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მთავრობა პოლიტიკური სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას არ აპირებს

გიორგი ასანიშვილი



ვალერი ჩეჩელაშვილი მშვიდად პასუხობდა არც თუ მრავალ შეკითხვას.

ფინანსთა მინისტრმა ჯერ კიდევ ვერ აუღო ალღო პარლამენტში არსებულ ადათ-წესებს. ვალერი ჩეჩელაშვილი დიპლომატისთვის ჩვეული პუნქტუალობით გამოცხადდება ხოლმე საკომიტეტო მოსმენებზე და მორჩილად ელოდება, როდის ინებებენ დეპუტატები მობრძანებას. კომიტეტის სხდომები, უკეთეს შემთხვევაში, ნახევარი საათის დაგვიანებით იწყება. უსაქმოდ ყოფნას მიუჩვეველი ფინანსთა მინისტრი ამ პერიოდში კიდევ ერთხელ ამოწმებს საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებულ მონაცემებს, ან მობილური ტელეფონით არკვევს მისთვის საინტერესო საკითხებს. ამასობაში, პარლამენტარებიც იკრიბებიან და დაგვიანებისთვის ბოდიშის მოუხდელად, პირდაპირ "საქმეზე გადადიან".

ასეთი წვალებისა და ჯახირის მიუხედავად, საბიუჯეტო განხილვის პროცესი მაინც წინ მიდის. მით უმეტეს, ნოღაიდელის კაბინეტის მიერ პარლამენტში წარდგენილ დოკუმენტს "დასაწუნებელი" არაფერი სჭირს: ჯერ ერთი, როდესაც პროფიციტულ ბიუჯეტზეა ლაპარაკი, მთავრობის გასაკრიტიკებლად ძნელად თუ ვინმეს მოუბრუნდება ენა;

გაგრძელება A3 გვერდზე

# მე მინდა, რომ...







იხილეთ B3 გვერდზე

## "სახალხო ფორუმი" სახელმწიფოს ასაშენებლად

ახალი მცდელობა ქვეყნის დამოუკიდებლობიდან მე-14 წელს

ვერიკო თევზაძე

**"ბოლო 14 წლის განმავლობაში სამი დროშა გამოვიცვალეთ, სამჯერ დავიწყეთ სახელმწიფოს მშენებლობა. სამჯერ დაწყებული არასდროს დასრულდება... ჩვენ გვაქვს პიროვნული ღირსება და არ გვაქვს სახელმწიფოებრივი ღირსება. ჩვენ გვაწუხებს უბედური სახელმწიფოს კომპლექსი! ჩვენი თაობის მისიაა, საბოლოო სახე მისცეს ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს არის ბოლო მცდელობა... იმედი გვაქვს, ეს პატივი შემდგომ თაობას არ ეღირსება..." -** ეს ხმამაღალი განცხადება გუშინ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გააკეთა ახალმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გაერთიანებამ "სახალხო ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის."

გაგრძელება A8 გვერდზე

## სერგეი ბაგაფში: "დღეს საქართველოსთან საუბრისთვის ერთი თემა გვაქვს - ეკონომიკური ურთიერთობები"

ზურაბ აფხაზავა

*სოხუმიდან*

ოთხშაბათს, 30 მარტს, სერგეი ბაგაფშმა, აფხაზი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე, საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით რიგი განცხადებები გააკეთა.

ბაგაფშმა უარყო მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მხარეები მზად არიან, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე ისაუბრონ. **"ბევრჯერ გვითქვამს, რომ ჩვენი პოლიტიკური სტატუსის საკითხი უკვე განსაზღვრულია და მის განხილვას არავისთან ვაპირებთ,** - განაცხადა მან და დაამატა, - **დღეს ჩვენ საქართველოსთან მოლაპარაკებებისთვის ერთი თემა გვაქვს - ეკონომიკური ურთიერთობები."**

სოხუმის ლიდერმა მზადყოფნა გამოთქვა, აწარმოოს მოლაპარაკებები ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებზე, რასაც 2003 წლის 3 მარტის სოჭის შეთანხმება ითვალისწინებს: სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე და "ენგურჰესის" ერთობლივ ექსპლუატაციაზე.

**"ჩვენ ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ ბევრ სხვა საკითხებზე ვიღებთ წინადადებებს, მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ ამ პროექტებს განვიხილავთ. ასევე განხილვის საგანია გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნება,"** - თქვა ბაგაფშმა.

**"ჩვენი გეგმების თაობაზე არასწორი ინფორმაციის გავრცელების შედეგად, ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისაგან ვიგებთ ინფორმაციას, ჩვენი საზოგადოების საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრების თითქოსდა მზადყოფნაზე. ამაში არაფერი დადებითი არ არის, რადგან ჩვენი დიალოგი საქართველოსთან, რეალიების შესახებ არასწორი წარმოდგენის გამო, შესაძლოა დაწყებამდე დასრულდეს,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიიღეთ კრედიტი




0%-ად

## ბაზისბანკის
## საკრედიტო ბარათებზე

- კრედიტი გაიცემა გირაოს გარეშე;
- საკრედიტო ლიმიტი - 10 000 ლარამდე;
- ბარათზე საკრედიტო ლიმიტით სარგებლობა შესაძლებელია 1 წლის განმავლობაში.




დაკრედიტების 10 დღიანი* საშეღავათო პერიოდი ბაზისბანკის საკრედიტო ბარათების მფლობელებს

**დარეკეთ ახლავე: 922 922, 921 921**

* თქვენ საერთოდ არ მოგიწევთ პროცენტების გადახდა, თუ ყოველთვის შეძლებთ 10 დღის განმავლობაში დაფაროთ სესხი.

**www.bank.ge**

ბაზისბანკი

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 8 აპრილს, სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრება.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული პროცესებისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვის მიზნით, დაგეგმილია პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრები ნატო-ს გენერალურ მდივანთან იაპ დე ჰუუპ სჰეფერთან, ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან, ევროკავშირის ერთიანი და საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელთან ჰავიერ სოლანასთან, ნატო-ს საგარეო ურთიერთობებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისართან ბენიტა ფერერო ვალდნერთან, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბელგიის სამეფოს წარმომადგენლებთან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბრიუსელში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად გაემგზავრება და თბილისში 12 აპრილს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში მედეა ახალკაცმა თანამდებობა დატოვა და ისრაელში გაემგზავრა.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და აცხადებენ, რომ ახალკაცი შვებულებაში გავიდა და ისრაელში მეუღლესთან გაემგზავრა.

მედეა ახალკაცი პრეზიდენტის მრჩევლად გასული წლის 8 სექტემბერს, პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დღეს ქუთაისს ეწვევა. იგი მშობლიურ ქალაქს მაჟორიტარი დეპუტატის რანგში ესტუმრება. ბურჯანაძე ამომრჩევლებთან და სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებთან გამართავს შეხვედრებს. ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში ნინო ბურჯანაძე იმერეთის რეგიონის ქალაქებისა და რაიონების მერებსა და გამგებლებს მიიღებს, საღამოს კი ჟურნალისტებისთვის ბრიფინგს გამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა აშშ-ს დემოკრატიის განვითარების ფონდის პრეზიდენტი ბრიუს ჯექსონი და ამერიკელ ექსპერტთა დელეგაციის წევრები მიიღო.

შეხვედრაზე მხარეებმა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები განიხილეს.

აღნიშნული დელეგაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციისთვის შესაბამის რეკომენდაციებზე მუშაობს.

დელეგაციის წევრები, ასევე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ. ამის შესახებ განცხადება ესტონეთის პარლამენტის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლებმა გუშინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრისას გააკეთეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ვიზიტით მყოფი, ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელს თინათინ ხიდაშელს შეხვდნენ. შეხვედრის მთავარ თემას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები წარმოადგენდა. თინათინ ხიდაშელის განცხადებით, მან ამერიკელ ექსპერტებს ყველა ის პრობლემა გააცნო, რაც საქართველოში დემოკრატიის ხარისხსა და ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირდება. ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი, ბრიუს ჯექსონის ხელმძღვანელობით, რამდენიმე დღეა სტუმრობს საქართველოს. მათი ჩამოსვლა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში 10 მაისს დაგეგმილ ვიზიტს უკავშირდება. ამერიკელი ექსპერტები ქართულ მხარეს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის კონკრეტულ წინადადებებსა და რჩევებს შესთავაზებენ.

ამერიკელი ექსპერტები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრთანაც გეგმავენ შეხვედრას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ნავთობკომპანია "იუკოსის" უშიშროების სამსახურის თანამშრომელს ალექსეი პიჩუგინს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოსამართლემ განაჩენი ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის საბრალდებო ვერდიქტის საფუძველზე გამოიტანა. ნაფიცმა მსაჯულებმა პიჩუგინი დამნაშავედ ცნეს 2002 წელს "იუკოსის" ექსხელმძღვანელის მიხეილ ხოდორკოვსკის ყოფილ მრჩეველზე, ოლგა კოსტინაზე თავდასხმის ორგანიზებაში. განაჩენის მიხედვით, პიჩუგინი სასჯელს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხდის. საქმის მეორე ფიგურანტს - ალექსეი პეშკუნს სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ნაფიცმა მსაჯულებმა პეკშუნი თანამონაწილედ აღიარეს. ალექსეი პიჩუგინის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დანაშაულებში მონაწილეობა არ მტკიცდება. ამიტომ, ისინი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრებას აპირებენ. **ინტერ-პრესი**




# სერგეი ბაგაფში: "დღეს საქართველოსთან საუბრისთვის ერთი თემა გვაქვს - ეკონომიკური ურთიერთობები"

პირველი გვერდიდან

მანვე დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისათვის მზადყოფნა. **"მაგრამ ამისათვის გარკვეული გზის გავლაა საჭირო. შეხვედრა არა შეხვედრისათვის არის საჭირო, არამედ იმისთვის, რომ იყოს კონკრეტული საუბარი. ამიტომ, საჭიროა დრო, რომ წინასწარი სამუშაოები ჩატარდეს. მაგრამ დღეს, რატომღაც, წინ არის წამოწეული არა საუბრის თემატიკა, არამედ შეხვედრის ადგილი. არის შემოთავაზება, ის ბათუმში ან თბილისში გაიმართოს. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

მან ასევე კომენტარი გაუკეთა გერმანიის დიპლომატიური კორპუსის წინადადებას, მოლაპარაკებათა პროცესის ახალი სქემის შექმნის თაობაზე, როდესაც სტატუსის საკითხი გვერდზე გადაიდება, ხოლო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების საკითხები წინ წამოიწევა.

**"არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ახალი მიდგომების წინააღმდეგი არ ვარ. მსგავსი წინადადებები უკვე არაერთხელ შემოგვთავაზეს. ვფიქრობ, გახსოვთ დრო, როდესაც ქართულ მხარესთან ჩვენი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს ატარებდა. შეხვედრების შედეგიანობაზე დიდი იმედები მყარდებოდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ქართული მხარე, მოლაპარაკებათა პროცესში მონაწილეობისას, ყოველთვის მიზნად ისახავდა, საუბარი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსზე გადაეტანა. სწორედ ამის გამო, მოლაპარაკებებს შედეგი არც მოჰყოლია,"** - თქვა ბაგაფშმა.


*სერგეი ბაგაფში პრესკონფერენციაზე.*

პრესკონფერენციაზე პირველად წარმოადგინეს ეროვნული აფხაზური პასპორტი. მწვანე, სტანდარტულ წიგნში აღნიშნულია აფხაზეთის მოქალაქის პირადი მონაცემები, ასევე ეროვნება, შვილები და საცხოვრებელი ადგილი. ბაგაფშის თქმით, უკვე მიღებულია ახალი პასპორტების 245 ათასი ბლანკი, რაზეც 620 ათასი აშშ დოლარი დაიხარჯა.

სოხუმის ლიდერმა, ასევე, განაცხადა, რომ აფხაზეთის მოქალაქის პასპორტს გალის რაიონში მცხოვრები ყველა მსურველი მიიღებს. ამასთან, მან კატეგორიულად უარყო ინფორმაცია ორმაგი, ქართულ-აფხაზური მოქალაქეობის გაცემის შესაძლებლობის თაობაზე.

**"ერთდროულად საქართველოსა და აფხაზეთის მოქალაქეობა წარმოუდგენელია. უნდა გაკეთდეს არჩევანი. მაგრამ გარწმუნებთ, რომ გალის რაიონის მოსახლეობის უმეტესობა აფხაზეთის მოქალაქეობას ამჯობინებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გალის რაიონის მოსახლეობამ, საკუთარ ქვეყანაში თავი მეორეხარისხოვნად არ იგრძნოს,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

# ვერელები სამკუთხედის წინააღმდეგ

*გუშინ ვერის უბნის მცხოვრებლებმა ე.წ "სამკუთხედის" გაუქმების მოთხოვნით კოსტავას გამზირი გადაკეტეს. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც მათთან დაგეგმილ შეხვედრაზე არ მოვიდნენ ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი გიგი წერეთელი და მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე.*

თამარ დვალი

**"ნიკოლაძის ქუჩაზე ცხოვრება და გაზის კამერაში ჯდომა ერთი და იგივეა. მეხუთე სართულამდე ვინც ცხოვრობს, დილაობით ყველას ყელის წვა აწუხებს. ასეთი მდგომარეობა ზამთარში რომ იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაგვემართება ზაფხულში? ეკოლოგიის სამსახურმა შეისწავლა მდგომარეობა და გვითხრეს, რომ ასეთი ატმოსფერო კიბოს გამომწვევია. ამ ბოლო დროს საგრძნობლად იმატა ავტოსაგზაო შემთხვევებმაც. არ მუშაობს შუქნიშნები, რის გამოც გზაზე გადასვლას ვერ ვახერხებთ. უამრავჯერ მივმართეთ მერიას, ჩვენი რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ გიგი წერეთელს, თუმცა ჩვენი პრობლემით არავინ დაინტერესებულა. ახლა პრეზიდენტის სახელზე დავწერეთ განცხადება, იქნებ იმან მაინც მოგვაქციოს ყურადღება,"** - აცხადებდნენ ქალაქის მთავრობასთან და მაჟორიტარ დეპუტატთან შესახვედრად მისული ვერელები.

ცოტა ხანში გაირკვა, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილი ამსტერდამში გამგზავრების, ხოლო გიგი წერეთელი კი ირლანდიაში გამგზავრების გამო ვერ ახერხებდნენ მოსვლას. მაჟორიტარ დეპუტატს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა გამოგზავნილი.

**"დეპუტატობა როცა უნდოდა, მაშინ რატომ არ აგზავნიდა თავის წარმომადგენელს? ახლა დავდგეთ და ვისმინოთ, რა დაგვიბარა წერეთელმა?"** - ცხარობდნენ ნიკოლაძის ქუჩის მცხოვრებლები. მათი თქმით, "ზერმუდის სამკუთხედის" შემოღებით, მთავრობამ ვერელებს "გენოციდი" მოუწყო.

როგორც გიგი წერეთლის წარმომადგენელმა მანანა ქუთათელაძემ განაცხადა, მათთვის მოსახლეობას ოფიციალურად არასდროს მიუმართავს. **"ჩვენთან არ დევს მოსახლეობის განცხადება. წერეთელმა თავისი ინიციატივით მიმართა ქალაქის მერიას, რომ გაეუქმებინათ სამკუთხედი, რაზეც თებერვალში თანხმობა მიიღო, შემდეგ კი - უარი,"** - განაცხადა ქუთათელაძემ.

რადგანაც ოფიციალური პირებიდან მოსახლეობასთან შესახვედრად არავინ მივიდა, მათ კოსტავას გამზირი რამდენიმე წუთით გადაკეტეს. **"ამ სახელმწიფოში ან გზა უნდა გადაკეტო, ან შიმშილობა უნდა დაიწყო, რომ ყურადღება მოგაქციონ. მოგვხედოს ვინმემ, სანამ ყველანი არ დავვაადდებით,"** - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

აქციის მონაწილეებთან საუბარი მერიის ტრანსპორტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა ირაკლი მურღულიამ სცადა, რომელსაც აქციის მონაწილეები აგრესიით შეხვდნენ.

**"ჩვენ შევისწავლეთ ვითარება და ახალ პროექტზე ვმუშაობთ. ის, რომ ძველი სქემა აღდგეს, შეუძლებელია, ვინაიდან საგრძნობლად იმატა მანქანების რიცხვმა და ვერც სამკუთხედის გაუქმება მოგვცემს დადებით შედეგს. დადგენილება, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ მოეწერა ხელი, კრძალავს ამ ტერიტორიაზე მანქანების გაჩერებას. მის მიხედვით მოეწყობა სპეციალური ჯებირები, რომელიც ქვეით მოსიარულეებს დაიცავს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ირაკლი მურღულიამ.

# მთავრობა პოლიტიკური სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას არ აპირებს

პირველი გვერდიდან

მეორეც, ოპოზიცია კვლავ ჯიუტად ადგას საპარლამენტო მუშაობის ბოიკოტირების ტაქტიკას და, ამდენად, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის "სიტყვის შემბრუნებელი", ფაქტობრივად, არავინ არის.

თუმცა, ზოგიერთი "კონსერვატორი" ხანდახან დასაზვერად მაინც შეივლის ხოლმე კომიტეტის სხდომაზე და პარტიულ ინტრიგებში გამოუცდელი მინისტრის "გამოჭერას" ცდილობს. ოპოზიციონერი პარლამენტარების (ბიძინა გუჯაბიძე, ზვიად ძიძიგური) არგუმენტაცია, საბოლოოდ, ერთ საკითხამდე დაიყვანება: "ბიუჯეტის გაზრდა საპრივატიზაციო შემოსავლებზეა გათვლილი, მაშინ, როდესაც მთელი რიგი ტენდერები ჩაშლის პირას არის მისული"...

ოპოზიციის "ეჭვების" გაქარწყლება ვალერი ჩეჩელაშვილისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ფინანსთა მინისტრის განმარტებით, "ჭიათურმარგანეცის" მყიდველს დეპოზიტზე 20 მილიონი დოლარი აქვს დადებული, რაც იმის გარანტიაა, რომ ტენდერის პირობები შესრულდება.

**"რომც არ შესრულდეს, არც ეს იქნება დიდი უბედურება. მოვლენების ასეთი განვითარება, შეიძლება, უკეთესიც კი იყოს - 20 მილიონიც დაგვრჩება და იგივე ფასში ობიექტის ხელახლა გაყიდვაც არ გაგვიჭირდება,"** - აცხადებს ვალერი ჩეჩელაშვილი.

მისივე მტკიცებით, იმის გარანტიებიც არსებობს, რომ საოკეანო სანაოსნოს გაყიდვით, სახელმწიფო ბიუჯეტში, მინიმუმ, 89 მილიონი დოლარი შევა.

**"მყარი გარანტიები რომ არ გვქონდეს, პარლამენტში ბიუჯეტის გაზრდის მოთხოვნით არ შემოვიდოდით, რადგან საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების თვითმკვლელობით დასრულებას არ ვაპირებთ,"** - მინისტრთა კაბინეტის სახელით საუბრობს ვალერი ჩეჩელაშვილი.

ისე, ოპოზიცია რომც არ არსებობდეს საქართველოს პარლამენტში, მას მაინც "გამოიგონებდნენ" - გაზრდილი ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში კრიტიკული შენიშვნებით, ძირითადად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები გამოდიან. მაგალითად, "24 საათი" უკვე წერდა, რომ სახელისუფლებო ფრაქციის წევრებმა არაერთი საყვედური აკადრეს მთავრობას სასაზღვრო უწყების არასათანადოდ დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე საკომიტეტო მოსმენებმა ისიც დაადასტურა, რომ მადა ჭამაში მოდის: რაც მეტი თანხა გამოიყოფა ცალკეულ სფეროებზე, დეპუტატები უფრო მეტს ითხოვენ. მაგალითად, ბიუჯეტის პროფიციტით საკმაოდ "იხეირებს" განათლების სისტემა, რომელიც "ზეგეგმიურ" 17 მილიონ ლარს მიიღებს. მიუხედავად ამისა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით კირკიტაძემ ვალერი ჩეჩელაშვილს დამატებით კიდევ სამ მილიონი ლარი მოსთხოვა რეგიონებში სპორტული მოედნებისა და დარბაზების კეთილმოწყობისათვის.

ფინანსთა მინისტრს, ცხადია, ყველა თხოვნის დაკმაყოფილება არ შეუძლია. ამიტომ, ის დელიკატურად პასუხობს დეპუტატებს, რომ მიმდინარე წელს კიდევ ერთხელ მოხდება ბიუჯეტის გაზრდა და დეპუტატების "დანარჩენ" სურვილებს მთავრობა მაშინ დააკმაყოფილებს.

# რევოლუციური ქვეყნების საგარეო მინისტრები ყირგიზეთში

საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები სალომე ზურაბიშვილი და ბორის ტარასიუკი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ყირგიზეთს ეწვევიან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება 29 მარტს, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ იქნა მიღებული.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის თვითმფრინავი თბილისში დღეს დაეშვება და მას ყირგიზეთში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გაჰყვება. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული ვიზიტის მიზანია სიტუაციის ადგილზე გაცნობა და იმ ხალხთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება, რომელსაც ამჟამად ყირგიზეთის ბედი აბარია. სავარაუდოდ, იგეგმება შეხვედრა ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან როზა ოტუმბაევასთან. აღნიშნული ვიზიტის დროს, ყირგიზეთში ჩავა ასევე ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი რუპელიც. **ინტერ-პრესი**

## მიმდინარეობს ჩოლოქის ხიდის მშენებლობა

ჩოლოქის ხიდის მშენებლობა გრძელდება. როგორც ცნობილია, ასლან აბაშიძემ თავისი დიქტატორული რეჟიმისათვის სახიფათოდ მიჩნეული აჭარის მოსაზღვრე რეგიონებთან შემაერთებელი ხიდები ააფეთქა. თითქმის ერთი წელიწადია აქ მგზავრები დროებითი ხიდით სარგებლობენ. 2005 წლის 1 თებერვლიდან კი მდინარე ჩოლოქზე ახალი კაპიტალური ხიდის მშენებლობას აწარმოებს სააქციო საზოგადოება "ორიონი", რომლის გენერალური დირექტორის მოადგილის, მამუკა მესხის განცხადებით, 21 მეტრი სიგრძისა და 11 მეტრი სიგანის ხიდის მშენებლობა გრაფიკით 8 აგვისტოსთვის უნდა დასრულდეს, მაგრამ მშენებელთა დიდი სურვილია, ხიდის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალი წლეულს 26 მაისს შედგეს. ამ მიზნის მისაღწევად, უამინდობის მიუხედავად, ისინი შეუსვენებლად მუშაობენ. ამჟამად ხიდის ბურჯების დაბეტონება-ამოყვანა მიმდინარეობს.

## კინოთეატრ "ოზურგეთის" რემონტი ამ დღეებში დაიწყება

ამ ორიოდე წლის წინ იყო მცდელობა კინოთეატრ "ოზურგეთის" გაცოცხლებისა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საზოგადოება გადაჩვეულიყო ამ სანახაობას. კინოს უფრო ბავშვები ეტანებოდნენ, ფართო ეკრანის ხიბლით, შემდეგ კი მათაც დაკარგეს ინტერესი.

გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აზრით, კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებით უნდა დაიწყოს ხალხში დადებითი მუხტის შეტანა. ეკონომიკის, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის რეაბილიტაციას დიდი დანახარჯები სჭირდება, კულტურული ობიექტების გაცოცხლება კი უზარმაზარ მატერიალურ რესურსებს არ მოითხოვს. თანაც, არ შეიძლება ქალაქის ცენტრში გვერდიგვერდ იდგეს სამი უფუნქციო შენობა (სახელმწიფო თეატრი, კინოთეატრი, მუზეუმი). სწორედ ამიტომაც, ჟანი კალანდაძის მოთხოვნით, ამ რამდენიმე დღეში კინოთეატრ "ოზურგეთის" რემონტი დაიწყება, შეკეთდება სახურავი, საერთოდ განახლდება ინტერიერი, შეძენილია ახალი თანამედროვე აპარატურა.

## ოზურგეთის პროკურატურამ ახალმოსახლეობა იზეიმა

ოზურგეთის პროკურატურამ, რომელიც წლების მანძილზე ხან გაერთიანებული ქართული ბანკის ოზურგეთის ფილიალს, ხანაც ყოფილი ქალაქვაჭრობის შენობას იყო შეკედლებული, ახალმოსახლეობა იზეიმა. ოზურგეთელი სამართალდამცავები ამიერიდან საკუთარ, ორსართულიან კომფორტაბელურ შენობაში გააგრძელებენ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას. ცენტრში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების უსახური და ავარიული შენობა, საფუძვლიანი რემონტის შემდეგ, ქალაქის ერთ-ერთ დამამშვენებელ ნაგებობად გადაიქცა. სარემონტო თანხების დიდი ნაწილი საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკურმა დეპარტამენტმა გაიღო. შენობის აღდგენაში წილობრივი მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის რაიონულმა გამგეობამ. პროკურატურა ახალი კომპიუტერული ტექნიკით, ინვენტარით არის აღჭურვილი. პროკურატურის შენობის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ოზურგეთის პროკურატურის მუშაკებს შესანიშნავი პირობები შეექმნათ მუშაობისათვის. ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის, იმერეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის პროკურატურებში.

*თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან*

# საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი გამოფენა-ფორუმი საქართველოში

საქმე, რომელსაც ვემსახურებით!

მართალია, საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობა "ახალი ხილი" არ არის, მაგრამ რამდენიმე გამონაკლისის გარდა მათი საქმიანობის შესახებ მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული. საზოგადოების გარკვეული ნაწილი "მესამე სექტორის" პასიურობას სხვადასხვა მიზეზით ხსნის. თავად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მათ ნორმალური მუშაობის საშუალებას ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები არ აძლევდნენ და პერმანენტულად მათ დისკრედიტაციას ახდენდნენ. ხოლო ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივი სექტორის მრავალი წარმომადგენელი სახელმწიფო სტრუქტურებში მიიწვია. როგორ თავად NGO-ების წარმომადგენლები აცხადებენ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მესამე სექტორშიც მოხდა პატარა რევოლუცია. ამის ნათელი მაგალითი კი ის ფორუმია, რომელიც 2-3 აპრილს "ექსპო-ჯორჯიის" ტერიტორიაზე გაიმართება.



ინდირა ამირანაშვილი



რამაზ აფციაური

არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის არცთუ მცირე ხნიან ისტორიაში ფართომასშტაბიანი ფორუმი პირველად იმართება. გაეროს ასოციაციის დირექტორის რამაზ აფციაურის თქმით, ფორუმისთვის მზადებას სამი წლის წინ, 2002 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, როდესაც USAID -ის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში " სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის" განხორციელება დაიწყო.

აქვე გეტყვით, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"-ს, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით გახდება შესაძლებელი იმ ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც ამ ორგანიზაციებს მოქალაქეთა ინტერესების ეფექტური დაცვისა და მათი ლობირების საშუალებას მისცემს.

"ფორუმის მიზანია სამოქალაქო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. რამდენიმე წლის წინ სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე ძალზე მწირ ინფორმაციას ფლობდა. მათთვის საერთოდ არ იყო ცნობილი, იმ ორგანიზაციების არსებობის შესახებ, რომლებიც ვიწრო პროფილით მუშაობენ," - ჩვენთან საუბარში განაცხადა საქართველოს გაეროს ასოციაციის დირექტორმა, რამაზ აფციაურმა, რომელიც თვლის, რომ ამ სექტორის წარმომადგენლების ურთიერთთანამშრომლობა სხვა სტრუქტურებისთვის შეიძლება მისაბაძიც კი იყოს.

აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გამოცდილების გაზიარებას; ურთიერთთანამშრომლობის, კოორდინირების და პატივისცემის განმტკიცებას; საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობასა და გაწეულ წვლილზე; "სამოქალაქო საზოგადოების მეგობრების" წვლილის და მოღვაწეობის გამოვლენასა და დაფასებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი გამოფენა-ფორუმი სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ინიციატივას წარმოადგენს, რომლის მიზანია არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის წარმოჩენა როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების, სამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი დონორებისა და ბიზნეს წარმომადგენლებისათვის. გამოფენა-ფორუმი ასევე ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას ქვეყნის განვითარების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეტანილი წვლილის შესახებ.

ფორუმი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი "მესამე სექტორის" საქმიანობას შეეხება, მეორე ნაწილს პირობითად გამოფენა დავარქვით, რადგან "ექსპო-ჯორჯიაში" გამოიფინება ინფორმაცია ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. მსურველს შესაძლებლობა ექნება დაინტერესებისამებრ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მის მიერ დასმულ კითხვაზე. მესამე, ბოლო ნაწილი ფორუმის დახურვის ცერემონიალია, სადაც საზეიმო ვითარებაში დაასახელებენ "სამოქალაქო საზოგადოების მეგობარს", ანუ გამოვლენილი იქნებიან ის ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და განვითარებაში. ეს სამეული უკვე შერჩეულია, თუმცა მათი ვინაობა 3 აპრილამდე საზოგადოებისთვის გასაიდუმლოებული რჩება. ამ საინტერესო ჯილდოების მფლობელებს 7 კაციანი ჟიური გამოავლენს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

1. დავით დარჩიაშვილი - ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", აღმასრულებელი დირექტორი.
2. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის საზოგადოება, აღმასრულებელი დირექტორი.
3. ვახტანგ ბუცხრიკიძე - "თიბისი ბანკის" პრეზიდენტი.
4. თამუნა ჩიქოვანი - რადიო "თავისუფლება", მთავარი რედაქტორი.
5. ანი დოლიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გამგეობის თავმჯდომარე.
6. თენგიზ შერგელაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, გამგეობის თავმჯდომარე.
7. ლევან ხარატიშვილი - სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი, აღმასრულებელი დირექტორი.

გამოფენაში მონაწილე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიეცემათ საშუალება, წარმოადგინონ თავიანთი ბეჭდვითი ნამუშევრები - სხვადასხვა სახის პუბლიკაციები და მასალები. მათ ასევე მიეცემათ საშუალება, მოახდინონ პრეზენტაცია თავიანთი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ.

"ჩვენი პროგრამის ფარგლებში ორი წლის წინ ჩავატარეთ საზოგადოებრივი აზრის კვლევა. გამოკითხული იქნა 1200 რესპონდენტი და ძალიან ცუდი შედეგი მივიღეთ. აღმოჩნდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია ფაქტობრივად არ ჰქონდა, ვინმემ თუ რამე იცოდა აუცილებლად უარყოფითად იყო განწყობილი. დღეს სიტუაცია უკეთესობისკენ არის შეცვლილი, თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ჩვენი სექტორის რეკლამირება და არასამთავრობო ორგანიზაციათა მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება," - აცხადებს საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"-ს წარმომადგენელი ინდირა ამირანაშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები "მესამე სექტორის" მუშაობას ყველაზე გამჭვირვალეს უწოდებენ. ფორუმის გამართვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სხვა დანარჩენთან ერთად, NGO-ების საქმიანობის ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანაც გახლავთ, რათა საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია არასამთავრობო სექტორის მრავალფეროვანი სერვისებისა და საქმიანობის შესახებ.

# ღია წერილი

## სასამართლო ხელისუფლება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა იყოს

დღეს, როდესაც საქართველო დგას დემოკრატიის განმტკიცების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ურთულეს გზაზე, მნიშვნელოვანია ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია კანონის უზენაესობა, რომელიც მიიღწევა ქვეყნის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის განუხრელი დაცვით. ეს უკანასკნელი კი, სხვა პრინციპებთან ერთად, ცალსახად განამტკიცებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს. სასამართლო ხელისუფლების რეალურ დამოუკიდებლობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ზოგადად, ქვეყნისა და, კონკრეტულად, მისი ხელისუფლების პრესტიჟი როგორც საკუთარი მოსახლეობის წინაშე, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლება ჩვენი დროის მთავარი და მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომლის არასათანადოდ შეფასება, გაუფასურება ან საერთოდ უგულებელყოფა თვით ქვეყნის დაკნინების ტოლფასია.

როდესაც ვსაუბრობთ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე, ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ ამით ვიცავთ თითოეული მოსამართლის უფლებას, იყოს დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და არ განიცდიდეს ზეწოლას ხელისუფლების რომელიმე შტოს წარმომადგენელთა მხრიდან, არამედ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მთლიანად საზოგადოების ინტერესებს, ვინაიდან, თუ არ არსებობს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლება, მაშინ შეუძლებელი გახდება ყოველი ადამიანის მიერ მისთვის ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით მინიჭებული ისეთი მნიშვნელოვანი უფლების განხორციელება, როგორიცაა უფლება სამართლიან სასამართლოზე. ამით კი საფრთხე შეექმნება მთლიანად დემოკრატიული საზოგადოების ნორმალურ არსებობას.

დღეს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს ერთ ურყევ პრინციპს - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში ექნება აზრი ასეთი რეფორმის განხორციელებისაკენ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, იქნება ეს მოსამართლეთა თუ სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებულ სხვა მოხელეთა საკვალიფიკაციო გამოცდები, მათი ატესტაციები და ა.შ.

აღნიშნული პრინციპი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლის პასუხისმგებლობა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო, ერთი ათად იზრდება. ეს მეტ მორალურ უფლებას გვაძლევს, უკიდურესად კრიტიკულნი ვიყოთ და მაქსიმალურად სკრუპულოზურად შევაფასოთ ასეთი სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერება. ანუ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის პირდაპირპროპორციულად იზრდება მათი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსამართლეებმა გააცნობიერონ თავიანთი დამოუკიდებლობის არსი, ის, თუ რა იგულისხმება ამ პრინციპის არსში, რა შინაარსი დევს მასში. მათ უნდა გაითავისონ, რომ ემორჩილებიან კანონს და მხოლოდ და მხოლოდ მას. არაფერს და არავის აქვს უფლება, მოახდინოს მოსამართლეზე ზეწოლა, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თითოეული მოსამართლისა და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დაცვა დისკრედიტაციისაგან, რაც უეჭველად მოჰყვება ხელისუფლების სხვა შტოების ან პოლიტიკური ძალების მხრიდან მოსამართლეებზე უკანონო ზემოქმედებისა და მართლმსაჯულებაში ჩარევის აშკარა მცდელობებს, რაც არამც და არამც არ უნდა დავუშვათ.

ისეთ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს, საერთაშორისო ასპარეზზე თავისი ადგილი დაიმკვიდროს, როცა საკუთარ თავს მიიჩნევს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დამცველად, არ უნდა გვიხდებოდეს საუბარი ისეთი პირველადი და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრინციპის დაცვაზე, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. მით უფრო, რომ დღეს არა მარტო ჩვენი ასოციაცია, არამედ კიდევ სხვა მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციაა მოწოდებული, ყველაფერი გააკეთონ ამ პრინციპის დასაცავად. ბოლოს და ბოლოს, თავად ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკაა მიმართული იქითკენ, რომ წარმატებით განხორციელდეს და დაგვირგვინდეს სასამართლო რეფორმა, რისი საფუძველიც სწორედ რომ რეალურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ყოველგვარი ზეწოლისაგან თავისუფალი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების უზრუნველყოფაა. სასამართლო რეფორმის ყველა სხვა თანამდევი პროცესი ამ მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს, ქვეყანაში მოქმედი ყველა პროგრესული ძალა ამ მიზნისკენ უნდა ილტვოდეს, რაც საბოლოოდ განაპირობებს კიდეც ეფექტიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებას ქვეყანაში. თავად სასამართლო რეფორმა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების სულით უნდა იყოს გაჟღენთილი და ამ იდეით უნდა საზრდოობდეს.

ყველამ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები, რათა ყოველივე ზემოთქმული ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს და, როგორც დღევანდელი სასამართლო რეფორმის მესვეურებმა, "ვაი რეფორმატორების" სახელი არ დავიმკვიდროთ მომავალ თაობაში. ჩვენი ხელისუფლების და ზოგადად ამ პროცესში ჩაბმული ყველა სუბიექტის დევიზი უნდა იყოს - "რეფორმა ხალხისათვის" და არა "რეფორმა რეფორმისათვის". "რეფორმა ხალხისათვის" კი გულისხმობს კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას, რაც, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში უნდა აისახოს. ეს კი, თავის მხრივ, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

*საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია*

უცხოეთი

# ისტორიული შეხვედრის პერსპექტივა წითელ მოედანზე



*9 მაისს მოსკოვში კიმ ჩენ ირსაც ელიან.*

9 მაისს მოსკოვში, შესაძლოა, ისტორიული შეხვედრა შედგეს. როგორც გუშინ შორეული აღმოსავლეთის ფედერალურ ოლქში რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა კონსტანტინ პულიკოვსკიმ განაცხადა, დიდია ალბათობა, რომ მოსკოვში ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად ჩრდილოეთი კორეის ლიდერიც ჩავიდეს. ამგვარად, კრემლი, შესაძლოა, ერთმანეთის დაუძინებელი მტრების - აშშ-სა და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების შეხვედრის ადგილი გახდეს.

სამშაბათს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ჩრდილოეთი კორეა "მსოფლიოში ყველაზე ტოტალიტარულ სახელმწიფოდ" არის დასახელებული. ამერიკელი დიპლომატების დასკვნით, კომუნისტური კორეის რეჟიმი ყველაზე "რეგრესიულია" დედამიწაზე. სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეაში ციხეებსა და ბანაკებში 150 ათასიდან 200 ათასამდე ადამიანი იმყოფება. ამას გარდა, ფხენიანი ყველაზე "მილიტარისტულიც" არის - თუ ფხენიანის განცხადებებს ვენდობით, ჩრდილოეთი კორეა უკვე ფლობს ბირთვულ იარაღს და მისი არსენალის გაზრდაზეც ზრუნავს.

ასე რომ, "მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის" პრეზიდენტს 9 მაისს მთავარი იდეოლოგიური ოპონენტის პირისპირ ნახვის შესაძლებლობა ეძლევა.

"კიმ ჩენ ირის მოსკოვში ზეიმზე ჩამოსვლა ნამდვილად მოსალოდნელია," - განუცხადა პულიკოვსკიმ გუშინ სააგენტო "ინტერფაქსს". ამასთანავე, დაადასტურა, რომ მოსკოვის ოფიციალური მიწვევა კორეის დიქტატორს უკვე მიღებული აქვს.

ვაშინგტონში, ჯერჯერობით, კომენტარს არ უკეთებენ ჯორჯ ბუშისა და კიმ ჩენ ირის "შემთხვევითი" შეხვედრის პერსპექტივას. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათთვის აქამდეც ცნობილი იყო მოსკოვში "ბოროტების ღერძის" ერთ-ერთი წევრის მიწვევის შესახებ. ასე რომ, "გამარჯვების დღის" ზეიმზე, შესაძლოა, სრულიად მოულოდნელი გადაწვეტილებების მომსწრენიც კი გავხდეთ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯორჯ ბუში რუსეთში ვიზიტის დასრულებისთანავე საქართველოსა და ლატვიაში აპირებს ჩასვლას. თუ გავიხსენებთ მოსკოვის გართულებულ ურთიერთობებს ამ ქვეყნებთან, გამორიცხული არ არის, რომ კიმ ჩენ ირის დაპატიჟება კრემლის საპასუხო პროვოკაციაც იყოს.

*24 საათი*

# ჩინელები იაპონიის წინააღმდეგ

მილიონობით ჩინელი აპროტესტებს გაერო-ს უშიშროების საბჭოში იაპონიის მუდმივი წევრის სტატუსით მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ ჩინეთის სამ უდიდეს ინტერნეტ-პორტალზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. შეგახსენებთ, გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ 20 მარტს წარდგენილ ორგანიზაციის რეფორმირების გეგმაში, იაპონიისთვის უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრის სტატუსის მინიჭებაა გათვალისწინებული.

ჩინური საინფორმაციო სააგენტო "ჩინჰუა"-ს ინფორმაციით, სამშაბათს იაპონიის წინააღმდეგ ხელმომწერთა რიცხვმა 11,5 მილიონს გადააჭარბა. ამავდროულად, როგორც სააგენტო იუწყება, "ონლაინ-პეტიციას", ჩინეთის გარდა, კიდევ 153 ქვეყნის წარმომადგენელი აწერდა ხელს.

აქციის ორგანიზატორი ერთ-ერთი ინტერნეტ-გვერდის "სინა.კომ"-ის რედაქტორი აცხადებს, რომ ეს პეტიცია გაერო-ს, იაპონიის საელჩოს ჩინეთში და ჩინეთის ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს გადაეცემა რეაგირებისთვის.

როგორც მიმომხილველები აცხადებენ, ჩინეთში ასეთი მასობრივი პროტესტი ამ ქვეყნისადმი იაპონიის პოლიტიკითაა განპირობებული. ჯერ კიდევ კომუნისტური ქვეყნის მცხოვრებთა აღშფოთებას იაპონიის "ისტორიისადმი არასწორი დამოკიდებულებაც" ამძაფრებს.

ჩინეთში მიიჩნევენ, რომ ოფიციალური ტოკიო დამახინჯებულად ასახავს, უფრო მეტიც, ხშირად საერთოდ მალავს გასული საუკუნის 30-40-იანი წლებში იაპონიის აგრესიის ფაქტებს მეზობლების მიმართ.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლიუ ძიანჩაომ აღნიშნა, რომ ჩინური ინტერნეტ-გვერდების მიერ ხელმოწერების შეგროვება იაპონიის წინააღმდეგ მიმართულ აქციად არ უნდა ჩაითვალოს. მისი თქმით, ჩინელთა მსგავსი ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ მოწოდებაა იაპონიისადმი, რათა მან "ისტორიული პრობლემების მიმართ სწორი და პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულება გამოამჟღავნოს".

ჩინელ კომპიუტერის მომხმარებელთა აქციას, ჯერჯერობით, ტოკიოს მხრიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თუ "ინტერნეტ-პროტესტმა" პეკინის ოფიციალური პოზიციის სახე შეიძინა, ალბათ, იაპონიის ოცნებას უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრობაზე ასრულება აღარ უწერია. შეგახსენებთ, დღეისთვის უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან ერთ-ერთი ჩინეთია და, შესაბამისად, ვეტოს უფლებით სარგებლობს; ანუ მის უარს იაპონიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

*24 საათი*

**ერაყი.** გასული 24 საათის მანძილზე ამერიკელმა სამხედროებმა ერაყელ კოლეგებთან ერთად ერაყის სხვადასხვა ქალაქში ბოევიკთა ბაზების აღმოჩენისა და ლიკვიდაციის ოპერაციები ჩაატარეს. სააგენტო "კუნა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დიალას პროვინციაში, ქ. ბააქუბაში 25 შეიარაღებული ექსტრემისტი დააკავეს, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ მოსულში აყვანილ იქნა ათობით მოქალაქე, რომლებსაც ბრალი ბოევიკებთან კავშირში ედებათ. გარდა ამისა, ჩხრკეისას ამავე ქალაქებში აღმოჩენილ იქნა იარაღისა და საბრძოლო მასალების რამდენიმე სამალავი.

მოსულში, ეჭვმიტანილი პირების გარდა, ადგილობრივი უნივერსიტეტის 4 სტუდენტიც დააკავეს, რომლებსაც ბრალი პირდაპირ ტერაქტების მომზადებასა და განხორციელებაში ედებათ.

როგორც ირკვევა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ მოსულის უნივერსიტეტის პროფესორები თავს განსაკუთრებულად უსაფრთხოდ არ გრძნობდნენ, ამიტომ მრავალმა მათგანმა დიდი ხანია, დატოვა ერაყის ტერიტორია და საცხოვრებლად მეზობელ არაბულ სახელმწიფოებსა თუ ევროპას მიაშურა. მათ კი, ვინც კოლეგების მაგალითს არ მიჰბაძა, უსაფრთხოების გარანტიები დღესაც არ აქვთ. მაგალითისთვის, ორიოდე დღის წინ ქალაქის გარეუბანში ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორის ვაადულ აბდელ კადირის გვამის აღმოჩენაც საკმარისია. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**სუდანი.** სამშაბათს გაერო-ს უშიშროების საბჭომ აშშ-ს მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია მიიღო, დარფურის პროვინციაში შექმნილი მდგომარეობის გამო, სუდანის ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო სფეროში ემბარგოს დაწესების შესახებ. აღნიშნული რეზოლუციის მიღებას საბჭოს 15 წევრი-სახელმწიფოსაგან მხარი მხოლოდ 12-მა დაუჭირა. თავის შეიკავეს ალჟირმა, ჩინეთმა და რუსეთმა.

"დარწმუნებული ვართ, დარფურში შექმნილი მდგომარეობის რეგულირებისათვის დიპლომატიურ-პოლიტიკური საშუალებების მთელი პოტენციალი ჯერ არაა ამოწურული; მით უმეტეს, რომ იქ გაერო-ს სამშვიდობო ოპერაცია იწყება. მეეჭვება, რომ სანქციების შემოღებამ კონსტრუქციული გზით წარმართოს სუდანის გაერთიანებული ხელისუფლების მოქმედება, რომელიც, თავის მხრივ, ნაირობის შეთანხმებას ეყრდნობა", - განაცხადა გაერო-ს უშიშროების საბჭოში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ანდრეი დენისოვმა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ევროპა.** ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომისიამ ოთხშაბათს 2007 წლის 1 იანვრისათვის ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების საკითხი განიხილა და მხარიც დაუჭირა. კენჭისყრა ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეაში მიმდინარე წლის 13 აპრილს ჩატარდება, რის შემდეგაც ხელი მოეწერება შეთანხმებას და საბოლოო რატიფიკაციისათვის წევრი-სახელმწიფოების ხელისუფლებებს გადაეცემა.

ევროკავშირში ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელი 2 ქვეყნის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ზემოხსენებული მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გასული წლის ივნისში დასრულდა. მაშინ ევროპელმა მაღალჩინოსნებმა ბულგარეთს ბოშების, რომლებიც ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ, პრობლემის მოგვარებისკენ მიუთითეს. რუმინეთში კი კრიტიკის საგნად სიტყვის თავისუფლებისთვის არახელსაყრელი პირობები და ქვეყანაში პროსტიტუციის მზარდი ტენდენცია იქცა. იმის მიუხედავად, რომ სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ორივე ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, გატარებული რეფორმები მაინც არასაკმარისია ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებისათვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აღიარეს საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებად. ევროკავშირში გაწევრიანება კი მათთვის სერიოზულ კომერციულ კონკურენციაში ჩაბმას ნიშნავს. **ბი ბი სი**


# გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ!

2005 წლის 4 აპრილიდან იხურება საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი საგადასახადო და საბაჟო ორგანოების, ასევე არასაგადასახადო შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშები და გადასახადების გადახდა იწარმოებს უშუალოდ ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე, 9 ნიშნიანი სახაზინო კოდების მეშვეობით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საგადასახადო ორგანოებს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე ცენტრალურ და რეგიონალურ სახაზინო სამსახურებში და საბაჟო ორგანოებში.

ელექტრონული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.mof.ge

*საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

**BR ბანკი რესპუბლიკა**




# ბანკი "რესპუბლიკა" ყველაზე ეფექტური ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# პარლამენტი "ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ" კანონპროექტს ეწინააღმდეგება

*"ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ" კანონპროექტს პარლამენტში კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. გუშინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა აღნიშნული კანონპროექტი განიხილა, თუმცა მისთვის კენჭი არ უყრია.*

როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, კანონპროექტს კომიტეტის არც ერთი წევრი არ უჭერს მხარს. თუმცა, პრობლემების თავიდან ასაცილებლად, კომიტეტი მზადაა, კანონპროექტთან დაკავშირებით კენჭისყრა შემდგომ სხდომაზე ჩაატაროს.

**"მანამდე პროექტში ყველა ის შესწორება უნდა აისახოს, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ ბიზნესმენებთან კონსულტაციის შედეგად გაითვალისწინა. ამასთან, კონსულტაციები უნდა ჩატარდეს საპარლამენტო უმრავლესობაშიც, რადგან აღნიშნულ კანონპროექტს, ძირითადად, უმრავლესობის წევრები ეწინააღმდეგებიან,"** - განაცხადა ლეკიშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნული კანონპროექტი თავიდან არის დასაწერი, რადგან პარლამენტარებისთვის მასში ჩადებული თითქმის ყველა პრინციპი მიუღებელია. სპეციალისტთა აზრით, აღნიშნული კანონპროექტის პირობები ბიზნესის ამ სექტორების მონოპოლიზებას უწყობს ხელს.

გუშინ კომიტეტმა "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონპროექტი განიხილა და პირველი მოსმენით დაუჭირა მას მხარი. კანონპროექტის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების ინსპექციის ბაზაზე, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ჩამოყალიბდება. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება შეაჩეროს, აკრძალოს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

"თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონპროექტის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებათ საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით ახალი სტრუქტურების შექმნის ხელშეწყობა და უკვე არსებული სტრუქტურებისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც კონკურენციის შეზღუდვას გამოიწვევს.

აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან ერთ თვეში დასრულდება ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის ლიკვიდაცია.

*24 საათი*

# სომხეთმა დენი გაგვიძვირა

## ენერგოკრიზისმა კი თითქმის გადაიარა

ენგურჰესის გაჩერების წინ, უმკაცრესი ენერგოდეფიციტის პირობებში, სომხეთმა საქართველოს დენი გაუძვირა. გუშინ სემეკ-მა "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" (სგსე) სომხეთიდან ელექტროენერგიის 2,68 ცენტად იმპორტირების ლიცენზია მისცა. ამიერიდან, ერთ კილოვატსაათში საქართველოს რეგიონების უმსხვილესი ოპერატორი ენერგოკომპანია 0,18 თეთრით მეტს გადაიხდის, ვიდრე აქამდე იხდიდა.

სომხეთიდან დენის იმპორტის ლიცენზია კომპანიამ სამი თვის ვადით, 31 ივნისამდე მიიღო. ასევე, სამი თვით გაუგრძელდა სგსე-ს რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზიაც. რუსეთიდან კომპანია დენს ისევ ძველ ფასად - 2,6 თეთრად შეისყიდის.

სომხეთიდან კომპანია იმპორტს "ალავერდის" ხაზით, ხოლო რუსეთიდან - "სალხინოს" მეშვეობით ახორციელებს. სგსე-ში აცხადებენ, რომ "სალხინოს" ხაზით იმპორტის გაზრდა იგეგმება. რუსეთიდან იმპორტის მოცულობის კიდევ უფრო გაზრდის საშუალებები, ჯერჯერობით, არ არის, რადგან რუსეთთან მაკავშირებელი მთავარი მაგისტრალური ხაზი "კავკასიონი" ჯერ ისევ დაზიანებულია. მისი აღდგენის ვადებთან დაკავშირებით დამაიმედებელი პროგნოზები არ კეთდება. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ხაზის მწყობრში ჩადგომის სავარაუდო ვადად 40-45 დღეს ასახელებს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ, შესაძლოა, ხაზის ჩართვას აზრი აღარ ჰქონდეს. საქმე ის არის, რომ ენგურჰესის რემონტი შეიძლება ზაფხულისთვის, საქართველოში ჭარბწყლიანობის პერიოდისთვის გადაიდოს. როგორც ცნობილია, ენგურჰესის გაჩერებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობას ჯერ არ მიუღია.

ჭარბწყლიანობა კი საქართველოში უკვე იწყება. ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურებში გაიზარდა წყლის შემოდინება, რამაც გენერაციის ზრდა განაპირობა და ენერგოკრიზისი მნიშვნელოვნად შეამსუბუქა. ამის გამო, ენერგეტიკის მინისტრი უკვე თამამად აცხადებს, რომ თბილისში, უახლოესი ორი დღის განმავლობაში, პრობლემები აღარ იქნება და რეგიონებიც საღამოს პიკისათვის სრულად დაიტვირთება. რეგიონებში, თბილისისგან განსხვავებით, შეზღუდვები ისევ იმოქმედებს, ოღონდ სგსე უკვე მოახერხებს, რომ რაიონები მათთვის დადგენილი ლიმიტების ფარგლებში მაინც მოამარაგოს.

რაც შეეხება სამომავლო პროგნოზებს, მათი გაკეთებისგან მინისტრი, ჯერჯერობით, თავს იკავებს: რაც არ უნდა იყოს, კრიზისის გადაგორება მეტწილად მაინც სტიქიაზეა დამოკიდებული.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** გუშინ "აზოტის" პენსიონერებმა საწარმოს ადმინისტრაციულ კორპუსთან საპროტესტო აქცია მოაწყვეს. აქციის ორგანიზატორი "აზოტის" დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი "თანადგომა" იყო. პენსიონერთა განცხადებით, უკვე მეორე თვეა, რაც ასამდე ადამიანს საწარმოს რუსმა ხელმძღვანელებმა საპენსიო დანამატის გაცემა შეუწყვიტეს. პენსიონერები "აზოტის" გენერალური დირექტორის ანდრეი პარშუტინისგან თავისი კუთვნილი თანხების გაცემას მოითხოვდნენ. ყოველთვიურად, პენსიებზე დანამატის სახით გასაცემი თანხა, დაახლოებით, 45 ათას ლარს შეადგენს. პარაშუტინი აცხადებს, რომ ამ დღეებში კრედიტორებს შეხვდება და პენსიონერთათვის გასაცემი თანხის ბედი მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა. "აზოტს" ამჟამად რუსული "იტერა" მართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, სასტუმრო "ივერიაში" შიდა ინტერიერების დემონტაჟი დაიწყო. როგორც სასტუმროს ინვესტორის "სილქროუდ ჯგუფის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დავით შენგელია აცხადებს, დაინგრევა თუ არა მთლიანად შენობა, ეს უახლოეს პერიოდში გაირკვევა. პროექტის საბოლოო ვარიანტი, სავარაუდოდ, ერთ თვეში გახდება ცნობილი. მანამდე კი "ივერიის" შენობაში მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, ცნობისთვის: სასტუმრო "ივერიის" რეკონსტრუქციის დაფინანსებაში ყაზახური ბანკი "ტურანალემი" მონაწილეობს. **მედიანიუსი**

ქალაქ თბილისის მერიის
სამოქალაქო მონაწილეობისა
და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge**
**მისამართი: ალმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.**
**ტელ.: 952034**

# IFC საქართველოს საბაჟო პროცედურების გაიოლებას ურჩევს

*გასული წლის ზაფხულში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ბიზნესის განვითარების პროექტის წარმომადგენლებმა მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს 9 რეგიონში კვლევა ჩაატარეს. როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, კვლევამ აჩვენა, რომ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის განვითარებას, ძირითადად, სახელმწიფო რეგულირების 4 სფერო უშლის ხელს - საბაჟოს, სტანდარტიზაციის, საგადასახადო და შემოწმებების სფეროები. გამოკითხულ საწარმოთა 62 პროცენტის აზრით, ადგილობრივი ორგანოები უარყოფით გავლენას ახდენენ რეგიონში მეწარმეობის განვითარებაზე.*


გოგიტა ბახსაძის ფოტო

*მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის განვითარებას, ძირითადად, სახელმწიფო რეგულირების 4 სფერო უშლის ხელს - აცხადებენ ბიზნესის განვითარების პროექტის წარმომადგენლები.*

დიანა ჩაჩუა

**"საბაჟოზე სრული ქაოსია. მებაჟეთა პროფესიონალიზმი უკიდურესად დაბალია. საქონლის განსაბაჟებლად უნდა ჩამოიარო ყველა სართული და ხელმოწერების მისაღებად, ერთსა და იმავე ხალხს რამდენჯერმე მიაკითხო. საბაჟო სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების სრული სიის მოპოვება არსად არ არის შესაძლებელი. საბოლოო ჯამში, მირჩევნია საქონლის განსაბაჟებლად ქრთამი გადავიხადო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესი შეიძლება უფრო ძვირი დამიჯდეს,"** - ეს განცხადება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ ჩატარებული კვლევის "ბიზნეს-გარემო საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების თვალსაზრისით" ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს ეკუთვნის. მართალია, ეს კვლევა საქართველოში 2002-2004 წლების სიტუაციას ასახავს, თუმცა სიტუაცია საბაჟოსთან მიმართებაში არც ახლაა გამოსწორებული. საბაჟოში არსებულ არასასურველ გარემოზე ხელისუფლების მიერ ახალი საბაჟო კოდექსის შექმნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებაც მეტყველებს.

**"2003 წლის ნოემბრის მოვლენების შედეგად მდგომარეობის გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, ფოკუს-ჯგუფებმა 2003 წლის ნოემბრამდე არსებული სიტუაციის დაბრუნების ტენდენცია აღნიშნეს, როდესაც კორუფციამ ქვეყანაში პიკს მიაღწია,"** - აცხადებენ კვლევის ავტორები.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ერთ სულ მოსახლეზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ჯერ კიდევ მცირე რაოდენობაა. 2002-2004 წლებში კი ამ სექტორის ზრდა თითქმის შეჩერდა და მხოლოდ 6 პროცენტი შეადგინა.

გამოკითხულ კომპანიათა 82-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნის საგადასახადო სისტემა, კერძოდ, საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო კანონმდებლობა. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხოლოდ 7-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ისინი სახელმწიფოს რეალურ შემოსავლებს არ უმალავდნენ.

**"მაჩვენეთ მეწარმე, ვინც არ მალავს შემოსავლებს საგადასახადო ორგანოებისგან - ეს შეუძლებელია, ასეთი ადამიანები არ არსებობენ,"** - აცხადებდა კვლევის ფოკუს ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი.

გამოკითხულ კომპანიათა სამ მეოთხედზე მეტი შემოწმებული იყო წელიწადში ერთხელ მაინც, შემოწმებები კი უფრო მეტად დამრღვევის დასჯაზეა ორიენტირებული, - ნათქვამია კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) მიერ დაფინანსებულ კვლევაში. 910 გამოკითხული ბიზნესიდან კომპანიათა მხოლოდ ოთხი პროცენტი არ დაეთანხმა შემმოწმებლებს და მათი გადაწყვეტილება გაასაჩივრა. დანარჩენი 96 პროცენტის პოზიცია შემდეგია: **"ოდესმე თუ გინახავთ სასამართლო, რომელიც გადაწყვეტილებას სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ მიიღებდა? ამიტომაც, არასოდეს მივმართავ სასამართლოს. ფულის გადახდა და ინსპექტორებთან საქმის მოგვარება გაცილებით ადვილია."**

რაც შეეხება სერტიფიცირებასა და სტანდარტიზაციას, არსებული პროცედურები ხელს უშლის იმპორტს, რადგან შესაბამისი ორგანო დსთ-ს გარეთ არსებულ სერტიფიკატებს არ ცნობს. მოძველებული "გოსტ" სტანდარტები ექსპორტსაც აფერხებს, რადგან ადგილობრივი კომპანიები საერთაშორისო სტანდარტების პროდუქციას არ აწარმოებენ, - ნათქვამია კვლევაში.

**"საქსტანდარტი არ არის ორგანო, რომელიც ეფექტურად დაიცავდა მომხმარებლებს და შეუწყობდა ხელს ქართულ ექსპორტს. მაშინაც კი, თუ ისეთი ცნობილი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის იმპორტს განვახორციელებ, როგორიცაა იაპონური "სონი", მაინც უნდა მივიღო სერტიფიკატი საქსტანდარტის მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიიდან. ნათელია, რომ ასეთ ლაბორატორიას არ გააჩნია "სონის" პროდუქციის ტესტირებისთვის აუცილებელი სიმძლავრეები,"** - აცხადებდა ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენელი.

კვლევამ ცხადყო, რომ გასული წლის განმავლობაში გამოკითხულ მეწარმეთა 67 პროცენტს დამატებითი ინვესტიცია არ განუხორციელებია.

IFC-ს რეკომენდაციები ასე ჟღერს: მოხდეს საერთო სარკმლის შემოღება საბაჟოზე გამავალი ტვირთების სარეგისტრაციოდ და საბაჟო რეფორმაში ბიზნეს-საზოგადოება ჩაერთოს; გაგრძელდეს მუშაობა ახალი საგადასახადო კოდექსის სრულყოფის საქმეში; სწრაფად დასრულდეს მუშაობა "გოსტ" სტანდარტზე და შემოღებული იქნეს კერძო სექტორის მართვადი ნებაყოფლობითი სერტიფიცირება და სხვა. IFC-ის მიერ მომზადებული რეკომენდაციები უკვე წარდგენილია საქართველოს მთავრობაში.

# საპრივატიზებო დოლს ერთი "ურჩი" კომპანია გამოეთიშა

## "მერინ კაპიტალმა" "არმსტრონგ ჰოლდინგს" 4 მილიონი დოლარით "აჯობა"

*მთავრობამ გადაწყვეტილება შეცვალა და, "არმსტრონგ ჰოლდინგის" ნაცვლად, "საქართველოს საზღვაო სანაოსნო" ბრიტანულ "მარინ კაპიტალს" არგუნა. "მოტყუებულ" "არმსტრონგს" პრეტენზიები, ჯერჯერობით, არ გამოუთქვამს. ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ვარაუდობს, რომ "არმსტრონგს" საწუწუნო მომავალშიც არაფერი ექნება, რადგან მან გადასახდელი თანხის სრულად დაფარვა დააგვიანა, ნასყიდობის ხელშეკრულება კი, ჯერჯერობით, გაფორმებული არც ყოფილა. ერთი სიტყვით, გარიგების დადება-ჩაშლით ყველა მხარე კმაყოფილი ჩანს.*

მაია ურუშაძე

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მთავრობის მხრიდან "არმსტრონგისთვის" "პირის შეშლის" მიზეზად "მიუღებელ პირობებს" ასახელებს. "მთავრობამ ამ კომპანიასთან კონტრაქტი იმიტომ შეწყვიტა, რომ მის მიერ წამოყენებული პირობები საქართველოს მთავრობისთვის რისკიანი აღმოჩნდა. კერძოდ, "არმსტრონგთან" საუბარი პირველ ეტაპზე "საზღვაო სანაოსნოს" ღირებულების მხოლოდ ნახევრის გადახდაზე იყო, რის შემდეგაც მთავრობას მისთვის მფლობელობაში "საოკეანო სანაოსნო" სრულად უნდა გადაეცა. **"ამიტომ, ჩვენ "არმსტრონგ ჰოლდინგთან" ურთიერთობა შევწყვიტეთ და გუშინ ხელშეკრულება კომპანია "მერინ ქეფითალთან" გავაფორმეთ,"** - განმარტავს პრემიერ-მინისტრი.

"მარინ კაპიტალი" კი საქართველოს მთავრობას "საქართველოს სანაოსნოში" 93 მილიონ დოლარს აპრილშივე გადაუხდის და კომპანიის ოფიციალური მფლობელი მხოლოდ ამის შემდეგ გახდება. ნოღაიდელის განმარტებით, "მერინ ქეფითალი" "არმსტრონგ ჰოლდინგზე" მეტ ფასსაც - 89-ის ნაცვლად 93 მილიონ დოლარს იხდის და ამ თანხის 10 პროცენტი უკვე საქართველოს ანგარიშზე დევს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განმარტებით, "მერინ ქეფითალთან" საბოლოო კონტრაქტი ამ ორი დღის წინ გაფორმდა. **"მერინ ქეფითალი" 93 მილიონ დოლარს აპრილის 22-დან 27 რიცხვამდე გადმორიცხავს, ხოლო შემდეგ სანაოსნოს 72 მილიონი დოლარის ოდენობის ვალს გაისტუმრებს,"** - აზუსტებს ალექსიშვილი.

როგორც გაირკვა, "მერინ ქეფითალი", საგანგებოდ "საქართველოს საზღვაო სანაოსნოს" ოპერირებისთვის, ამერიკულ კომპანია "ისტვინდთან" ერთად შვილობილ კომპანია "ჯორჯიან ტანკერ ტიდს" დააფუძნებს. ამ გარიგებაში "ისთვინდი" "საქართველოს საზღვაო სანაოსნოს" მყიდველმა "მარინ კაპიტალმა" ახალი კომპანიის სამართავად მოიწვია. ლექსო ალექსიშვილი "ისტვინდს" "ძლიერ კომპანიად" ახასიათებს. **"ის 75 გემს ფლობს და დიდი გამოცდილება აქვს,"** - ამბობს მინისტრი.

რაც შეეხება "განზე დარჩენილ" "არმსტრონგს", ხელისუფლება მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ეს კომპანია გარიგების ჩაშლის გამო პრეტენზიებს არ გამოთქვამს. **"არ არსებობს იმის წინაპირობა, რომ მან სასამართლოში იჩივლოს,** - ამბობს ალექსიშვილი, - **საქართველოს მხარეს "ამსტრონგ ჰოლდინგთან" რაიმე ვალდებულება არ ჰქონდა აღებული და მემორანდუმის გაუქმების გამო საქართველოს არავითარი საჯარიმო სანქცია არ დაეკისრება."** მისი თქმით, გარდა იმისა, რომ ამ კომპანიამ თანხის გადახდის მექანიზმი "სათავისოდ" შეცვალა, მან სხვა პირობებიც ვერ დააკმაყოფილა.

სგსე UEDC
საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია
UNITED ENERGY DISTRIBUTION COMPANY OF GEORGIA

# განცხადება

**სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" აცხადებს ტენდერს 6, 10, და 35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორების შესყიდვაზე ონიაშვილის ქ. N6, 0160. თბილისი**

**შესყიდვის ობიექტებია:**

| ლოტი N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | 6 კვ ძაბვის ტრანსფორმატორი НАМ И0-У2 (ძაბვა - 6000/100) | 34 | ქ. თბილისი ქ. მცხეთა |
| | 10 კვ ძაბვის ტრანსფორმატორი НАМ И0-У2 (ძაბვა - 10000/100) | 56 | |
| | 35 კვ ძაბვის ტრანსფორმატორი ЗН ОМ-35 (ძაბვა - 35000/100) | 9 | |

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 11 აპრილის 16:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. N6, ტელ: **387199, 387499**

სავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენდტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია:
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;
4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

დაინტერესებულ პირს შესყიდვაში მონაწილეობის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო წინადადებასთან ერთად დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების და მოსაწოდებელი საქონლის ნიმუშების წარმოდგენა. ერთ ლოტზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

ტექნიკური მოთხოვნები და სპეციფიკაციები პრეტენდენტებს გადაეცემათ მისამართზე - "სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", ონიაშვილის N6, **2005 წლის 15 აპრილის 16:00 საათამდე**.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - **გიორგი თათილაშვილს, ტელ: 38 71 99, (Sida - 259) ონიაშვილის ქ. #6**

# მსჯავრდებულ დავით მირცხულავას ევროსასამართლოს იმედი აქვს

*ათი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით - ასეთი განაჩენი გამოუტანა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მილერ ხარებავამ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას. სწორედ დავით მირცხულავას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე გახლდათ პირველი, რომელიც, თავისუფლების სანაცვლოდ, ბრალდებულის მხრიდან ფულის გადაუხდელად გაგზავნა პროკურატურამ სასამართლოში განსახილველად. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს დავით მირცხულავა ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს, თუმცა მისი ოჯახის წევრები და მირცხულავას ადვოკატებიც მხოლოდ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ამყარებენ დიდ იმედს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"სასამართლო ვერ გაიზიარებს ადვოკატების არგუმენტებს, სასამართლო იზიარებს ბრალდების მტკიცებას",** - ამ სიტყვებს მოსამართლე მილერ ხარებავა 80-გვერდიანი განაჩენის კითხვისას, თითქმის, ყოველ სამ წუთში ერთხელ იმეორებდა, რაც სასამართლო დარბაზის გალიაში მყოფი დავით მირცხულავას კომენტარებით მთავრდებოდა. განსასჯელისა და მისი ინტერსების დამცველების საბოლოო აღშფოთება კი მოსამართლის მხრიდან იმ ხელშეკრულებებზე საუბარმა გამოიწვია, რომელიც მირცხულავასთვის დაწერილ საბრალდებო დასკვნაში აქამდე არ ყოფილა.

**"ერთადერთი რამე მიკვირს - როგორ გაგიჭირდათ ისეთი კაცის მოძებნა, რომელსაც ათქმევინებდით, - დათო მირცხულავამ ჩემგან ქრთამი აიღოო. ჟვანიას ძმა და მენთეშაშვილი რომ არ დავაჭერინე მაშინ, იმიტომ ვზივარ დღეს აქ. ერთი კაცი მაჩვენეთ ხელისუფლებაში, რომელიც კორუმპირებული არ არის; თქვენ ჩემზე როგორ უნდა თქვათ, კორუმპირებულიაო. დახვრეტა რომ მოესაჯათ ჩემთვის, უბედნიერესი იქნებოდა პროკურატურა. ისე, ნორმალურ ადამიანს ურჩევნია, დახვრიტონ, ვიდრე თქვენ გიყუროთ. ვაი თქვენს პატრონს, უბედურს",** - ასეთ კომენტარებს აკეთებდა ყოფილი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი საკუთარი განაჩენის მოსმენისას. მირცხულავამ მოსამართლესა და სახელმწიფო ბრალმდებელს ხელისუფლების შეკვეთის უპირობო შემსრულებლები უწოდა.

განაჩენის მიხედვით, განსასჯელ დავით მირცხულავას ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებად, როგორც მოსამართლემ განაცხადა, მისი "პირადი მახასიათებელი თვისებები" აღმოჩნდა. სწორედ "პირადი მახასიათებელი თვისებების" გამო დააკლო მილერ ხარებავამ პროკურატურის მიერ მირცხულავას პატიმრობისთვის მოთხოვნილ 12 წელს ორი წელი, თუმცა სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრისა და მისი მხარდამჭერების გული მოსამართლემ მაინც ვერ მოიგო. მას იურისტის დიპლომი დაუწუნეს. სახელმწიფო ბრალმდებელი კახა მაჭავარიანი მირცხულავასთვის გამოტანილი განაჩენით კმაყოფილი დარჩა და დარბაზი უკომენტაროდ დატოვა. მირცხულავს ოჯახის წევრები კი მოსამართლის მიერ აქამდე გამოტანილი განაჩენების გადახედვაზე ალაპარაკდნენ.



*განაჩენის მოლოდინში.*

**"საქართველოში ყველა განზომილებით ბნელა, ბნელა სასამართლოშიც",** - ასეთი შეფასება მიეცა გუშინდელ სასამართლო პროცესს.

თავად მსჯავრდებული თავს კვლავ უდანაშაულოდ აცხადებს და ირწმუნება, რომ საქართველოში მოქმედი არც ერთი ინსტანციის სასამართლოში ამის მტკიცებას აზრი არ აქვს. როგორც უკვე გითხარით, დავით მირცხულავა უახლოეს ხანში მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერება-არაკანონიერების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ელოდება. მას იმედს აძლევს ევროპელი მოსამართლეების მიერ მოთხოვნილი მასალები, რომლებიც უკვე გაგზავნილია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და რომლებსაც იქაური მოსამართლეები უკვე ეცნობიან. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესის დეტალების გარდა, სტრასბურგის სასამართლო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მირცხულავას დაკავება-დაპატიმრებასთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარებითა და გამონათქვამებით დაინტერესდა და ბრიფინგების, მთავრობის სხდომებისა და პრესკონფერენციების ჩანაწერები მოითხოვა. ევროპელმა მოსამართლეებმა, ასევე, მოითხოვეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს იმ პალატის ფოტოორიგინალები, სადაც სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი იმყოფება და ის ვიდეომასალაც, რომელზეც მირცხულავას საკაცით გადაყვანა-გადმოყვანის ფაქტებია აღბეჭდილი.

ერთი სიტყვით, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ბრალდებით, თითქმის წელიწადნახევრის წინ დაკავებული სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი უკვე მსჯავრდებულია. საბადრაგო სამსახურმა გუშინ ის ჟურნალისტების მიახლოებისთანავე გაიყვანა სასამართლო დარბაზის გალიიდან და კვლავ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

# მოლაშვილს უზენაესი სასამართლო გაასამართლებს

*თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ბრალდებით დაკავებული კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის წინასწარი პატიმრობის ვადა კარგა ხნის წინ ამოიწურა. მართალია, წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვისთანავე პროკურატურამ 24-ტომიანი ბრალდების საქმე განსახილველად ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს გადასცა, მაგრამ სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა.*

საქმე ისაა, რომ პროკურატურის მიერ ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოლაშვილის საქმის გადაგზავნას ბრალდებულის ადვოკატების პროტესტი მოჰყვა. მოლაშვილის ინტერესების დამცველები ირწმუნებოდნენ, რომ პროკურატურამ, მოლაშვილთან დაკავშირებით, კანონი კიდევ ერთხელ დაარღვია.

**"კანონის შესაბამისად, სულხან მოლაშვილის საქმე, რადგან ის მაღალი თანამდებობის პირი იყო, უზენაესი სასამართლოს განსჯის საგანი გახლავთ, პროკურატურამ კი საქმე ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს გადასცა. ამით კიდევ ერთხელ დაირღვა დაცვისა და ბრალდებულის უფლებები. ჩვენ საქმის მასალების გაცნობისა და შუამდგომლობების დასაყენებლად კანონით გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა გამოძიებამ არ მოგვცა. 24-ტომიანი საქმის პირველი ტომი გასაცნობად ბრალდებულსაც და მის ადვოკატებსაც 10 დეკემბერს გადმოგვცეს. დანარჩენი ტომები - დაგვიანებით, ბოლო ნაწილი კი 5 იანვარს მოგვცეს. აქედან გამომდინარე, 30-დღიანი ვადის ათვლა 5 იანვრიდან უნდა მომხდარიყო და არა 10 დეკემბრიდან",** - აცხადებდნენ მაშინ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატები, რომელთაც სტრასბურგის სასამართლოდან მათი დაცვის ქვეშ მყოფის საქმის წარმოებაში მიღების შესახებ შეტყობინება სწორედ მოლაშვილისთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრობის ამოწურვისთანავე მოუვიდათ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გუშინწინ საბოლოოდ გადაწყდა - სულხან მოლაშვილს არა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო, არამედ უზენაესი სასამართლო გაასამართლებს. ადვოკატების პროტესტმა შედეგი გამოიღო - 24-ტომიანი ბრალდების საქმე ამჯერად ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოდან უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა.



*როდის დაინიშნება სასამართლო პროცესი უზენაეს სასამართლოში, ჯერჯერობით არავინ იცის.*

**"ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, როდის განიხილავს უზენაესი სასამართლო მოლაშვილის საქმეს. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ გამწესრიგებელი სხდომის დანიშვნა არ გაჭიანურდება. პროკურატურამ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო მაშინ მხოლოდ იმ პრინციპით შეარჩია, რომ კონტროლის პალატა ტერიტორიულად ამავე რაიონში მდებარეობს. ეს პროცესუალური დარღვევა იყო",** - აცხადებს მოლაშვილის ერთ-ერთი ადვოკატი სოსო ბარათაშვილი.

**"სულხან მოლაშვილის საქმე პრიორიტეტულად არის მიჩნეული და მას სასამართლო შესაძლებლობისთანავე განიხილავს. საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, გთხოვთ, ჩაგვაყენოთ საქმის კურსში. სასამართლო პროცედურა წერილობით წარიმართება. მომჩივანი მხარის წარმომადგენლებს სტრასბურგში მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მოვიწვევთ",** - ასეთია ევროსასამართლოდან ბრალდებულ სულხან მოლაშვილის ინტერესების დამცველთათვის გამოგზავნილი ოფიციალური შეტყობინების შინაარსი.

მოკლედ, როდის დაინიშნება სასამართლო პროცესი უზენაეს სასამართლოში, ჯერჯერობით, არავინ იცის. გამორიცხული არ არის, რომ სულხან მოლაშვილის წინასწარი პატიმრობის კანონიერება-არაკანონიერებაზე ევროსასამართლომ გადაწყვეტილება მანამდე გამოიტანოს, ვიდრე უზენაესი სასამართლო მრავალტომიანი საქმის არსებით განხილვას შეუდგება.

*24 საათი*

## იარაღის შეძენის პროცედურა მარტივდება

საქართველოს პარლამენტი იარაღის შეძენის პროცედურას ამარტივებს. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა, "იარაღის შესახებ" კანონში ცვლილებების სახით, პარლამენტის წევრმა და უმრავლესობის წარმომადგენელმა იგორ პატარიძემ შეიმუშავა.

"იარაღის შესახებ" კანონში პატარიძის მიერ შემუშავებული ცვლილებების მიხედვით, იარაღის შეძენის მსურველი შს სამინისტროს შესაბამის სამსახურს მიმართავს საკუთარი კოორდინატების, გვარის, სახელის, მისამართის, სამსახურის, ტელეფონის ჩვენებით. ნებართვის გამცემი, მაქსიმუმ, 10 დღის ვადაში დაადგენს, იმსახურებს თუ არა განმცხადებელი იარაღის შეძენის ლიცენზიას.

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, გაუქმებულია, აგრეთვე, იარაღის პერიოდული ხელახალი რეგისტრაციაც.

ძველი კანონმდებლობის მიხედვით, იარაღის შეძენის მსურველს უნდა წარედგინა განცხადება შს სამინისტროს შესაბამის სამსახურში. განცხადებისთვის მას თან უნდა დაერთო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ასევე, აუცილებელი იყო ცნობა რაიონული მილიციის განყოფილებიდან, რომ იგი სისტემატურად არ არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, არ იყო ნასამართლევი, ან მოხსნილი ჰქონდა ნასამართლეობა. აუცილებელ პირობებში შედიოდა, ასევე, ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან, რომ იგი არ იყო ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნარკომანი, ან ტოქსიკომანი.

როგორც პატარიძე აცხადებს, ძველ კანონმდებლობაში ჩადებული აღნიშნული პირობები კორუფციის აყვავებისთვის შესანიშნავ ნიადაგს ქმნიდა.

პატარიძის განცხადებით, კომუნისტების პერიოდის საქართველოს შს სამინისტრომ სრულიად უკანონოდ დააწესა სამ წელიწადში ერთხელ ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული იარაღის სავალდებულო ხელახალი რეგისტრაცია, რისთვისაც იარაღის მფლობელს უნდა გადაეხადა პირველადი რეგისტრაციისთვის დაწესებული მოსაკრებლის 50 პროცენტი.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს აღნიშნული კანონპროექტი ჯერ არ განუხილავს. მისი განხილვა უახლოეს დღეებში იგეგმება.

*ინტერ-პრესი*

## ევროკავშირი იუსტიციის სამინისტროს ეხმარება

ევროკავშირის პროექტის - "სტრატეგიული დახმარება და შესაძლებლობათა სწრაფი ფორმირება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის" - ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროში სამწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ - იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია, მინისტრის მოადგილეები, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე, ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია სამი გეგმა: იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია, საკადრო რესურსებისა და სამოქალაქო რეესტრის განვითარება.

გეგმის შემუშავებაში ხუთი უცხოელი და ამდენივე ქართველი ექსპერტი მონაწილეობდა. გეგმის საბოლოო ვარიანტზე მუშაობა, სავარაუდოდ, აპრილის მეორე ნახევარში დასრულდება და მასში გათვალისწინებული იქნება ის შენიშვნები, რაც გეგმის პრეზენტაციისას გამოითქვა.

კონსტანტინე კემულარიამ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ იგი კმაყოფილია იმ კომპეტენტურად შედგენილი დოკუმენტით, რომელიც იუსტიციის სამინისტროს განვითარებას ეხება.

**"საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის სურვილია, იუსტიციის სამინისტრომ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ლიდერის როლი იკისროს. სამინისტრო ბოლო პერიოდში სწორად ვითარდებოდა და მისი მუშაობის დახვეწისაკენ მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რაც მომავალში გაგრძელდება",** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

ტორბენ ჰოლცემ აღნიშნა, რომ ევროკავშირი საქართველოს კვლავაც გაუწევს დახმარებას და იუსტიციის სამინისტროსთან ითანამშრომლებს იმ გეგმის განხორციელებისათვის, რომლის შემუშავებაშიც ამჟამად ეხმარება.

*მედიანიუსი*

## ამერიკაში დაკავებული ქართველი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონტრაბანდული რუსული იარაღით ვაჭრობის ბრალდებით დაკავებული ოთხი ქართველიდან ერთ-ერთს, ლევან შველიძეს ნიუ-იორკის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შინა პატიმრობით შეუცვალა.

მოსამართლემ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც შველიძის ადვოკატმა სასამართლოში გირაოს თანხის გადახდის შესახებ დოკუმენტაცია წარადგინა.

თანხის რაოდენობა არ კონკრეტდება.

ცოტა ხნის წინათ დაკავებული ქართველები აშშ-ს საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა მოინახულეს, რომელთა თქმით, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პროკურატურამ იარაღით უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი 18 პირი ორის კვირის წინათ დააკავა. მათ შორის ოთხი - ნადირაშვილი, ხარაბაძე, შველიძე და კაციტაძე საქართველოს მოქალაქეები არიან.

აშშ-ს პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულები საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, ყუმბარმტყორცნებით, ნაღმმტყორცნებითა და რუსული წარმოების ავტომატებით არალეგალურად ვაჭრობდნენ.

*მედიანიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი...........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...........................................

საკონტაქტო ტელეფონი...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# 150 დაზარალებული ოჯახიდან ექვსს გაუმართლებს

*დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტში ავარიული სახლების შესაკეთებლად 1 730 ათასი ლარია გათვალისწინებული. ამ თანხით გარემონტდება ის შენობები, რომელიც აღდგენას ექვემდებარება. მესამე კატეგორიის ავარიულ სახლებში მცხოვრებთათვის კი გამგეობის ხელმძღვანელობა დროებით თავშესაფრებს ითხოვს.*

ნანა ქადაგიშვილი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 2002 წლის მიწისძვრამ, მთაწმინდა-კრწანისის შემდეგ, ყველაზე მეტად დააზიანა. თუმცა, აქ მიწისძვრამდეც არ იყო კარგი მდგომარეობა. 2002 წლის გაზაფხულამდე რაიონში 604 ავარიული სახლი იყო აღრიცხული, მიწისძვრის შემდეგ კი მათი რაოდენობა 3 582-მდე გაიზარდა. აქედან, 520 მესამე კატეგორიის ავარიულია, 2 365 კი - მეორე კატეგორიის. ამ სახლების უმრავლესობა აღდგენას არ ექვემდებარება და ყოველ წუთს შეიძლება ჩამოინგრეს. მიწისძვრის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, დაზარალებული მოსახლეობისთვის სახელმწიფომ მხოლოდ 137 ოჯახის დახმარება მოახერხა, 61 ოჯახი სხვადასხვა ორგანიზაციების კუთვნილ შენობებში გაიყვანა, 54 ოჯახს ბინა შეუძინა და 22 ოჯახს კი ბინის ქირას უხდის.

ავარიული სახლების აღსადგენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1730 ათასი ლარი, როგორც გამგეობის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჯობს, ისეთი შენობების რემონტს მოხმარდეს, რომელიც აღდგენას ექვემდებარება. დანგრევის პირას მისული სახლების დროებით გამაგრებას გამგეობა ფულის წყალში გადაყრად მიიჩნევს. როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებს, ასეთი სახლი თბილისში იმდენია, საქართველოს ბიუჯეტი მათ აღდგენას წლების მანძილზე ვერ მოახერხებს. ავარიული სახლების მობინადრეთა დახმარების ერთადერთი გზა მუნიციპალური მშენებლობის განვითარებაა, ამას კი დრო სჭირდება. ამასობაში, ათასობით ადამიანი დანგრეულ შენობებში შიშით ცხოვრობს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ქალაქის ხელმძღვანელობას ამ მოსახლეობისთვის დროებით თავშესაფრებს სთხოვს.

გამგეობამ თავისუფალ ფართს სამ მისამართზე მიაგნო - ჩიტაიას ქ.№21-ში მდებარე სახელმწიფო დაზღვევის ყოფილი ფართი, 160 კვადრატული მეტრი; აგლაძის ქ.№26-ში ეკოპოლიციის ყოფილი შენობა, 230 კვ.მ. და დიღმის მასივის მეოთხე კვარტლის №27 კორპუსში მდებარე 170 კვ.მ. საგზაო პოლიციის ყოფილი ფართი.

ამ საკითხს საკრებულო უახლოეს სხდომაზე განიხილავს. ოღონდ, ალბათ, გამგეობის მოთხოვნას ნაწილობრივ დააკმაყოფილებს, რადგან, როგორც საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია აცხადებს, გამგეობის მიერ შერჩეული ორი ფართი, აგლაძისა და ჩიტაიას ქუჩებზე, სადავოა, ამ შენობების საკითხს სასამართლო იხილავს. რჩება მხოლოდ დიღმის მასივში მდებარე 170 კვადრატული მეტრი. როგორც გამგებლის მოადგილემ ვახტანგ ჯავახაძემ გვითხრა, ამ ფართში 6 ოჯახზე მეტი არ დაეტევა. არადა, რაიონში 150 ოჯახი თავშესაფარს სასწრაფოდ ითხოვს.

# გერმანიის ჰუმანიტარული აქცია ქვემო ქართლში

მაია მოსიაშვილი

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს სახელით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), "კავკასიური ინიციატივის" ფარგლებში, ახორციელებს პროგრამას - "სურსათით უზრუნველყოფის, რეგიონალური თანამშრომლობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში" (FRCS). ამ პროგრამით უკვე სამი წელია, ქვემო ქართლში ჰუმანიტარულ სასურსათო დახმარებას იღებენ სოციალურად დაუცველი ის ადამიანები, რომლებისთვისაც ზამთრის მიწურულს საკვების პრობლემა ყველაზე მთავარია.

გუშინ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი და GTZ-ის სასურსათო პროგრამის კოორდინატორი სტუმრობდნენ. მათ, მხარის რწმუნებულთან ერთად, მორიგი ჰუმანიტარული დახმარების დაწყების თაობაზე განაცხადეს. ეს პროგრამა რუსთავში, მარნეულსა და გარდაბანში უკვე მესამე წელია, ხორციელდება და სოციალურად დაუცველი ფენები დახმარებას ფქვილის, ზეთისა და შაქრის სახით მიიღებენ. რაიონებში I და II ჯგუფის ინვალიდები, მარტოხელა პენსიონერები, 18 წლამდე ასაკის ობლები, მარჩენალდაკარგულები და მარტოხელა დედები ოჯახზე ერთ რაციონს - 10 კგ ფქვილს, 2 ლ ზეთს და 1 კგ შაქარს - მიიღებენ; ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ ოჯახებზე გაიცემა 2 რაციონი, მრავალშვილიანებზე კი 3. იმის გამო, რომ რუსთავის მოსახლეობა მიწას არ ფლობს, მათ რაციონში ათის ნაცვლად 25 კგ ფქვილი შედის. რუსთაველი მრავალშვილიანები კი უკვე ფქვილის სოლიდურ რაოდენობას - 50 კგ-ს მიიღებენ.

**"ბენეფიციართა საერთო რაოდენობა 20 317-ია, ანუ დახმარებას ამდენივე ოჯახი მიიღებს. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი დასაქმება და საწარმოების ამუშავებაა, თუმცა არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით მსგავსი ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია,"** - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილმა.

"24 საათი" დაინტერესდა, სადაური ფქვილით, ზეთითა და შაქრით აპურებენ გერმანელები გაჭირვებულ ქართველებს. პროგრამის კოორდინატორმა კრისტიან შტერლაინმა განაცხადა, რომ, როგორც წესი, მათი ორგანიზაცია საერთაშორისო ტენდერს აცხადებს-ხოლმე. წელს ტენდერში ქართული ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ, თუმცა გამარჯვებული თურქული (ფქვილი) და ჰოლანდიური (ზეთი და შაქარი) ფირმები აღმოჩნდნენ. ქართული ფქვილით ქართველების დაპურება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა, რომ ის თურქულთან შედარებით ძვირადღირებული იყო.

**"სპეციალური დახმარების სახით, 2004-2005 წლებში გერმანიამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის 18 პროექტის განხორციელებას. პროქტების საერთო ღირებულებამ 317 617 ლარი შეადგინა, აქედან თემის შენატანი 94 ათასი ლარი იყო,"** - ასეთია გერმანელების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მათივე მტკიცებით, ამ პროქტებით სარგებელი ნახა ამ ორ რაიონში მცხოვრებმა 60 500-მა ადამიანმა. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრებია, თუმცა - რამდენად რეალური? ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, რადგან ქართულ მხარეს ამ პროქტების თაობაზე საჯაროდ არასოდეს განუცხადებია.

# "სახალხო ფორუმი" სახელმწიფოს ასაშენებლად

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. სამოქალაქო საზოგადოებისა, რომელიც ყოვლისშემძლე ხელისუფლებას აიძულებს, საზოგადო პრობლემები მოაგვაროს,"** - აცხადებენ გაერთიანების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები და ხაზგასმით აღნიშნავენ: **"ეს არ იქნება ერთი მსახიობის თეატრი. საქართველოში უნდა შეიქმნას პრეცედენტი სერიოზულ ინსტიტუციურ საფუძველზე აგებული ორგანიზაციის სახით."**

აკაკი ასათიანი, რევაზ შავიშვილი, გუბაზ სანიკიძე, ნიკო ორველაშვილი, გოჩა ჯოჯუა, ირაკლი მელაშვილი, გოგი ქავთარაძე... ეს ის ცნობილი სახეები გახლავთ, რომლებმაც გაერთიანების ჩამოყალიბება ითავეს. ისინი თანამოაზრეებს მზამზარეულ წესდებას და პროგრამას არ სთავაზობენ. დოკუმენტები ერთობლივად, საერთო აზრის გათვალისწინებით მომზადდება.

გაერთიანების ინიციატორები აცხადებენ, რომ მათ ჯერ საბოლოოდ არ აქვთ გადაწყვეტილი, ჩამოყალიბდებიან თუ არა პოლიტიკურ ორგანიზაციად: **"ამაზე ერთად ვიმსჯელებთ და დადებითად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავწყვეტთ, თუკი ეღირება."** მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელ ფორუმზე პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების შესახებ ცალსახა განცხადება არ გაკეთებულა, ძირითად მომხსენებელთა სიტყვაში საამისო სურვილი და ოპტიმიზმი იგრძნობოდა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დამოუკიდებლობის მე-14 წელს კიდევ ერთი საინიციატივო ჯგუფი ცდილობს, ხორცი შეასხას ოცნებას სახელმწიფოზე.

გაერთიანება სექციების მიხედვით აპირებს მუშაობას ეკონომიკის განვითარების, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების პროგრამა და წესდება ჯერ ჩამოუყალიბებელია, საორგანიზაციო ჯგუფის წარმომადგენელთა მოხსენებებში სათქმელი ბევრად უფრო გასაგები იყო, ვიდრე ეს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიების მიერ ოფიციალურად დაწერილ პროგრამებშია წარმოდგენილი. ირაკლი მელაშვილის განცხადებით, მათი იდეის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება, რადგან თანამოაზრეებს შორის საკამოდ ბევრი მცირე მეწარმეა.

# "სახალხო ფორუმის კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

თოთხმეტი წლის წინ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უმთავრეს მიზანს - დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენას მიაღწია. დღეს ამ მონაპოვარს საფრთხე აღარ ემუქრება. მაგრამ, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან თოთხმეტი წლის შემდეგ, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შევძელით სრულფასოვანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სადაც ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრებისა და განვითარების ნორმალურ პირობები ექნებოდათ. შექნილი ვითარებიდან გამოსავალს ვერც წინა და ვერც დღევანდელი ხელისუფლების ლანძღვა ნამდვილად ვერ გვაპოვნინებს. პრობლემის არსი გაცილებით ღრმა არის. ქართულმა საზოგადოებამ ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა ქვეყნის განვითარების გააზრებული კონცეფცია, რომელიც, ერის კულტურულ-ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებითა და ქვეყანაში არსებული სტრუქტურების ეფექტიანი რეფორმირებით, სახელმწიფოს დინამიკურ განვითარებას უზრუნველყოფდა.

ჩვენი გაერთიანება მიზნად ისახავს, თანამოქალაქეებს საზოგადოებრივი აქტიურობის ისეთი ფორმა შევთავაზოთ, რომელიც არ ეფუძნება თვითმიზნურ პოლიტიკურ დაპირისპირებას ხელისუფლებასთან თუ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან. ჩვენი სურვილია თითოეული ჩვენგანის ხედვაზე, ცოდნაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა და სახელმწიფოს სტაბილური განვითარების პროგრამის შემუშავება. ამ სამუშაოს შესრულებას ჩვენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით ვაპირებთ:

1. სახელმწიფო არ შეიძლება აიგოს საკუთარი ისტორიისა და ეროვნული ფასეულობებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ფონზე. ხელისუფლებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის აგდებული დამოკიდებულება კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა და ქართული ეკლესიისადმი, საფრთხეს უქადის ქვეყნის მომავალს. "მართლმადიდებელი ეკლესია თუ პროგრესი", "ეროვნული ფასეულობები თუ ლიბერალური ღირებულებები", "დემოკრატია თუ ქართული ტრადიციები" - ამ ცნებების დაპირისპირება საკითხის ამგვარად დამსმელთა უმეცრებასა და მათ ღრმა პროვინციალიზმზე მეტყველებს. სინამდვილეში, ქართული სახელმწიფოს განვითარება მხოლოდ ამ ღირებულებების ურთიერთშერწყმისა და ურთიერთგამდიდრების გზითაა შესაძლებელი. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ნათლად ადასტურებს, რომ გლობალიზაციის პირობებში ის ქვეყნები არიან წარმატებულნი, რომლებიც საკუთარი ტრადიციების შენარჩუნებითა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დანერგვით ახერხებენ მუდმივ მოდერნიზებასა და განვითარებას.

2. ქვეყნის რეფორმირება და წარმატებული სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვა, თუნდაც განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ბრმა გადმოღებას. მიმბაძველობისა და საკუთარი კულტურულ-ისტორიული ტრადიციების იგნორირების პირობებში, ავტორიტარულ-ბოლშევიკური მეთოდებით დანერგილ რეფორმებს მოქალაქეები სულ უფრო მეტად აღიქვამენ არა როგორც მათი მომავალი კეთილდღეობისათვის აუცილებელ ქმედებას, არამედ გარე ძალების კარნახით თავსმოხვეულ ღონისძიებად, რომლის მიზანიც მათ სამშობლოში უცხო ტრადიციებისა და ცხოვრების წესის ნაძალადევი დამკვიდრებაა. ასეთი ფონი დისკრედიტაციას უწევს რეფორმების იდეას და თავად რეფორმირების პროცესი გარდუვალი მარცხისათვის ხდება განწირული. ქართულმა საზოგადოებამ თავისი ევროპული არჩევანი კარგა ხნის წინ ნებაყოფლობით გააკეთა, ამიტომაც რამოდენიმე პიროვნების მიერ ქვეყნისათვის დაჩქარებული ვესტერნიზაციის იდეის თავსმოხვევას არაფერი აქვს საერთო სახელმწიფოს ინტერესებთან. ფაქტია, რომ "მკაცრი ხელით" გატარებულ "რეფორმებს" და განუწყვეტლივ რეორგანიზაციებს ხელისუფლება მისთვის არასასურველ პირებზე ანგარიშსწორებისათვისაც იყენებს.

3. სახელმწიფოს აღმშენებლობა მთელი ქართული საზოგადოების ამოცანაა. ამ პროცესში მონაწილეობისათვის ხელოვნური ბარიერების შექმნა, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რამდენიმე თაობის მიზანმიმართული მოკვეთა, ქვეყანაში დაგროვილი როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოცდილების უგულებელყოფა შეუძლებელს ხდის სახელმწიფოში ნორმალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბებას. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საზოგადოებაში არსებული ინტელექტუალური, კულტურული, ორგანიზაციული და სხვა სახის პოტენციალის მაქსიმალური მობილიზებაა, რის შედეგადაც სახელმწიფომ უნდა მიიღოს არა მარტო კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის რეალისტური პროგრამა, არამედ პროფესიონალთა გუნდი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოების თანხმობით, მზად იქნება, იტვირთოს პასუხისმგებლობა ანტიკრიზისული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

4. ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს დამკვიდრებული სტერეოტიპისგან, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს ხელოვნურად ყოფს შავ-თეთრ ძალებად - პრორუსულ და პროდასავლურ ნაწილებად. კავკასიის რეგიონით დაინტერესებულ ნებისმიერ სახელმწიფოს საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და ჩვენი ამოცანა საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ მათი გამოყენებაა. საქართველოს ხელოვნურად არ უნდა ვაქციოთ დიდ სახელმწიფოებს შორის დაძაბულობის მაპროვოცირებელ ფაქტორად. დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტად არა სიტყვით, არამედ საქმით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა გახდეს და სახელმწიფოს პოლიტიკური კურსიც ამ ამოცანის გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს. ამის გარეშე წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციაზე ფიქრი შეუძლებელია.

5. ფაქტია, რომ ქვეყანაში ვერ მოხერხდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს, საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოყენებით, მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება ექნებათ. ქონების ძალისმიერი გადანაწილებით ფსევდოსოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლამ, უპასუხისმგებლო და პოპულისტურმა ნაბიჯებმა უმუშევრობა და სიღარიბე კატასტროფულ ზღვრამდე მიიყვანა, ხოლო მიზერული სოციალური დახმარებები ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ამ ადამიანთა ცხოვრების მინიმალურ დონეს. ამიტომაც მკვეთრად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკის აქცენტები. სახელმწიფო, ქონების ექსპროპრიატორიდან, უნდა გადაიქცეს მესაკუთრის უფლებების, კანონის უზენაესობისა და სამართლიანი ეკონომიკური კანონმდებლობის დაცვის გარანტად. მესაკუთრეთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბება ჩვენი ქვეყნის განვითარების უალტერნატივო საშუალებად მიგვაჩნია. უმძიმესი სოციალური კრიზისის დაძლევა ნორმალური საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფით (მათ შორის, საგადასახადო სისტემის ძირეული რეფორმის გზით), ბიზნესის ყოველმხრივი წახალისებითა და ამის საფუძველზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნითაა შესაძლებელი. ამით მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ, დამოუკიდებლად შეინახონ საკუთარი თავი, ხოლო სახელმწიფო გათავისუფლდება ფაქტიურად შეუსრულებადი სოციალური ვალდებულებებისაგან.

6. მრავალი პრობლემის მიზეზი არის ის, რომ საზოგადოება ვერ შეთანხმდა ქვეყნის სტრუქტურული მოწყობის მოდელზე. ბოლო პერიოდში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით სახელმწიფოს ფუნქციონირება კიდევ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული ერთი პიროვნების გუნება-განწყობილებაზე. საქართველოს ბოლო თხუთმეტი წლის ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ მხოლოდ ლიდერზე ორიენტირებული ქვეყანა მარცხისათვის არის განწირული. ჩვენი მოძრაობა უახლოეს ხანებში მოსახლეობას შესთავაზებს ქართულ რეალობას მორგებულ სახელმწიფო სისტემის ევროპულ მოდელს, ძლიერი მთავრობით, პარლამენტით, ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობითა და ადგილებზე სრულუფლებიანი თვითმმართველობით. ქვეყნის მართვა უნდა ეფუძნებოდეს სტაბილურ, საზოგადოებისათვის პროგნოზირებად, დინამიურ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიან სტილს და არა რევოლუციური რყევების, განუწყვეტელი საკადრო ცვლილებებისა და უნიჭო პიარ-აქციების მომაბეზრებელ ერთობლიობას.

ჩვენ მზად ვართ, სხვადასხვა მოსაზრებათა განხილვისა და შეჯერების გზით, ქვეყნის განვითარების ორიენტირების განსაზღვრისა და მათი განხორციელების მიზნით, ხელი შევუწყოთ საზოგადოების ორგანიზებას. სწორედ ამიტომ, მოძრაობის კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა ქილიკის საგნად არ მიაჩნია და ვისაც ესმის სახელმწიფოს დინამიური განვითარების აუცილებლობა.

*საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების - "სახალხო ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" - საინიციატივო ჯგუფის სახელით,*

*აკაკი ასათიანი*
*რევაზ შავიშვილი*
*გუბაზ სანიკიძე*
*ნიკოლოზ ორველაშვილი*
*ირაკლი მელაშვილი*
*გოჩა ჯოჯუა*
*გოგი ქავთარაძე*
*თეიმურაზ ფიჩხაია*
*დავით ქაჯაია*
*ლია ბაგრატიონი*
*იოსებ ჩხეიძე*
*დავით ტატიშვილი*
*მალხაზ კვანჭილაშვილი*
*დავით ჭიჭინაძე*
*ასლან ფაღავა*
*ნიკოლოზ სანებლიძე*
*ნინო სანადირაძე*
*რუსუდან გვენეტაძე*
*ნანა გვენცაძე*

საკონტაქტო მისამართი:
ქ. თბილისი. 01 08 რევაზ ლაღიძის ქ. N 8 მე - 2 სართული
ტელეფონი:
8- (995 32) 93-44-60;
*8- (995 32) 92-34-31;*
*8- (995 32) 92-37-25*

ეს ლენინის დაბადების დღეს მოხდება



B4

სად არიან სახელები



B5

არასდროს არ არის გვიან



B8

# მე მინდა, რომ...

*2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, მეექვსე ტური. 30 მარტი. თბილისი. სტადიონი "მიხეილ მესხი". 22.000 მაყურებელი*

**საქართველო 2:5 თურქეთი**
**გოლები:** 0:1 თოლგა (11), 1:1 ამისულაშვილი (13), 1:2 ფათიხ თექე (20), 1:3 ფათიხ თექე (36), 2:3 იაშვილი (43), 2:4 ავჩი (73), 2:5 თუნქჩაი (90).
**საქართველო:** დევაძე (ლომაია 20), მჟავანაძე, ხიზანეიშვილი (სალუქვაძე 18), კალაძე, ამისულაშვილი, გოგუა, კობიაშვილი, ცქიტიშვილი (ბურდული 76), ასათიანი, იაშვილი, აშვეთია.
**მწვრთნელი:** ალან ჟირესი (საფრანგეთი).
**სათადარიგონი:** დემეტრაძე, შაშიაშვილი, ჯაკობია, კვირკველია.
**თურქეთი:** რუშთუ რექბერი, თოლგა, თორამანი, ემრე, უმითი, ფათიხ თექე (ჰალილ ალტინტოპი 88), ბაშთურქი (ჰუსეინი 46), ჰამიტ ალტინტოპი, ავჩი, კარადენიზი, ათქი (თუნქჩაი 63).
**მწვრთნელი:** ერსუნ იანალი.
**სათადარიგონი:** ომერი, ბიულენთი, სერქანი, აიჰანი.
**გაფრთხილება:** გოგუა (9), აჩი (26), თოლგა (30), რუშთუ რექბერი (44), გოგუა (83).
**გაძევება:** გოგუა (83).
**მსაჯი:** ტერიე ჰოგი (ნორვეგია).
**თანამსაჯები:** არილდ სანდეტი, სტეინარ ჰოლვიკი, ტომი სკიერვენი (ყველა ნორვეგია).
**მატჩის კომისარი:** ჰერტი ალაია (ფინეთი).
**მატჩის ინსპექტორი:** ვლადიმირ საინი (სლოვაკეთი).

ლაშა გოდუაძე

მგონი, დროა, ზრდილობაზე ვილაპარაკოთ.

არა, ზოგიერთი ვაიგულშემატკივრის უნამუსობასა და თავხედობაზე აქედანვე არ მსურს საუბარი, ნაკრებზე ვამბობ.

შინ 2:5 წაგება, სხვა არაფერია, თუ არა უზრდელობა, ქომაგის აბუჩად აგდება და თუნდაც საპატიო სტუმრის უპატივცემულობა.

აქამდე საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ შეხვედრაში ხუთი გოლი არასდროს გაუშვია...

აქამდე საქართველოს ნაკრებს საშინაო შეხვედრაში ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით არასდროს წაუგია...

აქამდე საქართველოს ნაკრებს საშინაო თამაშში ხუთი გოლი არ მიუღია...

აქამდე საქართველოს ნაკრებს ოთხი დღის ინტერვალით არასდროს წაუგია ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა...

აქამდე საქართველოს ნაკრებს ორ თამაშში რვა გოლი არასდროს გაუშვია...

ამ ქვეყნად კარგსაც აქვს დასასრული და ცუდსაც, მაგრამ ჩვენი გუნდის შემხედვარე, რატომღაც მგონია, რომ ნაკრებს საშველი არასდროს დაადგება.

ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ფედერაციას უხელმძღვანელებს ისეთი ხალხი, რომელიც ეცდება, ნაკრებისთვის პრემიის თანხა ბილეთების გაძვირებით მოიძიოს(!!!).

თურქეთთან მარცხის მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ.

გასაგებია, რომ ფეხბურთელები და მწვრთნელი მნიშვნელოვანი მატჩების წაგებაში დამნაშავენი არიან. მგონი, არც ბიჭები გაექცევიან პასუხისმგებლობას (შოთა არველაძის საჯარო ბოდიშიც ამის მაგალითია) და არც ჟირესი ეცდება თავის მართლებას, მაგრამ წარუმატებლობის თავი და თავი, ვფიქრობ, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაა.

რატომ?

როცა გუნდის შედეგები საკვალიფიკაციო ტურნირებში არ იცვლება, გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგა და ისეთი სპეციალისტი მიიწვიო, რომლის ხელი გუნდს დაეტყობა და ამავდროულად, ნაკრებიც სასურველი შედეგისკენ გაილაშქრებს.

ფედერაციამ ევროპული დონის მწვრთნელი ვერა და ვერ მოიძია. მოდით, ნუ ვიტყვით, რომ იოჰან ბოსკამპი და ალან ჟირესი კარგი მწვრთნელები არიან. ისინი იმ სპეციალისტთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ქართველებზე მეტი რომ იციან, თუმცა მეტით ვერ დაიკვეხნიან. რომ აღარაფერი ვთქვათ ბერძნებზე და ტუნისელებზე, რომლებმაც, შესაბამისად, გერმანელი ოტო რეჰაგელი და ფრანგი როჟე ლემერი მიიწვიეს (პირველმა ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა გუნდს, მეორემ - აფრიკის თასი), ალბანელების მაგალითი ავიღოთ - გერმანელი ჰანს-პეტერ ბრიგელის ხელში კონტინენტური ფეხბურთის მუდმივმა მაჩანჩალებმა საგრძნობი პროგრესი განიცადეს და შარშან თვით ევროპის ჩემპიონებიც დაამარცხეს!

სწორედ ფედერაციაა დამნაშავე, რომ არა და არ დაადგა საშველი ნაკრების ბაზის აშენებას. რატომ უნდა ემზადებოდეს ქვეყნის პირველი გუნდი სხვადასხვა სტადიონებზე და რატომ უნდა ცხოვრობდეს კერძო სასტუმროში? ყველა ნორმალურ გუნდს, მათ შორის ალბანეთის ნაკრებს, რომელსაც საქართველოში "ზემოდან" უყურებენ, თავისი საწვრთნელი ბაზა გააჩნია.

ასევე ფედერაციის ბრალია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი საგრძნობლად მოკლებულია სათამაშო პრაქტიკას, ხოლო, როცა ნაკრები იშვიათად თამაშობს, ბუნებრივია, არცთუ კარგად აქვს დამუშავებული ესა თუ ის კომბინაცია და მერე, ოფიციალურ შეხვედრაში, მეტოქის მცირე პრესინგისთანავე ბრინჯივით იბნევა, რაც უარყოფითი შედეგის გამომწვევი მიზეზია. თურქეთთან მატჩიც ამის დასტური არ იყო? საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს, არათუ მეტოქის ნახევარზე, ლამის თავიანთ საჯარიმოში უჭირდათ ბურთის გათამაშება.

ეგებ, დღეს მეასეხარისხოვანია ამის თქმა, მაგრამ ფედერაციის ბრალია ისიც, რომ გულშემატკივარს საყვარელი გუნდის ფორმის, შარფის, ქუდის ან სხვა ატრიბუტიკის შეძენის საშუალება აქამდე არ აქვს...

შესაძლოა, ფედერაციაში თვლიან, რომ ეს და სხვა მრავალი საკითხი წვრილმანია, ყურადღებას არ იმსახურებს, მაგრამ ის ხალხი, რომელსაც ნაკრებზე გული შეტკივა, ასე არ ფიქრობს.

მე, როგორც რიგით გულშემატკივარს (და შემდეგ - საფეხბურთო ჟურნალისტს), მინდა, რომ ვიხილო საქართველოს ისეთი ნაკრები, რომელიც ვაჟთა გუნდის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ჰიმნით გამოწვეულ ემოციას თავისი თამაშით გამიათმაგებს!

მსურს, რომ ჩემს ქვეყანას ჰყავდეს ნაკრები, რომლის სანახავად დაუფიქრებლად წავალ და გამარჯვების იმედიც მექნება!

მსურს, რომ სტადიონზე მისული საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებისთვის ტაშის კვრით დავიღალო და მათი ფინტებით, პასებით და რაც მთავარია, გოლებით გავიხარო!

მსურს, რომ სახლში სასიამოვნოდ დაღლილი და გამარჯვებით გახარებული დავბრუნდე!

მსურს, რომ ვხედავდე ნაკრებზე მზრუნველ ხალხს, საქართველოს ნაკრების სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს!

მაგრამ რეალობა სხვანაირია, ნაცრისფერი, გულის ამრევი და ისეთი, როგორიც არ მინდა, რომ იყოს.

"მიხეილ მესხზე" ზედიზედ მეორედ იყო ასე: წაგება, გაცრუებული იმედი და არაერთი უზრდელი, რომელიც მხოლოდ იმიტომ დადის სტადიონზე, რომ მწარედ შეაგინოს საკუთარ დედას და თუნდაც, ბურთს ან კუთხურის ალამს, სტუმარ ფეხბურთელებს ესროლოს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდება და გაუთავებლად აძაგოს მსაჯი...

















B2 რეკლამა B3 რეკლამა B4 სპორტი B5 რეკლამა B6 იურიდიული კონსულტაცია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქვეყნებს საჯელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპის (გასაუბრების) გრაფიკს

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| | **11 აპრილი** |
| 8 | თბილისი |
| 9 | თბილისი |
| 53 | თბილისი |
| 67 | თბილისი |
| 98 | თბილისი |
| 109 | თბილისი |
| 118 | თბილისი |
| 143 | თბილისი |
| 150 | თბილისი |
| 175 | თბილისი |
| 205 | თბილისი |
| 261 | თბილისი |
| 515 | თბილისი |
| 548 | თბილისი |
| 563 | თბილისი |
| 573 | თბილისი |
| 574 | თბილისი |
| 616 | თბილისი |
| 700 | თბილისი |
| 738 | თბილისი |
| 763 | თბილისი |
| 1000 | თბილისი |
| 1050 | თბილისი |
| 1082 | თბილისი |
| 1139 | თბილისი |
| 1143 | თბილისი |
| 1144 | თბილისი |
| 1145 | თბილისი |
| 1147 | თბილისი |
| 1246 | თბილისი |
| 1312 | თბილისი |
| 1325 | თბილისი |
| 1376 | თბილისი |
| 1532 | თბილისი |
| 1605 | თბილისი |
| 1671 | თბილისი |
| 1677 | თბილისი |
| 1731 | თბილისი |
| 1781 | თბილისი |
| 1792 | თბილისი |
| | **12 აპრილი** |
| 1839 | თბილისი |
| 1914 | თბილისი |
| 1960 | თბილისი |
| 1985 | თბილისი |
| 2049 | თბილისი |
| 2070 | თბილისი |
| 2461 | თბილისი |
| 2673 | თბილისი |
| 2679 | თბილისი |
| 2742 | თბილისი |
| 3014 | თბილისი |
| 3567 | თბილისი |
| 4151 | თბილისი |
| 4157 | თბილისი |
| 4522 | თბილისი |
| 4651 | თბილისი |
| 1 | თბილისი |
| 69 | თბილისი |
| 75 | თბილისი |
| 137 | თბილისი |
| 141 | თბილისი |
| 179 | თბილისი |
| 250 | თბილისი |
| 317 | თბილისი |
| 361 | თბილისი |
| 368 | თბილისი |
| 378 | თბილისი |
| 417 | თბილისი |
| 501 | თბილისი |
| 502 | თბილისი |
| 507 | თბილისი |
| 558 | თბილისი |
| 699 | თბილისი |
| 775 | თბილისი |
| 788 | თბილისი |
| 825 | თბილისი |
| 858 | თბილისი |
| 917 | თბილისი |
| 1015 | თბილისი |
| 1093 | თბილისი |
| | **13 აპრილი** |
| 1120 | თბილისი |
| 1201 | თბილისი |
| 1203 | თბილისი |
| 1234 | თბილისი |
| 1237 | თბილისი |
| 1302 | თბილისი |
| 1326 | თბილისი |
| 1407 | თბილისი |
| 1515 | თბილისი |
| 1529 | თბილისი |
| 1549 | თბილისი |
| 1607 | თბილისი |
| 1695 | თბილისი |
| 1699 | თბილისი |
| 1740 | თბილისი |
| 1763 | თბილისი |
| 1834 | თბილისი |
| 1940 | თბილისი |
| 1969 | თბილისი |
| 2026 | თბილისი |
| 2110 | თბილისი |
| 2177 | თბილისი |
| 2204 | თბილისი |
| 2249 | თბილისი |
| 2330 | თბილისი |
| 2372 | თბილისი |
| 2571 | თბილისი |
| 2643 | თბილისი |
| 2666 | თბილისი |
| 2696 | თბილისი |
| 3002 | თბილისი |
| 3142 | თბილისი |
| 3550 | თბილისი |
| 3629 | თბილისი |
| 3645 | თბილისი |
| 4119 | თბილისი |
| 4127 | თბილისი |
| 4501 | თბილისი |
| 4604 | თბილისი |
| 4673 | თბილისი |
| | **14 აპრილი** |
| 10 | თბილისი |
| 47 | თბილისი |
| 73 | თბილისი |
| 160 | თბილისი |
| 186 | თბილისი |
| 192 | თბილისი |
| 204 | თბილისი |
| 244 | თბილისი |
| 253 | თბილისი |
| 265 | თბილისი |
| 267 | თბილისი |
| 296 | თბილისი |
| 536 | თბილისი |
| 609 | თბილისი |
| 617 | თბილისი |
| 652 | თბილისი |
| 684 | თბილისი |
| 707 | თბილისი |
| 714 | თბილისი |
| 730 | თბილისი |
| 742 | თბილისი |
| 751 | თბილისი |
| 767 | თბილისი |
| 777 | თბილისი |
| 936 | თბილისი |
| 969 | თბილისი |
| 1030 | თბილისი |
| 1125 | თბილისი |
| 1146 | თბილისი |
| 1151 | თბილისი |
| 1210 | თბილისი |
| 1404 | თბილისი |
| 1429 | თბილისი |
| 1436 | თბილისი |
| 1676 | თბილისი |
| 1739 | თბილისი |
| 1766 | თბილისი |
| 1788 | თბილისი |
| 1984 | თბილისი |
| 2030 | თბილისი |
| | **15 აპრილი** |
| 2046 | თბილისი |
| 2092 | თბილისი |
| 2275 | თბილისი |
| 2282 | თბილისი |
| 2434 | თბილისი |
| 2478 | თბილისი |
| 2639 | თბილისი |
| 2699 | თბილისი |
| 3108 | თბილისი |
| 3514 | თბილისი |
| 3613 | თბილისი |
| 3627 | თბილისი |
| 3632 | თბილისი |
| 3751 | თბილისი |
| 4109 | თბილისი |
| 4110 | თბილისი |
| 4136 | თბილისი |
| 4521 | თბილისი |
| 7 | თბილისი |
| 87 | თბილისი |
| 154 | თბილისი |
| 320 | თბილისი |
| 692 | თბილისი |
| 713 | თბილისი |
| 771 | თბილისი |
| 826 | თბილისი |
| 908 | თბილისი |
| 934 | თბილისი |
| 1010 | თბილისი |
| 1044 | თბილისი |
| 1126 | თბილისი |
| 1235 | თბილისი |
| 1255 | თბილისი |
| 1337 | თბილისი |
| 1439 | თბილისი |
| 1443 | თბილისი |
| 1467 | თბილისი |
| 1504 | თბილისი |
| 1583 | თბილისი |
| 1696 | თბილისი |
| | **18 აპრილი** |
| 1722 | თბილისი |
| 1784 | თბილისი |
| 1889 | თბილისი |
| 1917 | თბილისი |
| 1979 | თბილისი |
| 2173 | თბილისი |
| 2272 | თბილისი |
| 2274 | თბილისი |
| 2312 | თბილისი |
| 2377 | თბილისი |
| 2418 | თბილისი |
| 2450 | თბილისი |
| 2533 | თბილისი |
| 2705 | თბილისი |
| 3069 | თბილისი |
| 3106 | თბილისი |
| 3501 | თბილისი |
| 3556 | თბილისი |
| 3558 | თბილისი |
| 3650 | თბილისი |
| 3700 | თბილისი |
| 4004 | თბილისი |
| 4013 | თბილისი |
| 4046 | თბილისი |
| 4122 | თბილისი |
| 4128 | თბილისი |
| 4150 | თბილისი |
| 4167 | თბილისი |
| 4631 | თბილისი |
| 4652 | თბილისი |
| 4670 | თბილისი |
| 1510 | ცხინვალი |
| 1767 | თბილისი |
| 3668 | თბილისი |
| 3669 | თბილისი |
| | **19 აპრილი** |
| 418 | რუსთავი |
| 1107 | რუსთავი |
| 1225 | რუსთავი |
| 2605 | რუსთავი |
| 2671 | რუსთავი |
| 720 | რუსთავი |
| 288 | რუსთავი |
| 716 | რუსთავი |
| 1511 | რუსთავი |
| 2076 | რუსთავი |
| 4530 | რუსთავი |
| 886 | რუსთავი |
| 3541 | რუსთავი |
| 2297 | რუსთავი |
| 2507 | რუსთავი |
| 251 | რუსთავი |
| 1106 | რუსთავი |
| 1159 | რუსთავი |
| 1565 | რუსთავი |
| 3173 | რუსთავი |
| 4529 | რუსთავი |
| 1025 | რუსთავი |
| 407 | რუსთავი |
| 1323 | რუსთავი |
| 1569 | რუსთავი |
| 1586 | რუსთავი |
| 518 | რუსთავი |
| 800 | რუსთავი |
| 1968 | რუსთავი |
| 1971 | რუსთავი |
| 2519 | რუსთავი |
| 3064 | რუსთავი |
| 4545 | რუსთავი |
| 4559 | რუსთავი |
| 4 | რუსთავი |
| 212 | რუსთავი |
| 214 | რუსთავი |
| 329 | რუსთავი |
| 531 | რუსთავი |
| | **20 აპრილი** |
| 570 | რუსთავი |
| 634 | რუსთავი |
| 660 | რუსთავი |
| 801 | რუსთავი |
| 804 | რუსთავი |
| 937 | რუსთავი |
| 1062 | რუსთავი |
| 1440 | რუსთავი |
| 1525 | რუსთავი |
| 1537 | რუსთავი |
| 1571 | რუსთავი |
| 1646 | რუსთავი |
| 1675 | რუსთავი |
| 1825 | რუსთავი |
| 1856 | რუსთავი |
| 2133 | რუსთავი |
| 2165 | რუსთავი |
| 2321 | რუსთავი |
| 2380 | რუსთავი |
| 2680 | რუსთავი |
| 3013 | რუსთავი |
| 3021 | რუსთავი |
| 3090 | რუსთავი |
| 3581 | რუსთავი |
| 3621 | რუსთავი |
| 3686 | რუსთავი |
| 3708 | რუსთავი |
| 4132 | რუსთავი |
| 4149 | რუსთავი |
| | **21 აპრილი** |
| 1557 | ბათუმი |
| 2255 | ბათუმი |
| 3586 | ბათუმი |
| 2361 | ბათუმი |
| 2592 | ბათუმი |
| 498 | ბათუმი |
| 946 | ბათუმი |
| 2254 | ბათუმი |
| 2358 | ბათუმი |
| 2360 | ბათუმი |
| 236 | ბათუმი |
| 493 | ბათუმი |
| 4057 | ბათუმი |
| 2503 | ბათუმი |
| 3522 | ბათუმი |
| 124 | ბათუმი |
| 499 | ბათუმი |
| 3642 | ბათუმი |
| 2747 | ბათუმი |
| 477 | ბათუმი |
| 4055 | ბათუმი |
| 691 | ბათუმი |
| 478 | ბათუმი |
| 1277 | ბათუმი |
| 299 | ბათუმი |
| 479 | ქობულეთი |
| 1593 | ქობულეთი |
| 1795 | ქობულეთი |
| 1891 | ქობულეთი |
| 2059 | ქობულეთი |
| 1893 | ქობულეთი |
| 2179 | ქობულეთი |
| 105 | ქედა |
| 2779 | ქედა |
| 295 | ქედა |
| 3135 | ქედა |
| 3134 | ქედა |
| 3585 | ქედა |
| 1890 | ხულო |
| 2594 | ხელვაჩაური |
| 2593 | ხელვაჩაური |
| 311 | ხელვაჩაური |
| 106 | შუახევი |
| 4546 | შუახევი |
| 4547 | შუახევი |
| | **22 აპრილი** |
| 95 | ოზურგეთი |
| 3624 | ოზურგეთი |
| 96 | ოზურგეთი |
| 1945 | ოზურგეთი |
| 94 | ოზურგეთი |
| 976 | ოზურგეთი |
| 433 | ოზურგეთი |
| 977 | ოზურგეთი |
| 1281 | ოზურგეთი |
| 975 | ოზურგეთი |
| 810 | ოზურგეთი |
| 1308 | ოზურგეთი |
| 2349 | ჩოხატაური |
| 339 | ჩოხატაური |
| 249 | ჩოხატაური |
| 159 | ლანჩხუთი |
| 434 | ლანჩხუთი |
| 2329 | ლანჩხუთი |
| 370 | ფოთი |
| 1304 | ფოთი |
| 1049 | ფოთი |
| 410 | ვანი |
| 1077 | ვანი |
| 1417 | ვანი |
| 1690 | ვანი |
| 2142 | ვანი |
| 2147 | ვანი |
| 2208 | ვანი |
| 1076 | სამტრედია |
| 1579 | სამტრედია |
| 2246 | სამტრედია |
| 178 | სამტრედია |
| 177 | სამტრედია |
| 667 | სამტრედია |
| 2638 | სამტრედია |
| 2345 | სამტრედია |
| 2638 | სამტრედია |
| 54 | ხონი |
| 2153 | ხონი |
| 2232 | ხონი |
| 2258 | ხონი |
| 2730 | ხონი |
| | **25 აპრილი** |
| 421 | საჩხერე |
| 688 | საჩხერე |
| 1061 | საჩხერე |
| 1213 | საჩხერე |
| 1214 | საჩხერე |
| 1715 | საჩხერე |
| 1809 | საჩხერე |
| 2429 | საჩხერე |
| 301 | საჩხერე |
| 971 | საჩხერე |
| 680 | ჭიათურა |
| 687 | ჭიათურა |
| 1264 | ჭიათურა |
| 1716 | ჭიათურა |
| 241 | ჭიათურა |
| 2318 | ჭიათურა |
| 3607 | ჭიათურა |
| 1512 | ჭიათურა |
| 1603 | ზესტაფონი |
| 760 | ზესტაფონი |
| 1081 | ზესტაფონი |
| 1932 | ზესტაფონი |
| 2538 | ზესტაფონი |
| 1601 | ზესტაფონი |
| 1860 | ზესტაფონი |
| 2128 | ზესტაფონი |
| 525 | ზესტაფონი |
| 3737 | ზესტაფონი |
| 2587 | ზესტაფონი |
| 728 | ზესტაფონი |
| 1710 | ზესტაფონი |
| 2332 | ზესტაფონი |
| 305 | ხარაგაული |
| 1039 | ხარაგაული |
| 1651 | ხარაგაული |
| 2082 | ხარაგაული |
| 2083 | ხარაგაული |
| 3051 | ხარაგაული |
| 2356 | ხარაგაული |
| | **26 აპრილი** |
| 26 | აბაშა |
| 4526 | აბაშა |
| 1157 | სენაკი |
| 1664 | სენაკი |
| 3702 | სენაკი |
| 1620 | სენაკი |
| 1321 | სენაკი |
| 3062 | სენაკი |
| 2193 | მარტვილი |
| 3513 | მარტვილი |
| 2394 | მარტვილი |
| 350 | მარტვილი |
| 2371 | მარტვილი |
| 2392 | მარტვილი |
| 1555 | მარტვილი |
| 4527 | მარტვილი |
| 3094 | მარტვილი |
| 1171 | ხობი |
| 1530 | ხობი |

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 4100 | ხობი |
| 619 | ხობი |
| 1056 | ხობი |
| 1473 | ხობი |
| 4044 | ხობი |
| 4126 | ხობი |
| 1142 | ხობი |
| 2338 | ჩხოროწყუ |
| 821 | ჩხოროწყუ |
| 2334 | ჩხოროწყუ |
| 880 | ჩხოროწყუ |
| 2674 | ჩხოროწყუ |
| 658 | ჩხოროწყუ |
| 28 | წალენჯიხა |
| 104 | წალენჯიხა |
| 1578 | წალენჯიხა |
| 1698 | წალენჯიხა |
| **27 აპრილი** | |
| 743 | ქუთაისი |
| 1857 | ქუთაისი |
| 2143 | ქუთაისი |
| 491 | ქუთაისი |
| 1392 | ქუთაისი |
| 1602 | ქუთაისი |
| 3039 | ქუთაისი |
| 4017 | ქუთაისი |
| 352 | ქუთაისი |
| 1749 | ქუთაისი |
| 1811 | ქუთაისი |
| 1394 | ქუთაისი |
| 3146 | ქუთაისი |
| 529 | ქუთაისი |
| 1826 | ქუთაისი |
| 1835 | ქუთაისი |
| 2167 | ქუთაისი |
| 3534 | ქუთაისი |
| 734 | ქუთაისი |
| 963 | ქუთაისი |
| 967 | ქუთაისი |
| 1317 | ქუთაისი |
| 1639 | ქუთაისი |
| 1750 | ქუთაისი |
| 4590 | ქუთაისი |
| **28 აპრილი** | |
| 1370 | ქუთაისი |
| 541 | ქუთაისი |
| 1333 | ქუთაისი |
| 4599 | ქუთაისი |
| 876 | ქუთაისი |
| 1315 | ქუთაისი |
| 1385 | ქუთაისი |
| 2345 | ქუთაისი |
| 3012 | ქუთაისი |
| 877 | ქუთაისი |
| 4503 | ქუთაისი |
| 1316 | ქუთაისი |
| 1918 | ქუთაისი |
| 2655 | ქუთაისი |
| 1640 | ქუთაისი |
| 4021 | ქუთაისი |
| 1391 | ქუთაისი |
| 1818 | ქუთაისი |
| 2609 | ქუთაისი |
| 3031 | ქუთაისი |
| 4146 | ქუთაისი |
| 136 | ქუთაისი |
| 223 | ქუთაისი |
| 1257 | ქუთაისი |
| 1552 | ქუთაისი |
| 2412 | ქუთაისი |
| 2504 | ქუთაისი |
| 2650 | ქუთაისი |
| 2728 | ქუთაისი |
| 4551 | ქუთაისი |
| **3 მაისი** | |
| 1465 | ზუგდიდი |
| 4562 | ზუგდიდი |
| 1432 | ზუგდიდი |
| 1095 | ზუგდიდი |
| 2139 | ზუგდიდი |
| 2741 | ზუგდიდი |
| 3197 | ზუგდიდი |
| 744 | ზუგდიდი |
| 3034 | ზუგდიდი |
| 2288 | ზუგდიდი |
| 39 | ზუგდიდი |
| 1464 | ზუგდიდი |
| 4162 | ზუგდიდი |
| 2188 | ზუგდიდი |
| 2189 | ზუგდიდი |
| 127 | ზუგდიდი |
| 1413 | ზუგდიდი |
| 2328 | ზუგდიდი |
| 1365 | ზუგდიდი |
| 1580 | ზუგდიდი |
| 304 | ზუგდიდი |
| 1581 | ზუგდიდი |
| 2740 | ზუგდიდი |
| 958 | ზუგდიდი |
| 2698 | ზუგდიდი |
| 1665 | ზუგდიდი |
| 2284 | ზუგდიდი |
| 1111 | ზუგდიდი |

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 2236 | ზუგდიდი |
| 592 | ზუგდიდი |
| 2187 | ზუგდიდი |
| 1545 | ზუგდიდი |
| 2024 | ზუგდიდი |
| 2408 | ზუგდიდი |
| 3612 | ზუგდიდი |
| 3617 | ზუგდიდი |
| 3620 | ზუგდიდი |
| **4 მაისი** | |
| 2567 | ბაღდათი |
| 2632 | ბაღდათი |
| 2637 | ბაღდათი |
| 164 | ბაღდათი |
| 918 | ცაგერი |
| 1572 | ცაგერი |
| 3091 | ცაგერი |
| 3704 | ცაგერი |
| 1704 | ცაგერი |
| 114 | ონი |
| 163 | ონი |
| 1014 | ონი |
| 199 | ონი |
| 135 | ამბროლაური |
| 140 | ამბროლაური |
| 492 | ამბროლაური |
| 3725 | ამბროლაური |
| 1700 | ამბროლაური |
| 1884 | ამბროლაური |
| 1902 | ამბროლაური |
| 1927 | ამბროლაური |
| 2036 | ამბროლაური |
| 2799 | ამბროლაური |
| 3553 | ამბროლაური |
| 4039 | ამბროლაური |
| 4541 | ამბროლაური |
| 4594 | ამბროლაური |
| 610 | წყალტუბო |
| 612 | წყალტუბო |
| 875 | წყალტუბო |
| 2137 | წყალტუბო |
| 3587 | წყალტუბო |
| 1492 | წყალტუბო |
| 2396 | წყალტუბო |
| 2656 | წყალტუბო |
| 4593 | წყალტუბო |
| 155 | ტყიბული |
| 287 | ტყიბული |
| 1212 | ტყიბული |
| 2086 | ტყიბული |
| 2181 | ტყიბული |
| 2776 | ტყიბული |
| 1949 | ტყიბული |
| 4099 | ტყიბული |
| **5 მაისი** | |
| 2062 | მესტია |
| 4105 | მესტია |
| 1628 | მესტია |
| 1066 | ლენტეხი |
| 2035 | ლენტეხი |
| 3647 | ლენტეხი |
| 2062 | მესტია |
| 4105 | მესტია |
| 1628 | მესტია |
| 1066 | ლენტეხი |
| 2035 | ლენტეხი |
| 3647 | ლენტეხი |
| 148 | თერჯოლა |
| 1489 | თერჯოლა |
| 1119 | თერჯოლა |
| 380 | თერჯოლა |
| 693 | თერჯოლა |
| 1054 | თერჯოლა |
| 1564 | თერჯოლა |
| 1858 | თერჯოლა |
| 1034 | თერჯოლა |
| 2129 | თერჯოლა |
| 1543 | თერჯოლა |
| 390 | ახალგორი |
| 1896 | ახალგორი |
| 3512 | ახალგორი |
| 435 | ქურთის თემი |
| 1040 | ქურთის თემი |
| 1041 | ქურთის თემი |
| 2648 | ქურთის თემი |
| 1002 | ერედვი |
| 1598 | ერედვი |
| 1510 | ცხინვალი |
| 1767 | ცხინვალი |
| 3668 | ცხინვალი |
| 3669 | ცხინვალი |
| **6 მაისი** | |
| 116 | ბორჯომი |
| 682 | ბორჯომი |
| 3028 | ბორჯომი |
| 1611 | ბორჯომი |
| 2009 | ბორჯომი |
| 2228 | ბორჯომი |
| 1964 | ბორჯომი |
| 3202 | ბორჯომი |
| 1045 | ხაშური |
| 340 | ხაშური |
| 1087 | ხაშური |

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 1718 | ხაშური |
| 3161 | ხაშური |
| 1048 | ხაშური |
| 1453 | ხაშური |
| 3695 | ხაშური |
| 724 | ხაშური |
| 2537 | ხაშური |
| 3515 | ხაშური |
| 4681 | ახალქალაქი |
| 93 | ახალციხე |
| 269 | ახალციხე |
| 270 | ახალციხე |
| 271 | ახალციხე |
| 272 | ახალციხე |
| 719 | ახალციხე |
| 1136 | ახალციხე |
| 2435 | ახალციხე |
| 2770 | ახალციხე |
| 100 | ადიგენი |
| 4005 | ადიგენი |
| 2390 | ადიგენი |
| 1075 | ასპინძა |
| **10 მაისი** | |
| 1043 | ქარელი |
| 449 | ქარელი |
| 2150 | ქარელი |
| 1561 | ქარელი |
| 1520 | გორი |
| 2625 | გორი |
| 4049 | გორი |
| 1354 | გორი |
| 1348 | გორი |
| 1524 | გორი |
| 1349 | გორი |
| 151 | გორი |
| 1350 | გორი |
| 2335 | გორი |
| 2267 | გორი |
| 2266 | გორი |
| 1523 | გორი |
| 3530 | გორი |
| 1585 | გორი |
| 1522 | გორი |
| 3040 | გორი |
| 1351 | გორი |
| 1353 | გორი |
| 2108 | გორი |
| 3572 | გორი |
| 1338 | გორი |
| 2623 | გორი |
| 3571 | გორი |
| 600 | გორი |
| 1873 | გორი |
| 2295 | გორი |
| 200 | გორი |
| 673 | გორი |
| 773 | გორი |
| 1493 | გორი |
| 1702 | გორი |
| 4041 | გორი |
| **11 მაისი** | |
| 27 | კასპი |
| 55 | კასპი |
| 110 | კასპი |
| 2440 | კასპი |
| 3588 | კასპი |
| 1821 | კასპი |
| 2391 | კასპი |
| 608 | კასპი |
| 1215 | კასპი |
| 2369 | კასპი |
| 4086 | კასპი |
| 225 | დუშეთი |
| 396 | დუშეთი |
| 1068 | დუშეთი |
| 2539 | დუშეთი |
| 3008 | დუშეთი |
| 2093 | დუშეთი |
| 120 | თიანეთი |
| 4040 | თიანეთი |
| 338 | თიანეთი |
| 791 | თიანეთი |
| 285 | ყაზბეგი |
| 487 | ყაზბეგი |
| 772 | ყაზბეგი |
| 1047 | ყაზბეგი |
| 422 | ყაზბეგი |
| 4561 | მარნეული |
| 2522 | მარნეული |
| 3162 | მარნეული |
| 403 | მარნეული |
| 31 | მარნეული |
| 2462 | მარნეული |
| 1021 | მარნეული |
| 1685 | მარნეული |
| 21 | მარნეული |
| 374 | მარნეული |
| 1008 | მარნეული |
| 1023 | მარნეული |
| 1631 | მარნეული |
| 4023 | მარნეული |
| **12 მაისი** | |
| 2048 | მცხეთა |

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 3523 | მცხეთა |
| 61 | მცხეთა |
| 24 | მცხეთა |
| 1028 | მცხეთა |
| 34 | მცხეთა |
| 111 | მცხეთა |
| 1526 | მცხეთა |
| 2547 | მცხეთა |
| 232 | მცხეთა |
| 516 | მცხეთა |
| 1660 | მცხეთა |
| 2326 | მცხეთა |
| 2727 | მცხეთა |
| 689 | მცხეთა |
| 1138 | მცხეთა |
| 1290 | მცხეთა |
| 1613 | მცხეთა |
| 2015 | მცხეთა |
| 2508 | მცხეთა |
| 4154 | მცხეთა |
| 30 | ბოლნისი |
| 37 | ბოლნისი |
| 227 | ბოლნისი |
| 262 | ბოლნისი |
| 1141 | ბოლნისი |
| 2524 | ბოლნისი |
| 1455 | ბოლნისი |
| 1550 | ბოლნისი |
| 1567 | ბოლნისი |
| 1568 | ბოლნისი |
| 1622 | ბოლნისი |
| 302 | დმანისი |
| 530 | დმანისი |
| 2558 | დმანისი |
| 579 | დმანისი |
| 1742 | დმანისი |
| 126 | დმანისი |
| **13 მაისი** | |
| 1083 | გარდაბანი |
| 907 | გარდაბანი |
| 3657 | გარდაბანი |
| 4588 | გარდაბანი |
| 2543 | გარდაბანი |
| 509 | გარდაბანი |
| 3656 | გარდაბანი |
| 1798 | გარდაბანი |
| 46 | გარდაბანი |
| 638 | გარდაბანი |
| 911 | გარდაბანი |
| 956 | გარდაბანი |
| 959 | გარდაბანი |
| 2081 | გარდაბანი |
| 2454 | გარდაბანი |
| 3711 | გარდაბანი |
| 119 | თეთრიწყარო |
| 3666 | თეთრიწყარო |
| 2545 | თეთრიწყარო |
| 2607 | თეთრიწყარო |
| 3073 | თეთრიწყარო |
| 113 | წალკა |
| 797 | წალკა |
| 1320 | წალკა |
| 3170 | წალკა |
| 571 | საგარეჯო |
| 575 | საგარეჯო |
| 1236 | საგარეჯო |
| 290 | საგარეჯო |
| 2158 | საგარეჯო |
| 1094 | საგარეჯო |
| 4566 | საგარეჯო |
| 4565 | საგარეჯო |
| 48 | საგარეჯო |
| 66 | საგარეჯო |
| 328 | საგარეჯო |
| 394 | საგარეჯო |
| 1470 | საგარეჯო |
| 4554 | საგარეჯო |
| 4663 | საგარეჯო |
| **16 მაისი** | |
| 764 | გურჯაანი |
| 830 | გურჯაანი |
| 1112 | გურჯაანი |
| 4598 | გურჯაანი |
| 2482 | გურჯაანი |
| 2073 | გურჯაანი |
| 519 | გურჯაანი |
| 1070 | გურჯაანი |
| 1776 | გურჯაანი |
| 2710 | გურჯაანი |
| 1558 | თელავი |
| 117 | თელავი |
| 1216 | თელავი |
| 2570 | თელავი |

| № | ტერიტორიული ორგანოს (რ-ნის) დასახელება |
|---|---|
| 156 | თელავი |
| 1502 | თელავი |
| 928 | თელავი |
| 2722 | თელავი |
| 215 | თელავი |
| 1079 | თელავი |
| 1405 | თელავი |
| 1922 | თელავი |
| 2061 | თელავი |
| 925 | თელავი |
| 2719 | თელავი |
| 4597 | თელავი |
| 2675 | თელავი |
| 1916 | თელავი |
| 770 | თელავი |
| 1751 | თელავი |
| 22 | თელავი |
| 23 | თელავი |
| 966 | თელავი |
| 1409 | თელავი |
| 2646 | თელავი |
| 4161 | თელავი |
| 3590 | თელავი |
| **17 მაისი** | |
| 1032 | ყვარელი |
| 1224 | ყვარელი |
| 556 | ყვარელი |
| 1067 | ყვარელი |
| 1843 | ყვარელი |
| 2695 | ყვარელი |
| 2457 | ყვარელი |
| 4113 | ყვარელი |
| 1064 | ლაგოდეხი |
| 1167 | ლაგოდეხი |
| 375 | ლაგოდეხი |
| 3730 | სიღნაღი |
| 3593 | სიღნაღი |
| 216 | სიღნაღი |
| 1926 | სიღნაღი |
| 2090 | სიღნაღი |
| 1994 | სიღნაღი |
| 171 | სიღნაღი |
| 814 | სიღნაღი |
| 2180 | სიღნაღი |
| 142 | ახმეტა |
| 1078 | ახმეტა |
| 1080 | ახმეტა |
| 364 | ახმეტა |
| 1057 | ახმეტა |
| 2723 | ახმეტა |
| 1229 | დედოფლისწყარო |
| 92 | დედოფლისწყარო |
| 91 | დედოფლისწყარო |
| 1155 | დედოფლისწყარო |
| 182 | დედოფლისწყარო |
| 1230 | დედოფლისწყარო |
| 2027 | დედოფლისწყარო |
| 2175 | დედოფლისწყარო |
| 2523 | დედოფლისწყარო |
| **18 მაისი** | |
| 1154 | აფხაზეთი |
| 1956 | აფხაზეთი |
| 1663 | აფხაზეთი |
| 2117 | აფხაზეთი |
| 1684 | აფხაზეთი |
| 3620 | აფხაზეთი |
| 829 | აფხაზეთი |
| 2728 | აფხაზეთი |
| 1368 | აფხაზეთი |
| 2164 | აფხაზეთი |
| 4585 | აფხაზეთი |
| 4624 | აფხაზეთი |
| 130 | აფხაზეთი |
| 131 | აფხაზეთი |
| 132 | აფხაზეთი |
| 467 | აფხაზეთი |
| 468 | აფხაზეთი |
| 505 | აფხაზეთი |
| 824 | აფხაზეთი |
| 1172 | აფხაზეთი |
| 1199 | აფხაზეთი |
| 1280 | აფხაზეთი |
| 1319 | აფხაზეთი |
| 1729 | აფხაზეთი |
| 2172 | აფხაზეთი |
| 2262 | აფხაზეთი |
| 2288 | აფხაზეთი |
| 2328 | აფხაზეთი |
| 2740 | აფხაზეთი |
| 2765 | აფხაზეთი |
| 950 | აფხაზეთი |

სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპი (გასაუბრება) ჩატარდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი განრიგის მიხედვით დილის 9 საათიდან.

მისამართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,

მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქ. N10;

ტელ: 758267

ელ-ფოსტა: ministry@justice.gov.ge

ინფოთეკა

### კანი გუნდს ჰეთ-თრიკის შესრულებას უწინასწარმეტყველებს

მიუნხენის "ბაიერნის" მეკარემ ოლივერ კანმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონზე მის გუნდს შეუძლია, მოიგოს სამივე ტურნირი, რომელშიც იღებს მონაწილეობას - გერმანიის ჩემპიონატი, გერმანიის თასი და ჩემპიონთა ლიგა. ამჟამად მიუნხენელებს "შალკესთან" ერთად ბუნდესლიგაში პირველი ადგილი უკავიათ (53 ქულა). გარდა ამისა, გუნდმა ქვეყნის თასის ნახევარფინალსა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა.

"ძნელია შენი საუკეთესო თამაში აჩვენო ყოველ მესამე დღეს. თუმცა, ჩვენ დიდი შანსი გვაქვს, სამი ტურნირის მოგება რომ შევძლოთ. ამისთვის კი ნამდვილად ღირს მუშაობა. ჩემპიონთა ლიგაში "ჩელსის" წინააღმდეგ თამაში გველის. უმრავლესობას ინგლისელების მოგების იმედი აქვს. თუმცა, სახელგანთქმული კლუბები ყოველთვის ვერ აღწევენ წარმატებას. ზოგიერთმა, ეგრეთწოდებულმა პოპულარულმა კლუბმა, როგორიცაა "არსენალი", "ბარსელონა" და "რეალი", უკვე დატოვეს ტურნირი", - აცხადებს კანი.

### რანიერი სასამართლოში ჩივილს აპირებს

ესპანური კლუბის "ვალენსიას" ყოფილი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი სასამართლოში ჩივილს აპირებს. მწვრთნელის აზრით, "ვალენსია" ვალდებულია ყოფილ მწვრთნელს სამწლიანი კონტრაქტით გათვალისწინებული მთელი თანხა გადაუხადოს.

შეგახსენებთ, 25 თებერვალს რანიერი გაათავისუფლეს. ეს მაშინ მოხდა, როცა, კონტრაქტის თანახმად, მას კიდევ ორი წელი უნდა ემუშავა კლუბში.

ყოფილი მწვრთელის აზრით, "ვალენსიამ" მას 8,1 მილიონი ევროს უნდა გადაუხადოს.

ჯერჯერობით, უცნობია კლუბის ხელმძღვანელობის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

### ბეკენბაუერი ფეხბურთის ხულიგნების მიმართ ზომების გამკაცრებას მოითხოვს

"ბაიერნის" პრეზიდენტმა და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ მსოფლიო ფორუმის ორგანიზატორებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ხულიგანი-გულშემატკივრების ქმედებები და მკაცრად დასაჯონ ისინი. ეს განცხადება ბეკენბაუერმა მას შემდეგ გააკეთა, რაც გერმანელი გულშემატკივრების ჯგუფმა დებოში მოაწყო სლოვენიაში ნაკრებ-გუნდებს შორის შეხვედრის დაწყებამდე და მის დროს.

"მეტი სიფრთხილე გვართებს", - აღნიშნა ბეკენბაუერმა.

### ჟუნინიოს შოტლანდიურმა ფეხბურთმა იმედი გაუცრუა

შოტლანდიის კლუბ "სელტიკის" ნაცევრამცველმა ჟუნინიომ იმედგაცრუება გამოხატა იმ სტილის გამო, როგორადაც შოტლანდიაში თამაშობენ. ბრაზილიელის აზრით, ამ ქვეყანაში თამაში მას არ მოსწონს, ამიტომაც მიმდინარე სეზონის დასასრულს სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

"ბრაზილიაში დაბრუნება და იქ თამაში მინდა. ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება მოვახერხე და ვფიქრობდი, რომ ეს არც შოტლანდიაში გამიჭირდებოდა. ყველანაირად ვცდილობდი მათთვის ფეხი ამეწყო, მაგრამ მწვრთნელები ისეთი რამის გაკეთებას მთხოვენ, რაც ჩემთვის მიუღებელია. შოტლანდიაში ფეხბურთელები ნახევარცველებისთვის პასის გადაცემას მიჩვეულები არ არიან. ბურთი პირდაპირ კარის მიმართულებით მიაქვთ, ამიტომაც ნახევარმცველებისთვის ძალიან ძნელია საკუთარი თავის წარმოჩენა. მე კი თამაში მინდა", - დაიჩივლა ჟუნინიომ.

### ედუ "არსენალს" "ვალენსიაში" არ გაცვლის

ესპანური "ვალენსიას" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი ედუ მიმდინარე სეზონის დასასრულს მათთან გააფორმებს კონტრაქტს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა ფეხბურთელთა "მეთოფეთა" რამდენიმე შემოთავაზებაზე უარი თქვა, მათ შორის, კონტრაქტის ვადის გაზრდაზე და განაცხადა, რომ კლუბის დატოვებას აპირებს. "ვალენსია" მიზანთან ძალიან ახლოს იყო. თუმცა, მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

ახლა "ვალენსია" ცდას ისევ აპირებს.

ფეხბურთი

# ხავიერ პორტილიო: "მინდა, ჩემი მართლაც სჯეროდეთ"

გუშინ ხავიერ პორტილიოს 23 წელი შეუსრულდა. ის ამ თარიღს ზეიმობს, მაგრამ განწყობა ისეთი არა აქვს, როგორიც პორტილიოს სურდა. ფერნანდო მორიენტესის გუნდიდან წასვლის შემდეგ პორტილიო იჯარიდან დააბრუნეს (ფეხბურთელი ფლორენციის "ფიორენტინაში" იყო განათხოვრებული) და ახლა ის თავის შანსს ელოდება. ხან სათადარიგოთა სკამზე და ხანაც ტრიბუნებზე.

**- შენ უკვე 23 წელი შეგისრულდა. დაბადების დღე კი, ცოტა არ იყოს, სევდიანი გამოვიდა.**

- არა. დღეს განსაკუთრებული დღეა და ის სულაც არ არის სევდიანი. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ლა ლიგას მოვიგებთ, თუმცა, ყველას კარგად გვესმის, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება.

**- გულგატეხილი ხარ შენი ამჟამინდელი მდგომარეობით?**

- არა. მე აქ მას შემდეგ დავბრუნდი, რაც იტალიაში საკმაოდ ბევრი მატჩი ჩავატარე. მიხარია, რომ აქ ვარ. თუმცა, ამბიციური ფეხბურთელი ვარ და უფრო მეტი თამაში მინდა. არადა, უნდა ვაღიარო, რომ მადრიდში ძალიან დიდი კონკურენციაა. ჩვენ ძლიერი თავდასხმა გვყავს.

**- იტალიაში ყოფნა დაგეხმარა?**

- იქ ყველაფერი ძალიან მომწონდა. მე გავიზარდე, როგორც ადამიანი და განსაკუთრებით, - როგორც ფეხბურთელი.

**- როცა მორიენტესის წასვლა შეიტყვე, მადრიდიდან ზარს ელოდი?**

- ძალიან გამიხარდა, როცა ტელეფონით დამიკავშირდნენ, თავი მნიშვნელოვან ფეხბურთელად ვიგრძენი, მესიამოვნა, რომ გავახსენდი და ჩემი დაბრუნება გადაწყვიტეს. ამით ძალიან ვამაყობ.



**- მაგრამ შენ დაბრუნდი და საერთოდ არ თამაშობ...**

- ვერ ვიტყვი, რომ იმედგაცრუებული ვარ. რა თქმა უნდა, იმას არ მოველოდი, რომ ზოგიერთ მატჩში განაცხადშიც კი ვერ მოვხვდებოდი. თუმცა, ამის გამო ყურებს არ ჩამოვყრი. პირიქით, ეს მაიძულებს, უფრო გულმოდგინედ ვიშრომო.

**- წინ კიდევ ცხრა მატჩია დარჩენილი. ითამაშებ?**

- იმედი მაქვს. ვფიქრობ, თამაშის საშუალება კიდევ მომეცემა. სწორედ ამისთვის ვმუშაობ. მინდა, შანსი მივიღო და ჩემი სჯეროდეთ. მე ამ შანსს გამოვიყენებ.

**- დელ ბოსკეს დროს გავიგეთ, თუ რას ნიშნავს "პორტიგოლი". რა შეიცვალა ისეთი, რომ თავის გამოჩენის ასეთი მცირე საშუალება გაქვს?**

- დელ ბოსკეს დროს ცოტას ვთამაშობდი, მაგრამ რეგულარულად და ყოველთვის იმისთვის ვიყავი განწყობილი, რომ რამდენიმე წუთს ვითამაშებდი. გასულ სეზონში და ახლაც მინდორზე ყოველ მეოთხე მატჩში გამოვდიოდი, მაგრამ ყოველთვის ვიბრძოდი და ყველაფერს ვაკეთებდი, რაც შემეძლო. ის 15 გოლი უბრალოდ იღბალი არ იყო. გოლის გატანა არც ახლა დამვიწყებია, თუმცა, როგორც ჩანს, გულშემატკივარი შეეჩვია იმას, რომ მინდორზე ხუთი წუთით გამოვდივარ და გოლი გამაქვს. მაგრამ ასე უსასრულოდ ხომ შეუძლებელია.

**- ლუშემბურგო მიიჩნევს, რომ გუნდის შემადგენლობა მცირერიცხოვანია. ეთანხმები?**

- ჩვენ 23 ვართ. კი ბატონო! ეს მწვრთნელის აზრია და ჩვენ მას პატივი უნდა ვცეთ. მიმაჩნია, რომ ჩვენ ზუსტად იმდენი ვართ, რამდენიც ამ სეზონის ღირსეულად დამთავრებისთვის არის საჭირო.

**- გუშინ ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა და იქ არც ერთი მადრიდელი ფეხბურთელი არ გამოდიოდა. რა დაგემართათ?**

- გული მტკივა, რომ ასეთი რამ ხდება. ნაკრებში "რეალის" ფეხბურთელები ყოველთვის უნდა თამაშობდნენ. არ მგონია, რომ მადრიდში რაიმე სახის პრობლემებია. მე ვამაყობ, რომ ამ სკოლის აღზრდილი ვარ.

**- მაგრამ ამ სეზონში ამ სკოლის აღსაზრდელებს არ სწყალობენ...**

- პირველ გუნდში მოხვედრა ძალიან ძნელია. შეიძლება შარშანდელ სეზონში ამის გაკეთება უფრო შესაძლებელი იყო, მაგრამ არ გაგვიმართლა. გუნდმა ცუდად ითამაშა. თუმცა, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ძირითად გუნდში მოხვედრა იოლი არც უნდა იყოს. პირადად მე ძალიან დიდი შრომის ფასად მოვიპოვე იქ ადგილი. მე ბევრი გოლი უნდა გამეტანა იმისთვის, რომ პირველ გუნდში მოვხვედრილიყავი. როცა გუნდს რომელიმე ფეხბურთელი სჭირდება, მან თავის აღსაზრდელებს უნდა მიმართოს. ჩვენ ყოველთვის დავეხმარებით.

**- მომდევნო სეზონში მადრიდს დატოვებ?**

- მე მხოლოდ "ალბასეტეს" წინააღმდეგ კვირის თამაშზე ვახდენ კონცენტრაციას. როცა ამის დრო დადგება, მწვრთნელი და კლუბი ჩემს საქმეს შეისწავლიან და მაშინ ვნახოთ.

**- რონალდოს რა ემართება?**

- ეს ყველაფერი იღბლიანი და უიღბლო პერიოდია. ის მადრიდის "რეალისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

# ვან ბომელს თვალი დაადგეს

*მას სასარგებლო მოთამაშეს ეძახიან. ხელმძღვანელობს ნახევარდაცვას, იბრძვის თითოეული ბურთისთვის და შორი მანძილიდან დარტყმის დიდოსტატია (მისი წყალობით ეინდჰოვენის პსვ-მ, როგორც იქნა, გადალახა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი), ამასთან, ჩემპიონთა ლიგის თითოეულ მატჩში 90 წუთი შეუცვლელად თამაშობდა. ერთი სიტყვით, ჰოლანდიის "პსვ ეინდჰოვენის" შეუცვლელი მოთამაშე მარკო ვან ბომელი.*

თუ აქამდე მარკო ვან ბომელი ევროპული საფეხბურთო სამყაროსთვის ერთ-ერთ საჭირო მოთამაშედ ითვლებოდა, ახლა ჰოლანდიელი ნახევარმცველისკენ მეტი ყურადღებაა მიპყრობილი. ბომელისადმი ინტერესი მას შემდეგ უფრო გაიზარდა, რაც პსვ საკვირაო მატჩში ამსტერდამის "აიაქსს" ლიდერის რანგში ეწვია. ამსტერდამელები კი ეინდჰოვენის უახლოესი მდევრები არიან. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო, რა თამაში გაჩაღდებოდა ჰოლანდიის ორ უდიდეს კლუბს შორის. აიაქსელებმა, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონატში მესამე საფეხურზე დაბანაკებულან, იცოდნენ, რომ ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად ჰაერივით საჭირო იყო ეინდჰოვენელთა დამარცხება. ისიც კარგად იცოდნენ, რომ წარუმატებლობა ძალიან გაზრდიდა საშიშროებას, დარჩენილიყვნენ მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საგზურის გარეშე. საქმე ისაა, რომ მეორე ადგილზე მყოფი "ალკმაარი" ჩემპიონთან ერთად ავტომატურად ეუფლება ლიგის საგზურს, ხოლო მესამეზე გასულ კლუბს ჩემპიონთა ლიგისკენ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ექნება გზა გასაკაფი.



ამასობაში "აიაქსის" ახალმა დამრიგებელმა დენი ბლინდმა, რომელმაც კლუბში რონალდ კუმანი შეცვალა, მისთვის სადებიუტო მატჩში შემტევ ტაქტიკას მიანიჭა უპირატესობა. თუმცა, მოხდა ისე, რომ "ამსტერდამ არენაზე" ბურთები მარტო პსვ-ს გაჰქონდა. ანგარიში ფილიპ კოკუმ გახსნა, ხოლო შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე ვან ბომელმა სტუმართა უპირატესობა გააორმაგა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 14 წუთის განმავლობაში ბომელმა კიდევ ორი ბურთი შეაგდო აიაქსელთა კარში და ჰეთ-თრიკის ავტორად მოგვევლინა. ბომელისვე დამსახურებით ეინდჰოვენელებმა "ამსტერდამ არენას" ცხრაწლიან ისტორიაში ყველაზე მსუყე გამარჯვებას მიაღწიეს.

"ძალზე სასიამოვნო იყო სამი ბურთის გატანა, - თამაშის შემდეგ საკუთარი თავით კმაყოფილებას ვერ ფარავდა ბომელი. - მაგრამ უფრო სასიამოვნო მაინც ისაა, რომ ამსტერდამიდან შინ სამი ქულა მიგვაქვს. ამჟამად "აიაქსი" 14 ქულით ჩამოგვრჩება. ასე რომ, თუ ვინმეზე უნდა ვიფიქროთ, ეს "ალკმაარია", მით უმეტეს, რომ ჩვენთან ჩამორჩენა თვალშისაცემი არაა".

"აიაქსთან" თამაშისა და ჰეთ-თრიკის შემდეგ ვან ბომელისადმი ინტერესი გაორმაგდა. ჰოლანდიელის ხელში ჩაგდება სურთ ევროპულ კლუბებს, მათ შორის, "ბარსელონასაც". როგორც ამბობენ, ახლო მომავალში ეინდჰოვენელთათვის ბომელთან გამოთხოვება გარდაუვალია, მით უმეტეს, რომ თავადაც არაა წინააღმდეგი.

"პსვ-ში ყველაფერი რიგზე მაქვს, მაგრამ კლუბის მიტოვება მაინც მინდა. ახლა ყველანაირად მზად ვარ ცვლილებებისთვის. ჩემი გუნდი ბრწყინვალე სეზონს ატარებს, მაგრამ ეს მაინც არ შეცვლის ჩემს გადაწყვეტილებას. ახალი მიზნები მჭირდება".

ვან ბომელი საფეხბურთო სკოლა "ფორტუნში" ეზიარა ფეხბურთის ანაბანას. 1999 წელს, როდესაც ბომელი 22 წლის იყო, იგი პსვ-მ ჰავბეკად აიყვანა და არც უნანია. ეინდჰოვენელებმა პირველ ორ სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს. იმავე კომპანიაში 2002-03 წლებში პსვ კიდევ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ბომელს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზეც უნდა ეთამაშა, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა - ევრო 2004-მდე ცოტა ხნით ადრე ბომელმა ტრავმა მიიღო...

ახლა ბომელი მწყობრშია და, როგორც ხედავთ, ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც "აიაქსის" ყოფილი მწვრთნელი კუმანიც აღნიშნავს: "ვან ბომელი ჰოლანდიის საუკეთესო მოთამაშეა. იგი მშვენივრად ეწერება ნაკრების სქემაში".




ინფოთეკა

### ლუშემბურგო "რეალის" ხელმღვანელობას გუნდის პრობლემებზე აფრთხილებდა

მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ განაცხადა, რომ გასული წლის ბოლოს მადრიდულ კლუბში მოსვლის შემდეგ, რამდენიმე ხანში, ხელმძღვანელობა გააფრთხილა მთლიანი შემადგენლობის სუსტ მხარეებსა და პრობლემებზე.

"ვიცოდი, რომ ამ გუნდს პრობლემები შეექმნებოდა, თუ მას კვირაში ორი მატჩის ჩატარება მოუწევდა ეროვნულ ჩემპიონტსა და ჩემპიონთა ლიგაში. ამის შესახებ ვესაუბრე დირექტორ არიგო საკისა და ვიცე-პრეზიდენტს ემილიო ბუტრაგენიოს. "რეალს" არ არის საკმარისად დაბალანსებული იმისთვის, რომ ორივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატაროს. ზოგიერთი ფეხბურთელისთვის პოზიციების შეცვლა მინდოდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე. და მაინც, ეჭვი არ მეპარება, რომ "რეალს" ღირსეულ მწვრთნელობას გავუწევს, რადგან ჩემი გუნდი ამის ღირსია. იგი ყოველთვის კონკურენტუნარიანი, აგრესიული იყო და კარგ ფეხბურთსაც აჩვენებდა", - განაცხადა მწვრთნელმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ.**

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 31 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ურუგვაი - ბრაზილია
14:05 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი - პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ისრაელი - საფრანგეთი
17:50 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. არგენტინა - კოლუმბია
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:00 "ფუტბოლისტიკა"
21:30 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ურუგვაი - ბრაზილია. შესვენებისას (22:20) - თავისუფალი დარტყმა
23:25 "2:1". ტოკ-შოუ
00:25 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 16:10, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. მეოთხედფინალი. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:00 "სპორტისიმო"
14:45 "სპორტის აკვატორია"
15:15 თავისუფალი დარტყმა. მსოფლიო თასი ტაშკენტში
15:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპები აშშ-სა და ესპანეთში
16:25 როდეო. "Bull Riders"
17:10 "2:1". ტოკ-შოუ
18:10 პაველ ბურე. "რუსული რაკეტის გაფრენა". მეორე ნაწილი
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. მეოთხედფინალი
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:30 "მოტოვებული კვირა"
22:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:45 ჭადრაკი. "ამებრ-ტურნირი"
23:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
23:45 ახალი ამბები
00:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
11:00 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი მაიამიში. მეოთხედფინალები
15:00 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
19:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
20:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. მიმოხილვა
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი მაიამიში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:30 ახალი ამბები
01:45 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი
03:15 ახალი ამბები

# ეს ლენინის დაბადების დღეს მოხდება

## სერიოგა "შავი ბუმერით" თბილისისკენ მოემართება



ია ვეკუა

როგორც იქნა, დადგა დრო და ჩვენი თანამემამულეების მობილურ ტელეფონებზე "შალახოს" ნაცვლად უცხოური ჰიტი აწკრიალდა. ეს არც კლასიკაა და არც როკ-კლასიკა - ეს ვინმე სერიოგას ჰიპერპოპულარული "შავი ბუმერის" ჰანგებია. 22 აპრილს კი მისი თაყვანისმცემლები ხელის ტელეფონებს შინ დატოვებენ, რადგან საყვარელი კომპოზიციის მოსმენა "ლაივში" - სპორტის სასახლეში დაგეგმილ კონცერტზე შეეძლებათ.

როგორც ბოლო დროის პრაქტიკამ გვიჩვენა, რუსული ესტრადის მორიგი ვარსკვლავი კვლავ პროდიუსერ ნატო დუმბაძეს ჩამოჰყავს. 12-კაციანი შემადგენლობა თბილისში 21 აპრილს ჩამოვა და 23 აპრილამდე არა მხოლოდ თაყვანისმცემლებთან ურთიერთობით, არამედ ქართულ რეალობასთან "ჩახუტებითაც" იქნება დაკავებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუმრები წარმოშობით უკრაინიდან არიან, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ გაშლილი ხელებით შეხვდებიან სტუმრებს.

სპორტის სასახლის სტუმრები 22 აპრილს მოისმენენ არა მარტო "შავი ბუმერის" საკონცერტო ვერსიას, არამედ იმასაც შეიტყობენ, აქვს თუ არა სერიოგას სხვა სიმღერები. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რომელი ქართველი შემსრულებელი (ცხადია, რეპერი) გაბედნიერდება სერიოგასთან მუსიკალურ ალიანსში შესვლით, თუმცა, მსგავსი რამ ნამდვილად იგეგმება.

ვისაც ჰგონია, რომ სერიოგა ერთი ადამიანია, ცდება. "სერიოგად" წოდებული რეპ-პროექტი თურმე ერთი ჭკუისა და გაქანების 10 მუსიკოსს აერთიანებს: გიტარისტს, აკორდეონისტს, მესაყვირეს, ტრომბონისტს, დი-ჯეის და რამდენიმე მომხიბლავ ბექ-ვოკალისტს.

თავად სერიოგას, ანუ სერგეი პარხომენკოს არა მხოლოდ პროფესიონალური მუსიკალური განათლება აქვს მიღებული, არამედ თავის დროზე გერმანიაც გაუოცებია. მოგვიანებით კვლავ სამშობლოს დაუბრუნდა და პროექტი "სერიოგა" შექმნა. პირველად 2003 წელს ობოლი სინგლით წარდგა მსმენელის წინაშე, ერთი წლის შემდეგ კი ქვეყანა სრულფორმატიანი ალბომით გაახარა.

მალე შემსრულებელმა, ალბათ, ყველა თანამედროვე რეპერისთვის საოცნებო მიზანს მიაღწია, როცა ერთ-ერთმა უკრაინულმა ტელეარხმა "სლავი ემინემი" უწოდა. შარშანდელ რუსული MTV-ს დაჯილდოების ცერემონიალზე კი საუკეთესო ჰიპ-ჰოპ პროექტის ავტორად და დებიუტანტად აღიარეს.

## სათაფლია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში

ქართული საუნჯე - სათაფლია, შესაძლოა, მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოხვდეს. სათაფლიის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში მოხვედრის მიზნით, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს ქართული ეროვნული ღირსშესანიშნაობების საცდელი სია გაეგზავნა. სიის გაგზავნის საკითხი იუნესკოს გენერალური დირექტორის კოიჩირო მაცუურის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის შეხვედრისას შეთანხმდა. *ინტერ-პრესი*

## "სიმებიანი აკადემია"

საქართველოში საფრანგეთის საელჩო, 30 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით, "სიმებიანი აკადემიის" საგაზაფხულო გამოშვებას უმასპინძლებს. ღონისძიება ალექსანდრე დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში გაიმართება.

"სიმებიანი აკადემიის" საგაზაფხულო გამოშვება თხუთმეტამდე ქართველ მუსიკოსს მოუყრის თავს. აკადემიის დამაარსებელმა, ფრანგმა ვიოლონჩელისტმა, ჟერომ პერნომ წლევანდელ თემატიკად ბაროკოს სტილის მუსიკა შეარჩია. *ინტერ-პრესი*

# სად არიან სახელები

## საქართველომ რუსეთთან კულტურული ურთიერთობები განაახლა

ვერა ნეფარიძე

*რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების განახლების საჭიროება შარშან დადგა, ოქტომბერში დაგეგმილი კულტურული პროგრამის განხორციელება კი ვერ მოხერხდა. ამიტომ შარშანდელმა შემოდგომამ თბილისში რუსეთის მუსიკალური, თეატრისა და კინოს ვარსკვლავების სტუმრობის გარეშე ჩაიარა. შარშანდელთან შედარებით, წელს, აპრილში დაგეგმილი რუსეთის კულტურის დღეები ფინანსურად ნაკლებად იქნება უზრუნველყოფილი (საქართველოს ბიუჯეტიდან). ამასთან ერთად, გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გამართულ ერთობლივ შეხვედრაზე ღონისძიების ორგანიზატორებმა პროგრამის მონაწილეებით მაინცდამაინც ვერ დაგვაინტრიგეს. ასე რომ, შესაძლოა, კულტურის დღეებმა ხმაურიანი სახელების გარეშე ჩაიაროს. თუმცა, იქნებ ნაადრევია დასკვნების გაკეთება, ვინაიდან კულტურული პროგრამა ამ დროისთვის ბოლომდე დაზუსტებული არც არის.*



შარშან, როდესაც "ვადაგასული" კულტურული ურთიერთობების გახანგრძლივებაზე იყო საუბარი, მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ყველაფერი მაინც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებაზე იქნებოდა დამოკიდებული; რა შეიცვალა ამ მხრივ ორ ქვეყანას შორის, ვერ გეტყვით; რაც შეეხება კულტურულ ფონს - მას ისევე დაუზარლად შექმნიან დამსახურებული არტისტები, როგორც ამას სახელმწიფო დაკვეთა მოითხოვს. ეს დაკვეთა კი ალბათ იმგვარია, როგორც ამას გუშინ საქართველოსა და რუსეთის კულტურის სამინისტროების წარმომადგენლები ახმოვანებდნენ.

"მოხარული ვართ, რომ საქართველო-რუსეთს შორის აღდგა კულტურული ურთიერთობები; მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია, ურთიერთობების მაგალითი მივცეთ დანარჩენ სფეროებს", - განაცხადა მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა გუშინდელ შეხვედრაზე, რომელიც საქართველო-რუსეთს შორის დადებული შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გაიმართა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალურ სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ოქმს, რომელიც საქართველოში რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეების ორგანიზებასა და გამართვას უკავშირდება, - ამგვარია გუშინდელი აქტის ოფიციალური ფორმულირება. ოქმს ხელი მოაწერეს: მინისტრის მოადგილემ თამარ ქვარიანმა და რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტოს თანამედროვე ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ალექსანდრ ზავალოკმა. გუშინდელი პრესკონფერენციაც სწორედ მათ გამართეს რუსეთის კულტურის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

"შედეგიანი იყო ჩვენი მუშაობა ამ დღეებში. პროგრამა საკმაოდ დატვირთული და, იმედია, თქვენთვისაც საინტერესო იქნება", - განაცხადა ალექსანდრ ზავალოკმა და შეეცადა, ზოგადი წარმოდგენა შეგვქმნოდა აპრილში თბილისის სავარაუდო სტუმრების შესახებ. მანვე დააზუსტა თბილისელი ჟურნალისტების შეკითხვა - იგეგმებოდა თუ არა ამ ღონისძიების ფარგლებში ცნობილი რეჟისორის ნიკიტა მიხალკოვის ვიზიტი თბილისში. "როგორც ჩანს, ეს კერძო პროექტია", - გვითხრა სტუმარმა.

ის, რაც 16-დან 24 აპრილამდე თბილისში იგეგმება, არის სამი გამოფენა (მათ შორის ფოტოგამოფენაც), გალაკონცერტი ჩაიკოვსკის პრემიის ლაურეატების მონაწილეობით, კინოჩვენება (ფილმების ჩამონათვალი ამჟამად არაზუსტია) და მრგვალი მაგიდა ქართველი და რუსი ხელოვანების მონაწილეობით; ამას გარდა, თბილისის კინომსახიობთა და თეატრალური სარდაფის სცენებზე ითამაშებენ რუსი მსახიობები; როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, გადაწყვეტილია თეატრ doc-ის სპექტაკლების ჩვენება; სხვათა შორის, თბილისში ნანახი აქვთ თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლი "ჟანგბადი".

რაც შეეხება დაფინანსებას. როგორც თამარ ქვარიანმა განაცხადა, წელს საქართველოს ბიუჯეტიდან ნაკლები თანხა დაიხარჯება, ვიდრე შარშან იყო ნავარაუდევი; ამასთან, ხარჯების დიდ ნაწილს რუსული მხარე იღებს საკუთარ თავზე. და კიდევ, პროექტში არ არიან ჩართული კომერციული ორგანიზაციები. რუსეთის კულტურის დღეები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ოფიციალურად 18 აპრილს გაიხსნება. მანამდე კი (როგორც დაგვპირდნენ, არაუგვიანეს 12 დღისა), საბოლოო პროგრამასა და ღონისძიებათა ზუსტ გრაფიკს გაგვაცნობენ.

ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შემელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 2

ლაი-ლაი

აქცია გრძელდება: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადაა: 2005 წლის 30 აპრილი.

პაულო კოელიოს სვეტი

# როცა ხარ სრულიად მარტო



ჟურნალისტებს კითხვები აღარ დარჩათ და დაიშალნენ. გამომცემლებიც ციურიხისკენ მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ. სასიამოვნო ვახშმის მერე მეგობრებიც წავიდ-წამოვიდნენ. დავრჩი მარტო და ჟენევის ქუჩებში სახეტიალოდ გავეშურე. მშვენიერი საღამოა, კაციშვილის ჭაჭანება არ არის, მხოლოდ ბარებსა და რესტორნებში დუღს სიცოცხლე. გარემო საოცრად ლამაზი მეჩვენება. ვგრძნობ ირგვლივ გამეფებულ ბუნებრივ წესრიგს, თითქოს ახლობელს, მაგრამ თან მოულოდნელობის შეგრძნებაც არ მტოვებს...

და სწორედ ასე მოულოდნელად ვაცნობიერებ, რომ მარტო ვარ.

მგონი, თქმაც არ უნდა იმას, რომ ასე თავი ამ წლის განმავლობაში მრავალჯერ მიგრძვნია. თანაც, მალე მარტო აღარ ვიქნები, ჩემ ცოლამდე თვითმფრინავით ორსაათიანი მგზავრობა მაშორებს. ესეც რომ არა, ისეთი დაძაბული დღის შემდეგ, როგორიც დღეს იყო, რა ჯობია მარტო დარჩენას, ჟენევის ძველ, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ხეტიალს, მდუმარედ, ხმის ამოუღებლად გარემოს აღქმას. თუმცა, დღეს არც ვიცი რატომ, მაგრამ თავის დანუგეშება მაინც არ გამომდის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ დღეს მარტოსულობის განცდა მძიმე ტვირთად მაწევს. მინდა, გვერდით მყავდეს სულიერი, ვისთან ერთადაც ვისეირნებდი, ჟენევას აღმოვაჩენდი, შთაბეჭდილებებს გავუზიარებდი.

ჯიბეში მობილური ტელეფონიც მიდევს და ამ ქალაქში მეგობრებიც მყავს, მაგრამ უკვე გვიანია, ველარავის დავურეკავ. ამას ჯობია, რომელიმე ბარში შევიდე და სასმელი შევუკვეთო - ვიღაც აუცილებლად მიცნობს და შემომიერთდება. მაგრამ მერე ამ იდეასაც უარვყოფ, რადგან ვგრძნობ, რომ ჯობს, ჩემი გრძნობის გამომწვევ მიზეზებს ჩავუღრმავდე, ამ სიცარიელეს, ამ საშინელ ეჭვს, რომ თითქოს, არავის აინტერესებს, მე საერთოდ ვარსებობ თუ არა. ამიტომაც არ ვჩერდები. ქუჩიდან ქუჩაზე გადავდივარ.

გზად შადრევანი მხვდება და მახსენდება, რომ შარშან ამავე ადგილას ერთ რუს მხატვარ ქალბატონთან ერთად ვიჯექი. მას ორგანიზაცია Amnesty International-ისთვის დაწერილი ჩემი ტექსტი ჰქონდა გაფორმებული. იმ საღამოს ჩვენ მდუმარედ ვისხედით და წყლის ხმას ვუსმენდით, საიდანღაც ვიოლინოს შორეული მელოდიებიც აღწევდა. მაგრამ მეც და ისიც ისე ვიყავით ჩაფლულნი საკუთარ ფიქრებში, რომ მარტონი მაინც არ ვიყავით.

ახლა ტაძრის მიმართულებით მივდივარ. ქუჩის გადაღმა ვიყურები; ვხედავ, ფანჯარაა ღია, ოთახში ოჯახის წევრები სხედან, საუბრობენ. მარტოსულობის განცდა კიდევ უფრო მიმძაფრდება. ეს საღამოს გასეირნება უკვე ღამეულ მგზავრობას ემსგავსება; მგზავრობას რომლის მიზანიც არის, ბოლოს და ბოლოს, შევიცნო, თუ რას ნიშნავს აბსოლუტური მარტოობა.

ვსეირნობ და თან ფიქრებში ვცდილობ წარმოვიდგინო, თუ ზუსტად ამ წუთებში რამდენი ადამიანი გრძნობს თავს არა უბრალოდ მარტოდ, არამედ მიტოვებულად, განადგურებულად. ეს განცდა ყველაფრისგან დამოუკიდებლად დარევს ხოლმე ადამიანს ხელს - სიმდიდრის და სოციალური სტატუსისგან დამოუკიდებლადაც. ეს იმიტომ, რომ ადამიანი მარტოა ამაღამ, მარტო იყო გუშინ და მარტო იქნება ხვალ.

მარტოა სტუდენტი, რომელსაც შეყვარებული არ ჰყავს, ღამის უსიამოვნო ფიქრები რომ გაუფანტოს; მარტოა მოხუციც, რომელიც ტელევიზორთან ზის, თითქოს, ეკრანი იყოს მისი ერთადერთი ნუგეში და ხსნა. მარტოა ბიზნესმენიც, რომელიც სასტუმრო ოთახში განმარტოებულა და ფიქრობს, ნეტავ, რამე აზრი თუ აქვს მის საქმიანობას...

ახლა ერთი დიალოგიც მახსენდება დღევანდელი ვახშმიდან. ვიღაცამ, რომელიც მეუღლეს ცოტა ხნის წინ გაეყარა, თქვა: "ბოლოს და ბოლოს, დავტკბები ისეთი თავისუფლებით, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი". მაგრამ ეს ხომ ტყუილია. ასეთ თავისუფლებას თავშიც არავინ იხლის. ჩვენ ყველას გვჭირდება ადამიანი, რომელიც მუდამ ჩვენთან დარჩება; ვისთან ერთადაც ჟენევის მშვენიერ ქუჩებს მოივლი; ცხოვრებაზე ისაუბრებ; ანდა, უფრო მარტივად - ვისთან ერთადაც შიმშილის დროს ერთ სენდვიჩს გაიყოფ. უკეთესია, ჭამო ნახევარი სენდვიჩი და ნახევარი სხვას გაუყო, ვიდრე გქონდეს მთელი ულუფა საჭმელი, ადამიანი გვერდით კი - არა. უკეთესია, დარჩე მშიერი, ვიდრე დარჩე მარტო. რადგანაც, როცა ხარ მარტო - და მე ვგულისხმობ მარტოსულობას, რომელსაც თვითონ არ ვირჩევთ - ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს, ადამიანთა მოდგმას საერთოდ არ ეკუთვნოდე.

ახლა უკვე მშვენიერი სასტუმროსკენ მივდივარ, მდინარის მეორე ნაპირზე. სასტუმროს კეთილმოწყობილი ოთახები, თავაზიანი თანამშრომლები და ხუთვარსკვლავიანი მომსახურება აქვს. ცოტა ხანში ჩამეძინება კიდეც და უკვე ხვალ დღევანდელი ფორიაქი, დღევანდელი მარტოობის განცდა რაღაც ძალიან შორეულ და უცხო გრძნობად მომეჩვენება. რადგან უკვე ხვალ აღარ მექნება მიზეზი, ვიფიქრო: "მე მარტო ვარ".

მივდივარ სასტუმროსკენ და გამვლელებს ვაკვირდები. მათ ორ კატეგორიად ვყოფ: ადამიანები უტიფარი გამომეტყველებით (იმიტომ, რომ მათ ურჩევნიათ, თავი მოაჩვენონ სხვებს, თითქოს, ამ მშვენიერ საღამოს მარტო ყოფნა თვითონ აირჩიეს) და ადამიანები სევდიანი გამომეტყველებით (იმიტომ, რომ მათ კარგად იციან, არაფერია უფრო საშინელი დედამიწაზე, ვიდრე მარტოობის გრძნობა). მინდა, მივიდე და დაველაპარაკო მათ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ისე ერცხვინებათ საკუთარი მარტოსულობა, რომ ჯობს, თავი დავანებო. ჯობს, ეს განცდა ბოლომდე განიცადონ და თვითონ მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ასეთ წუთებში სხვებთან დალაპარაკება, თუნდაც უცხო გამვლელთან, ყოველთვის უკეთესი გამოსავალია, ვიდრე შინ ჩაკეტვა, ტელევიზორის ყურება ან წიგნის კითხვა. რადგან ასეთ შემთხვევაში ცხოვრებას აზრი ეკარგება, მარტოსულობა კიბოსავით ედება ყველაფერს გარშემო და ამ წუთიდან მოყოლებული გზა უკან - ადამიანობისკენ კიდევ უფრო გაუკვალავი ხდება.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

1

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აუცილებლად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**მანანა მამსირაშვილი**

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 80.2-ის თანახმად, მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და უწყებებში დასაქმებულ პირთა ხელფასებზე და პენსიებზე წესდება დანამატი 50%-ის ოდენობით. ვალდებულია თუ არა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწარმოს ადმინისტრაცია დააწესოს ხელფასზე ასეთი დანამატი და საქართველოს რომელი რეგიონები მიეკუთვნება მაღალმთიან რეგიონებს, კერძოდ, მაღალმთიანობა განსაზღვრულია თუ არა მხოლოდ ზღვის დონიდან მდებარეობით?

ქალბატონო მანანა,

შრომის კანონთა კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

"2.მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და უწყებებში, აგრეთვე მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ პირთა ხელფასებზე და პენსიებზე წესდება დანამატი 50 პროცენტის ოდენობით."

ამრიგად, ეს დანამატი შეეხება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანოებს. საქართველოს კანონი "მაღალმთიანი რეგიონების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" დეტალურად ჩამოთვლის იმ სოფლებს და ქალაქებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მაღალმთიან რეგიონებს, მათი ჩამონათვალი კი ძალზე დიდ ადგილს იკავებს და ამიტომ ვერ მოგაწვდით მათ დეტალურ ჩამონათვალს.

**ლიალია დანდუროვა**

როგორც ნაწილი ვალისა, ნატურით გადმომეცა მოვალის ბინა. მოვალის მეზობელმა სასამართლოში შეიტანა განცხადება, სადაც პრეტენზიას აცხადებს მოვალის აღნიშნულ ბინაზე.

მოსამართლემ განიხილა მისი განცხადება და სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით დააყადაღა აღნიშნული ბინა. იმავე განჩინებით, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ჩემთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მიზნით, ყადაღა დაედო აგრეთვე მოვალის მეზობლის ბინას.

საქმე მიღებულია წარმოებაში. საქმე გადაეცა სხვა მოსამართლეს.

მაინტერესებს: მეზობლის სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლომ ამავე პროცესშივე უნდა გადაწყვიტოს სარჩელის აღძვრამდე განჩინებით გათვალისწინებული ჩემთვის ზიანის ანაზღაურება თუ ამ მოთხოვნით ცალკე უნდა შევიტანო სარჩელი სასამართლოში?

ქალბატონო ლიალია,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ 192-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად.

**(მუხლი 192.** განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე

1. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.

2. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.)

ამრიგად, საქმის განმხილველი სასამართლო გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხს ამავე საქმის წარმოებისას და დამატებით რაიმე ახალი სარჩელის წარდგენა საჭირო არ არის.

**გიორგი ნიკოლაშვილი**

აქვს თუ არა საგადასახადო ინსპექციას მოსაკრებლის აკრების უფლება ჯიხურიდან, რომელიც მდებარეობს საკუთარ ეზოში. თუ არსებობს კოდექსი ამ საკითხის შესახებ.

ბატონო გიორგი,

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს(საშემოსავლო, მოგების, სოციალურ, დ.ღ.გ.-ს, აქციზს, სათამაშო ბიზნესის, ქონების) კრეფს საგადასახადო ორგანო. ხოლო მოსაკრებლების შესახებ მიღებულია მათი სახეების მიხედვით სხვადასხვა კანონები, შესაბამისად ამ კანონებით განისაზღვრება მათი ამკრეფი უფლებამოსილი ორგანოები.

**თინათინ ჭიჭინაძე**

თბილისის მერიის მიერ გამოცხადდა აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო ერთ-ერთი არასაცხოვრებელი ფართი. მე მსურდა დასწრება, მაინტერესებდა რამდენად საჯაროდ მიმდინარეობდა თვითონ აუქციონის პროცედურა. მაგრამ ქ. თბილისის მერიის პრივატიზაციის სამმართველოში (უფროსი დ. ჭედია) ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა (ზ. იმნაიშვილმა) კატეგორიული უარი განმიცხადა და მითხრა, რომ აუქციონზე დასწრება მხოლოდ აუქციონის მონაწილეებს შეუძლიათ იმიტომ, რომ ოთახი ძალიან პატარა არისო.

გთხოვთ, ამიხსნათ კანონიერი იყო თუ არა ზ. იმნაიშვილის ქმედება? იმიტომ, რომ პირადად ზ. იმნაიშვილმა ვერ ამიხსნა რამდენად სწორად მოიქცა და რომელი დებულებით ისარგებლა.

ქალბატონო თინათინ,

1997 წლის კანონის "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

"1. კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში ან ადგილობრივ პრესაში (თუ პრივატიზებას ახდენს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო). ამასთან, შეიძლება ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებაც.".

1999 წლის დებულებით "სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ" (მუხლი მე-2, ნაწილი მე-3) აუქციონის ჩამტარებელი საპრივატიზაციო ქონების შესახებ სულ ცოტა ერთი თვით ადრე აუქცინის ჩატარებამდე უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნებას, ხოლო ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტის პრივატიზაციის შესახებ აუქციონამდე ოთხი თვით ადრე (ეს ინფორმაცია ქვეყნდება ცენტრალურ ან ადგილობრივ პრესაში, მათ შორის, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში", ასევე ინტერნეტ ქსელით). ამრიგად, ამ მხრივ უზრუნველყოფილია აუქციონის საჯაროობა. ამას გარდა აუქციონის ჩამტარებელი ქმნის ღია აუქციონის ორგანიზების და ჩატარების მიზნით მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას, ეს კომისია კი შეიმუშავებს და ამტკიცებს თავისი მუშაობის რეგლამენტს (მუხლი მე-2, ნაწილი მე-8 და მე-9). ამავე დებულების თანახმად, აუქცინზე დასწრების უფლება აქვს იმ პირს, რომელსაც სურს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ობიექტის შეძენა(მუხლი მე-3).

**ნათელა ვასაძე**

ვარ უკანონოდ დაზარალებული. კერძოდ: 2001 წლის 17 სექტემბერს მუშაობა დავიწყე ოზურგეთის რაიონის სამხედრო კომისარიატში მეორე ქვეგანყოფილების მთავარ სპეციალისტად. 2002 წლის 3 სექტემბერს გავედი დეკრეტულ შვებულებაში, რომლის ვადა დასრულდა 2003 წლის 6 იანვარს. 8 იანვარს (6 გამოსასვლელი დღე გახლდათ, შობა!) გამოვცხადდი სამსახურში. კომისრის ნაცვალმა (რეორგანიზაციის შემდგომმა გაწვევის უფროსის სტატუსით მუშაობს ა. მექვაბიშვილი) ამიხსნა, რომ არ არსებობს პრობლემა, გაწვევის - თანავე გამოგიძახებო. გამოუძახებლად მივაკითხე შეპირებულ დროს და მიპასუხა: მე უკვე მთელი შტატი დავაკომპლექტე, მიმართე თავდაცვის სამინისტროს. უპირველესად, კომისარიატის ახალ პატრონს, რაიონის გამგებელს მივმართე განცხადებით. თვეების განმავლობაში-არავითარი რეაგირება (ამჟამად ჩემი განცხადება ვეღარ იპოვეს!!!). მას შემდეგ ვეძებ სამართალს ამაოდ. ჩემი კანონიერი მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომაც და საქმის აქ, ვაკე-საბურთალოს სასამართლოში გადმოგზავნას დამპირდა. გამარკვიეთ ჩემს სიმართლეში, დამეხმარეთ.

P.S. თავდაცვის სამინისტრომ მხარი დაუჭირა ჩემს აღდგენას სამსახურში.

ქალბატონო ნათელა,

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 96-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 96. სამსახურიდან განთავისუფლება დაწესებულების ლიკვიდაციის გამო**

1. მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო.

2. დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე.

3. დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან.

ხოლო 97-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 97. სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით**

1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

2. მოხელე არ შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე.

3. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

აგრეთვე 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

**მუხლი 111. სამსახურიდან განთავისუფლების შეზღუდვა გარკვეული პერიოდის მიხედვით**

2. მოხელე (ქალი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

და 112-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 112. მოთხოვნის უფლება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში**

სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამრიგად, აღნიშნული პირის მოქმედება არ შეესაბამება მითითებული კანონის მოთხოვნებს.

**გიორგი ნიკოლაშვილი**

1997 წლის თებერვალში დაიწყო ფუნქციონირება ჯიხურმა საკუთარ ეზოში. ჯიხურის შემოსავალმა არ გაამართლა. ჯიხური არის კვადრატ-ნახევარი. 1999 წლის სექტამბერში ჯიხური დავხურეთ. ამ ხნის განმავლობაში ყოველთვიურად ვიხდიდით გადასახადს. ჯიხური არის დახურული 1999 წლის სექტემბერში.

2003 წლის ოქტომბერში მოგვივიდა საგადასახადო უწყება თანხით 1278 ლარი. მივაკითხეთ საგადასახადოს, რომელსაც ავუხსენით სიტუაცია, მაგრამ ის თანხა, რომელსაც ვიხდიდით 3 წლის განმავლობაში, კომპიუტერში დაფიქსირებული იყო მხლოდ ერთი თვე. მის შემდეგ მოხდა ნოემბრის რევოლუცია, 2005 წლის მარტში ისევ მოვიდა შეტყობინება საგადასახადო თანხით 1618 ლ. ვის უნდა მივმართოთ და როგორ მოვიქცეთ?

ბატონო გიორგი,

თქვენ უნდა მიგემართათ საგადასახადო ორგანოსთვის, რომელიც თქვენი ოფიციალური განცხადების საფუძველზე დაარეგისტრირებდა, რომ კონკრეტულ დროს შეწყდა აღნიშნული ჯიხურის ფუნქციონირება. ახლა კი თქვენ შეგიძლიათ ისევ მიმართოთ საგადასახადო ორგანოს, რომელიც მიგითითებთ, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

**დალი ხარაბაძე**

მაინტერესებს, მოქმედებს თუ არა საპენსიო კანონი, რომლის თანახმადაც ე.წ. პირველი სიით ანუ განსაკუთრებით მავნე პირობებში მუშაობის სტაჟით ინიშნებოდა პენსია 45 წლის (ქალებისათვის) და 50 წლის (კაცებისათვის) ასაკში. ვმუშაობდი ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ რეაქტორზე.

ქალბატონო დალი,

მოქმედი კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული რაიმე შეღავათი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**ირაკლი მარშანია**

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 აპრილის ბრძანებულების (ნომერი 202) საფუძველზე სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 10 წლის ვადით გადაეცა საქართველოს კონტროლის პალატის სააქტო დარბაზი. აღნიშნულის გამო 2003 წლის 29 იანვარს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს უფლებამოსილ პირსა და თეატრის წარმომადგენელს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მესაკუთრე გადასცემს, ხოლო უზუფრუქტუარი უსასყიდლო სარგებლობის უფლებით იძენს ქ. თბილისში, ქ. წამებულის ნომერ 96-ში მდებარე საქრთველოს კონტროლის პალატის სააქტო დარბაზს, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით თანდართული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ ვართ პირველ სართულზე, ხოლო ჩვენს ზემოთ სხვა სართულებიცაა, რომელიც ეკუთვნის კონტროლის პალატას) ჩვენ, როგორც უზუფრუქტუარი უფლებებს შევიძენთ საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. რეესტრმა უარი გვითხრა რეგისტრაციაზე იმ მიზეზით, რომ ხელშეკრულებაში საუბარია მხოლოდ ქონებაზე და არა მიწაზე. ამის გამო მივმართეთ ეკონომიკის განვითერების სამინისტროს, სადაც გვითხრეს, რომ ეს მათი კომპეტენცია არ არის. როგორ ვიმოქმედოთ?

ბატონო ირაკლი,

სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, უზუფრუქტით შეიძლება დატვირთულ იქნეს უძრავი ნივთი. 149-ემუხლის მიხედვით კი, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე ამოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამრიგად, უზუფრუქტით შეიძლება დატვირთულ იქნეს შენობა-ნაგებობაც დამოუკიდებლად მიწისაგან. 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. მაშასადამე, წარმოადგენს რა უზუფრუქტი ერთ-ერთ სანივთო უფლებას, იგი უნდა შეიტანოს საჯარო რეესტრმა საჯარო რეესტრში.

**ლეილა ზედგენიძე**

სამი შეკითხვა მაქვს განჩინებასთან სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით: 1) წინისწინა ნომერში თქვენ მიპასუხეთ, რომ ასეთი განჩინების გამოტანისას მოსამართლე უნდა ემყარებოდეს ერთ ან რამდენიმე მტკიცებულებას. ხომ არ შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით განმიმარტოთ ტერმინი "მტკიცებულება"? ეს არის - ოფიციალური, ნოტარიულად დამოწმებული ან მაგდაგვარი დოკუმენტი თუ შეუმოწმებელი, ზეპირი განცხადება? 2) არის თუ არა განსაზღვრული განცხადების, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით, განხილვის ვადა? 3) ვინ არის პასუხისმგებელი პირი, რათა მოსამართლის ასეთი განჩინება გადაეცეს იმ ადრესატებს, რომლებიც ამ განჩინებაშია მითითებული. თუ განჩინების დიდი დაგვიანებით მიღებით მომადგა მატერიალური ზიანი, - უნდა დაისაჯოს ვინმე თუ არა?

ქალბატონო ლეილა,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამრიგად, მტკიცებულება წარმოადგენს საშუალებას, დამტკიცდეს ის გარემოებანი, რომლებზეც პირი ამყარებს თავის მოთხოვნებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებებია მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება ( წერილობითი მტკიცებულება შეიძლება იყოს როგორც უბრალო წერილობითი დოკუმენტი, ისე ნოტარიუსის თუ რომელიმე ორგანოს მიერ დამტკიცებული ), ექსპერტის დასკვნა. 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე. მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო დანიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან. ამრიგად, ამ განჩინების ჩაბარების მომენტიდან ხუთი დღის ვადაში შეიძლება მასზე იმავე სასამართლოში კერძო საჩივრის შეტანა. რაც შეეხება ჩაბარების ვადას, იგი კოდექსით არ არის განსაზღვრული.

**იზ. ერგემლიძე, სვ. ებანოძე და ირ. კუპატაძე**

მოგახსენებთ, რომ 2003 წლის 12 აგვისტოს კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურების და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შესწავლილ იქნა ქუთაისის მ. ბალანჩ. სახ. სამუსიკო სასწავლებლის დირექტორისა და ადმინისტრაციის არასამართლებრივი ქმედებები და არსებული დოკუმენტების ნუსხა: 1) საქართველოს კონტროლის პალეტის სამუსიკო სასწავლებლის ჩატარ. საფ. სარევიზიო შემოწ. აქტი (ნომერ 570100902), 2) იმერეთის შ.ს.მთავარი სამმართველოს კორუფც. და ეკ. დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს დადგ. ნომერი 5/შემ-34 კოლ/ 10, 100504), 3) საქართველოს პრემიერ-მინისტ. და უშიშროების საბჭოს მიმართვა კულტურის მინისტრისადმი ნომერ 5 102 და ნომერ 102 ბ (2004-27, 30 012), 4) საქართველოს გენ. პროკ-ის მიმ. სახ. დამცველის ოფისს (ნომერი 6-57 21 02 05), 5) საქ. იმ. რეგ. კორუფც. წინ. ბრძ. და მომხ. უფლების დაცვის ასოციაციის "საჩინოს" დასკვნა ( ნომერ 6-57 21 02 05 ), 6) საქ. მასწ. თავ. პროფ. "სოლიდარობის" მონიტორინგის დასკვნა და მიმართვა კულტ. მინისტრისადმი ( ნომერ 402 504 04), ჩვენი არაერთგზის მიმართვისა კულტ. სამინ., თავისუფლ. ინსტიტ. და ომბუდსმენის ოფისმა სრული იგნორირ. უპასუხა ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს კორუმპ. დირექტორის განთავისუფლების თაობაზე. გთხოვთ, განგვიმარტეთ კულტურის სამინისტროს მესვეურთა პასუხისმგებლ. საკითხი ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

პატივცემულო მოქალაქენო,

საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ" ეხება რა საჯარო მოსამსახურეთა განთავისუფლების პირობებს, არაა მითითებული, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მოსამსახურის განთავისუფლების პირობას. ამ კანონის 103-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 103. განთავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო**

მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლის თანახმადაც მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. მოხელე თავისუფლდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც მომკვლევს, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს მოქალაქემ, თანამდებობის პირმა, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, საწარმომ, ოპერატიულსამძებრო ორგანომ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა პირმა, ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აგრეთვე უშუალოდ სამართალწარმოების ორგანოს მიერ საქმის გამოძიებისას აღმოჩენილი ცნობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ორგანოს წარმომადგენელი დანაშაულის თვითმხილველია ან დაზარალებულია, ასევე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოვლენილი ცნობები.

261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის ნიშნების არსებობის ყველა შემთხვევაში მოკვლევის ორგანო, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე.

ამრიგად, პირი სამსახურიდან შეიძლება განთავისუფლებული იქნეს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ.

**გიორგი კოტორაშვილი**

საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში მრავალი წლების მანძილზე მიმდინარეობს ნავთობის და გაზის მოპოვება, რის გამოც დაშრა სოფლის სასმელი წყლები, განადგურდა სოფლის გზები, ტყეები, საძოვრები, თავი იჩინა სხვადასხვა დაავადებებმა. ჰაერში იგრძნობა ნავთობის და გაზის სუნი. (სხვაგვარად ნავთობს ვერ მოიპოვებენ). სოფელში მოქმედი ნავთობკომპანია იხდის კანონით გათვალისწინებულ გადასახადს. მაგრამ ახალი კანონის თანახმად სოფელს არაფერი არ რჩება, ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში. გთხოვთ, გვაცნობოთ რა კომპენსაცია ეკუთვნის სოფლის მოსახლეობას და ვინ არის ვალდებული მისი გადახდის კონკრეტულად, ერთმანეთს რომ არ გადააბრალონ.

ბატონო გიორგი,

მოქმედი საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე გადასახადს აღნიშნული შემთხვევისათვის. საქართველოს კანონი "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ" აწესებს მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, მაგრამ საქართველოს კანონის "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ" ჩამოთვლის რა იმ მოსაკრებლებს, რომლებიც უნდა ჩაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტში, არაა მითითებული აღნიშნულ მოსაკრებელზე. ამრიგად, აღნიშნული მოსაკრებელი ჩაირიცხება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 174. ცნება. ურთიერთპატივისცემის მოვალეობა**

მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

**მუხლი 175. სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება**

1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია,მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით,რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

**ნაირა მხეცაძე**

ვარ ოთხი მცირე წლოვანი (10წ, 3წ, 2წ, 1 თვის) შვილის დედა. ვცხოვრობ ქალაქ ქუთაისში. მყავს მეუღლე. მივმართე სოციალური დახმარების განყოფილებას, სადაც მითხრეს, რომ ერთჯერადი დახმარების გარდა (200 ლარი) სხვა რაიმე არ გეკუთვნისო. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა და რა შეღავათებით შემიძლია ვისარგებლო. მეკუთვნის თუ არა ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია დ ავის უნდა მივმართო ამასთან დაკავშირებით.

ქალბატონო ნაირა,

აღნიშნულ საკითხზე რაიმე საკანონმდებლო აქტი მიღებული არ არის. ხოლო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებს აქვთ რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებული, შეგიძლიათ მიმართოთ მათ განცხადებით, რომელიც, თანახმად ზოგად ადმინისტრაციული კოდექსისა, ვალდებულია გასცეს ინფორმაცია.

**აბელი ჩხაიძე**

თბილისის ტერიტორიაზე, თითქმის ყველა რაიონში ე.წ. "ღარიბთა უბანია", სადაც განთავსებულია მრავალრიცხოვანი უნებართვო (დაუკანონებელი) მშენებლობები, რომელთა 90-95% გაუფორმებელია. ამ მშენებლობათა მაცხოვრებელს უამრავ უხერხულობებთან აქვთ საქმე საყოფაცხოვრებო პროცედურების შესრულებისას, მოუგვარებელია მათი საპასპორტო რეგისტრაციის, მიწათმფლობელობის, სხვადასხვა გადასახდელ-მოსაკრებელთა გადახდისა და სხვა საკითხები. ერთ-ერთი ასეთი მაცხოვრებელი გახლავართ მეც. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ დავიკანონოთ უნებართვოდ აგებული ნაგებობა და ეზოს მიწის ნაკვეთი. მიგვითითეთ, რა კანონიერი გზები არსებობს ამის მისაღწევად. სახლ-კარი, რომლის დაკანონებასაც ვლამობ, შევიძინე 1 წლის წინ შინაურული ხელწერილის (მეზობლების დასწრებითა და ხელმოწერით) გაფორმებით. პირვანდელი (ამშენებელი) პატრონის ამჟამინდელი ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია, 40-ზე მეტი წლის წინ წასულია რუსეთში, სახლ-კარი მის სახელზეა დარეგისტრირებული ტექ.აღრიცხვის ბიუროში.

ბატონო აბელი,

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 183. უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები**

1. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს.

2. საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი.თუ ერთ-ერთი მხარე მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს ამის შესახებ.

ამრიგად, არა გაქვთ რა კანონის მოთხოვნის დაცვით შეძენილი ქონება, თქვენ არ ჩაითვლებით მის მესაკუთრედ ( სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება**

1. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.).

ხოლო სახლ-კარი და მიწის ნაკვეთი, თუ იგი იყო თქვენს მიერ მითითებული პირის საკუთრებაში, საჭიროა მასთან გაფორმდეს ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო თუ აღნიშნული სახლ-კარი და მიწის ნაკვეთი იყო მის მფლობელობა-სარგებლობაში, საჭიროა ჯერ მან დაიკანონოს ისინი. ხოლო იმ პიროვნებას, ვისგანაც იყიდეთ აღნიშნული სახლ-კარი და ეზო, თუ არ არის დარეგისტრირებული ტექ. ბიუროში, არ ექნებოდა უფლება გაეყიდა იგი. თქვენ კი მას შეგიძლიათ მოსთხოვოთ მიცემული თანხა თანახმად სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა:

**მუხლი 976. ვითომ-კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები**

1. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ:

ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;

**ალექსი ბეჟიაშვილი**

2003 წლის 25 ოქტომბერს მაღაზია "თერგიდან" შევიძინეთ 10.0 ათასი ლარის საქონელი. საქონლის ყიდვა დამოწმებულია საგადასახადო ანგარიშფაქტურით, რომლის მიხედვითდ დ.ღ.გ.-მ შეადგინა 1667 ლარი. 2003 წლის 9 დეკემბერს საგადასახადო ინსპექციიდან (მთაწმინდა-კრწანისის რაიონი) მოგვივიდა საგადასახადო შეტყობინება ნომერი 827, რომლითაც დაგვავალეს გადაგვეხადა ზემოაღნიშნული დ.ღ.გ.-ს თანხა(1667ლ.) ხელმეორედ, ვინაიდან გააუქმეს ზემოაღნიშნული ანგარიშფაქტურა. გაუქმების მოტივი ყოფილა ის, რომ მაღაზია "თერგს" ჰქონია დავალიანება. გაგვიმარტეს, რომ აღნიშნული ანგარიშფაქტურით განხორციელებული დ.ღ.გ.-ს ჩათვლის აღდგენა მოხდებოდა გამომწერის მიერ ბიუჯეტის დავალიანების დაფარვის შემდეგ, რაც დღემდე გადაუხდელია. მაღაზია "თერგს" არავინ არ ავალდებულებს დავალიანების დაფარვას. შედეგი ისაა, რომ დაზარალებულები ჩვენ დავრჩით, საქონლის ყიდვის მომენტში ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ მაღაზია "თერგს" ჰქონია დავალიანება.

გთხოვთ, გაგვიმარტოთ, რამდენად კანონიერია საგადასახადო ინსპექციის ქმედება ჩვენს მიმართ და როგრ მოვიქცეთ, რათა დავიბრუნოთ ზედმეტად გადახდილი თანხა.

ბატონო ალექსი,

1997 წლის საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, დ.ღ.გ.-ს გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა გამყიდველს. ხოლო გადაიხადეთ რა Aაღნიშნული თანხა, 114-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად (დ.ღ.გ.-ს ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დ.ღ.გ.-ს თანხა), თქვენ ჩაითვალეთ მის გადამხდელად. საგადასახადო ორგანო კი საგადასახადო კოდექსის თანახმად ვალდებულია უზრუნველყოს გადასახადების ამოღება.

# ერთ ენაზე მოსაუბრენი

ნათია ვადაჭკორია

"კვარტეტის, საზოგადოდ კამერული ანსამბლის მუსიკა განსხვავებული სფეროა, განსხვავებული მუსიკალური აზროვნებაა. კვარტეტი ესაა ოთხი ადამიანის საუბარი ერთმანეთში..."

სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის პირველი ვიოლინოს - კონსტანტინე ვარდელის ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება კვარტეტის წევრების შემოქმედებას და მათ ერთმანეთთან ურთიერთობას.

როგორც ამბობენ, საკვარტეტო ჟანრი კამერული მუსიკის საუკეთესო ჟანრად ითვლება, თუმცა შერეული ჟანრებიც არსებობს - ფორტეპიანოს ან სხვა ინსტრუმენტის თანხლებით, მაგრამ სიმებიანი კვარტეტი მუზიცირების ყველაზე დახვეწილი ფორმაა. სწორედ ამ ტრადიციას არ ღალატობენ სახელმწიფო კვარტეტის წევრები, რომელთაც ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობის მოპოვების შემდეგ - 1972 წლიდან თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარეს.

1993 წლიდან კი კვარტეტი გერმანიის ქალაქ ინგოლშტატში მოღვაწეობს. ამის მიუხედავად, კვარტეტის წევრები - კონსტანტინე ვარდელი (პირველი ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილი (მეორე ვიოლინო), ნოდარ ჟვანია - (ვიოლა) და ოთარ ჩუბინიშვილი (ჩელო), თავიანთი შემოქმედების ქართველო მსმენელის საზიარებლად ყოველ წელს, რამდენჯერმე ჩამოდიან საქართველოში.

ამჯერადაც, კვარტეტის წევრებთან ჩვენი შეხვედრის და მათ რეპეტიციაზე დასწრების მიზეზიც მორიგი კონცერტი გახდა. კერძოდ, დღეს, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, კამერული მუსიკის საღამო გაიმართება, რომელზეც კვარტეტის წევრები შეასრულებენ დიმიტრი შოსტაკოვიჩის მეორე კვარტეტს ლა მაჟორი (თხზ 71) და საკვარტეტო მინიატურებს.

უფრო კონკრეტულად დღევანდელი კონცერტის შესახებ ნოდარ ჟვანია გვესაუბრება: "39 წლის მანძილზე როგორი შემადგენლობითაც ვუკრავდით, იმავე შემადგენლობით ვმოღვაწეობთ ახლაც. ჩვეულებისამებრ უსასყიდლოდ ვუკრავთ, თუმცა, ყველაზე სასიამოვნო წუთებია, როცა საკუთარ სახლში უკრავ, თბილისთან, მეგობრებთან შეხვედრა დიდი სიამოვნებაა. ჯერჯერობით კიდევ შემიძლია დაკვრა.

გასულ კვირას, 24 მარტს, ქუთაისის კონსერვატორიის დარბაზში გვქონდა კონცერტი ზუსტად ამავე პროგრამით. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ საშინელ პირობებში, სიცივესა და სიბნელეში, დარბაზი სავსე იყო მსმენელით. არ შეიძლება არ დავაფასო ხალხის ამხელა სიყვარული. დღევანდელ საკონცერტო პროგრამაში, გარდა შოსტაკოვიჩის და ჰაიდნის კვარტეტებისა, საკვარტეტო მინიატურებიც შედის, რომლის დროსაც შესრულდება სულხან ცინცაძის, გიორგი ჩუბინიშვილის და ამერიკული პიესები კვარტეტისათვის.



ხუმრობით თუ ვიტყვით, კარგია მუზიცირება, ყველამ რომ ეს საქმე აკეთოს, მშვიდობა იქნება. არ შეიძლება გაჩერება და პოლიტიკაზე გაუთავებელი საუბარი. მუსიკოსისთვის მარტო თბილისში მოღვაწეობა არ არის საკმარისი. უცხოეთში წასვლით კვარტეტიც გადავარჩინეთ და ჩვენი შემოქმედებაც. ყოველთვის ფორმაში ვართ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ვუკრავთ, შემდეგ მაღალ შემოქმედებით დონეზე ჩამოვდივართ და გვსურს ქართველ მსმენელსაც ვასიამოვნოთ. შარშან, ფესტივალზე "შემოდგომის თბილისზე" ვიყავით მიწვეულები. თანდათან მდგომარეობაც უმჯობესდება - ნინო ანანიაშვილის წყალობით ოპერისა და ბალეტის თეატრიც ამოძრავდა, მანანა დოიჯაშვილმა კი არა მარტო შეინარჩუნა თბილისის კონსერვატორია, არამედ მაღალ დონეზე განაახლა. ამ მძიმე პირობებში შემოქმედთა მოღვაწეობა გმირობის ტოლფასია".

მომავალ წელს, სახელმწიფო კამერულ კვარტეტს არსებობის 40 წელი უსრულდება. კვარტეტის წევრები იმედოვნებენ, რომ იუბილეს სათანადოდ აღნიშნავენ.

გამორჩეული, ელიტარული ჟანრის წარმომადგენლები, კვარტეტის საოცარი შერწყმის წყალობით, დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამ ჟანრის შემქმნელის - ჰაიდნის ნაწარმოებს და ქართველი მსმენელისათვის საყვარელ სხვა მუსიკასაც ააჟღერებენ.

# თიხაში გაცოცხლებული ყვავილები

თამარ დვალი

გუშინ "ქალთა საერთაშორისო ასოციაციის" ხელშეწყობით, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მოეწყო ნანა მჭედლიშვილ-თედიაშვილის ნამუშევრების გამოფენა. ასოციაციის წევრები ძირითადად დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი ქალები არიან. ისინი ხშირად მართავენ საქველმოქმედო აქციებს, შემოსული თანხით კი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მიწისძვრით დაზარალებულებსა და იმ ბავშვებს ეხმარებიან, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ.

ნანა მჭედლიშვილ-თედიაშვილი პროფესიით ოფთალმოლოგია. როგორც თავად ამბობს, ყვავილებით მისი გატაცება ოჯახის ტრაგედიასთან არის დაკავშირებული. 1993 წლის 23 სექტემბერს თედიაშვილების ოჯახმა აფხაზეთის ომში ვაჟი დაკარგა. იმ დღიდან ქალბატონი ნანა სახლში ჩაიკეტა და, მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, თიხისგან ყვავილების ძერწვა დაიწყო. დღეს მის კოლექციაში თითქმის ყველა სახეობის ყვავილია. თიხისგან ნაძერწ ყვავილებს ბუნებრივი ფორმა და ფერი აქვთ.

**"ჩემი ყვავილები ჩემი ოჯახის ტრაგედიასთან არის დაკავშირებული. 1993 წელს, როდესაც ჩემი ვაჟი აფხაზეთის ომში დაიღუპა, თბილისში საშინელი სიბნელე და არეულობა იყო. ამ პერიოდში ჩემი მეორე ვაჟი საზღვარგარეთ სწავლობდა, მეუღლეც წასული იყო და, ფაქტობრივად, მარტო ვიყავი. დეპრესიაში რომ არ ჩავვარდნილიყავი, ყვავილების ძერწვა დავიწყე. მანამდე საერთო არაფერი მქონია ხელოვნებასთან, თუმცა, ყვავილები ყოველთვის მიყვარდა. თავიდან ძერწვა ჩემთვის მხოლოდ ყურადღების გადატანის საშუალება იყო, შემდეგ კი ძალიან გამიტაცა,"** - გვითხრა ნანა მჭედლიშვილ-თედიაშვილმა.

12 წლის განმავლობაში ქალბატონ ნანას ყვავილების დიდი კოლექცია შეუგროვდა. მისი შემოქმედების პირველი შემფასებლები და ხელშემწყობები მისი ოჯახის წევრები არიან. როგორც თავად ამბობს, მას მხოლოდ ყვავილების ძერწვა იტაცებს და არც უცდია სხვა რამე გაეკეთებინა. **"სხვა ნივთების კეთება სიამოვნებას არ მანიჭებს. მე მაქვს ფაიფურის ყვავილების კოლექცია და შეიძლება ამანაც განაპირობა ჩემი დაინტერესება,"** - გვითხრა მან.

ქალბატონ ნანას პირველი ნამუშევარი პატარა ყვავილები იყო, რომელიც გამოწვის დროს გაუტყდა, თუმცა, გადასაგდებად ვერ გაიმეტა. დღეს ეს ყვავილებიც მისი კოლექციის ნაწილია...

# კინოფაკულტეტს ვიდეო-სასწავლო ცენტრი ექნება

კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტს ამიერიდან სასწავლებლის შენობაში საკუთარი დარბაზი ექნება. გუშინ დარბაზის გახსნის ცერემონიას უნივერსიტეტის პრორექტორი გოგი დოლიძე, რეჟისორი რეზო ჩხეიძე და სტუდენტები ესწრებოდნენ.

როგორც გოგი დოლიძემ განაცხადა, 33 წლის განმავლობაში კინოფაკულტეტს დამოუკიდებელი სათავსო პირველად გაუჩნდა. "ეს იქნება ჩვენი ვიდეო-სასწავლო სტუდია, სადაც ფილმებს გადავიღებთ, დავამონტაჟებთ, გავახმოვანებთ. პრაქტიკული თვალსაზრისით ამას სტუდენტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს დარბაზი ადრე ნაგავსაყრელი იყო, მისი რემონტი კი მთლიანად ფაკულტეტის სტუდენტების შემოწირულობებით გახდა შესაძლებელი. ჯერჯერობით აპარატურა არ გვაქვს, თუმცა ამასაც მალე შევიძენთ", - აღნიშნა გოგი დოლიძემ.

რეზო ჩხეიძემ კინოფაკულტეტს საჩუქრად განათების აპარატურა გადასცა. ***მედიანიუსი***


სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს პოტენციურ, თამამ, მონაწილეებს კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი


## TV პროგრამა

31 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ხალხის პირისპირ **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "მამა სერგი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **18.55** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ადამიანის სხეული" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "საყვარელი" (18) (ტონი ლენგი) **02.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გდაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი.. **22.05** აკუსტიკა. **24.30** ჩემი კერპი. მხ ფილმი. რეჟისორი გიიომ კანე. 2002. 04.20გველეშაპი. ტელესერიალი.

### JJST

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### (პირველი არხი)

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ვარსკვლავის დისკის საიდუმლო" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - ჰენკსი, ჯეკსონი **16.30** დოკ. ფილმი "ჰოკაიდო - ზეციური ბაღნარი" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "არაბული ღამეები" მე-3ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შედევრის პირადი ცხოვრება" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ნერგები" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00, 17.20, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ტაბლოიდი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "ღირსეული მეომრები" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "რამდენიმე სურათი თეატრის ცხოვრებიდან", "ვალი". **23.45** მხ. ფილმი "მოდერატო კანტაბილე" (გ) (ჟანა მორო)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "მუტანტი ფუტკრები" **21.45** კინოსეანსი "ინდოჩინეთის თოვლი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** ვაკაჭი-ნიუსი **12.10** სპ. პროგრამა "ასი" **12.40, 16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "უმაღლესი გონი" (ე. რობერტსი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 05.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10, 05.35** იმედის მელოდიები **17.25** "მერიდიანი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "ათასიდან ერთი შანსი" **23.45** მხ. ფილმი "არსად აფრიკაში" (15) (მ. ნინიძე) **02.35** მხ. ფილმი "დოგვილი" (18) (ნ. კიდმანი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი"ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "ვან გოგი" **11.30** სათავგ. ფილმი "სირანო დე ბერ:ერაკი" **13.50** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა" **17.55** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი"ჩემი სამი და" **21.05** თრილერი "განცხრომის ქუჩა" **22.35** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** რეკლამა, ანონსი **23.20** ლიტერატურულ-შემეც. გადაცემა "მამულიშვილები" (ავტორი თ. მიქაძე) **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "მკვლელობების ჩამონათვალი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БРЕЖНЕВ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Арчил Гомиашвили в комедии **"12 СТУЛЬЕВ" 1**-я серия. **13.50** Док. фильм "Алексей Косыгин". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ". 16.30** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Ночные ястребы". **1**-2 с. **19.50** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"БРЕЖНЕВ".** Закл. серия. **22.40** Фильм о фильме. "Брежнев: кадры решают все...". **23.10** "Человек и закон" **00.00** Тайная история искусств. "Все на продажу". **00.40** "Гении и злодеи". **01.10** Дэнни Де Вито в комедии **"ДЖЕК - МЕДВЕЖОНОК".** Жизнь телеведушего шоу ужасов Джона Лири была радостной и счастливой до того страшного дня, когда его жена разбилась в автокатастрофе. После ее гибели Джон остается один с двумя сыновьями. Хозяйственные заботы и служебные неурядицы постепенно подрывают его дух, и бедняга начинает пить. Неприятности нарастают как снежный ком: Джеку грозит увольнение, а родители жены хотят забрать мальчиков себе. Но все проблемы меркнут, когда сумасшедший сосед-нацист похищает его младшего сына Дилана... **03.05** Крис Клайн в фильме **"ЗДЕСЬ, НА ЗЕМЛЕ" 04.50** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА".** Закл. серия. **05.15** Неизвестная планета. "Лики Туниса".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: АГЕНТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Тайны разведки. **10.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 11.55** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 2-й. **"МИРНОЕ ЛЕТО 21-ГО ГОДА". 1**-я серия. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 20.45** Сериал **"СЛЕПОЙ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.20** Бильярд. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.




## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
კამერული მუსიკის კონცერტი
ცინცაძის სახელობის სახელმწიფო კვარტეტი
პროგრამაშია: ჰაიდნი, შოსტაკოვიჩი და საკვარტეტო მინიატურები
დას: 19:00 სთ;
ფასი: 4-დან 7 ლარამდე.

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა-2005"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პეტრე ჩაიკოვსკი
"გედების ტბა"
ბალეტი ორ მოქმედებად
(ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა)
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნანა ჯანელიძე
"FM 90-იანი ადამიანის ხმა"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
(ოთხი ერთმოქმედებიანი პიესა)
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 14:00; 14:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 13:00; 17:30; 19:30; 21:30 სთ.

"ჰიჩი"
დას: 15:00 სთ.

## გალერეები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**TMS**
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრების გამოფენა
"შრი-ლანკა - უბედურების ზონა"

**ქარვასლა**
გამოფენა "მიირთვით გემრიელად"
გახსნა: 16 საათზე.

**ეროვნული გალერეა**
ვალერი მარგიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# არასდროს არ არის გვიან



ირლანდიის უნივერსიტეტი მსახიობ მარტინ შინს განათლების მისაღებად იწვევს. ჰოლივუდელთან გამოხმაურება პროფესორებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც შინმა ბრიტანულ "დეილი მეილს" განუცხადა, სამსახიობო კარიერის დასრულების შემდეგ განათლების მიღება მსურსო. "საშუალო სკოლის დიპლომიც კი არ ამიღია და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს მჭირდებოდა. ზაფხულში 65 წლის გავხდები და მართალია, რაღაც სერტიფიკატები მიღებული მაქვს, მაგრამ მსახიობობის დაწყების დღიდან სრულყოფილ განათლებაზე ოცნებაც შევწყვიტე", - დასძინა მან.

უკვე გადაწყვეტილია, რომ გალვეიში, ირლანდიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შინს ინგლისური ლიტერატურის, ფილოსოფიისა და თეოლოგიის სწავლა უნდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ მსახიობს გულითადად იწვევენ. "ჩვენ ჯონ ჰიუსტონის სახელობის კინოსა და ციფრული მედიის ფაკულტეტიც გვაქვს, მისი მფარველი ანჯელიკა ჰიუსტონია. თუ შინს ჰოლივუდთან კონტაქტის გაწყვეტა არ სურს, მიზეზად ესეც გამოდგება".

მეორე მიზეზი ირლანდიაში ჩასასვლელად, ალბათ, სისხლის ყივილია. მარტინ შინის დედა წარმოშობით ირლანდიელი გახლავთ. სანამ მსახიობი გალვეის მწვანეში ჩაფლულ გარემოში ლიტერატურასა და ფილოსოფიას ჩაუღრმავდება, მაყურებელი მის როლებს გაიხსენებს "განდიში" თუ "აპოკალიფსში".

# კონცეპტუალისტი ახალი კონცეფციებით



დემიენ ჰირსტი არც ფუნჯის განსაკუთრებული მოსმის მანერითაა ცნობილი და არც მშვენიერი პეიზაჟებით. მას იცნობენ, როგორც მხატვარს, რომელიც მკვდარ ცხოველებს ფორმალდიჰიდში აწყობს და ჭერში ინახავს. მის ფანებს ეს მოსწონთ. ამბობენ, რომ აზროვნების ახალი ეტაპია და ახალი დროის ორიგინალური სიმბოლიკა. თუმცა, ახლა თვითონ დემიენ ჰირსტი ამტკიცებს საწინააღმდეგოს და ნიუ იორკში გამოფენის გახსნაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ზოგიერთი მისი ქმნილება "სულელური"და "სამარცხვინო" იყო, და იქვე დასძინა: "ცხადია, ყველაფერი, რასაც აკეთებ, შედევრი ვერ იქნება".

ჰირსტს მაგალითებიც აქვს: შუაზე გაჭრილი ღორი, რომელიც ბეკონის მჭრელივით მოძრაობს ტარზე - "ცოტათი სულელურია".

მაგრამ მხატვარი იმაშიც არის დარწმუნებული, რომ მისი ხელოვნების ნაწილი სიცოცხლეს გააგრძელებს და 200 წლის შემდეგაც გამოიფინება მუზეუმებში. "ჩემი აზრით, ვეშაპი მართლაც მნიშვნელოვანია ამ მხრივ. მას უბრალოდ მეტი სიყვარული და მზრუნველობა სჭირდება".

ეს ვეშაპი ჰირსტმა 1991 წელს გააკეთა. რამდენიმე ხნის წინ კი ექსპონატი თანამედროვე ხელოვნების ცნობილმა კოლექციონერმა ჩარლზ საატჩიმ ამერიკელ კლიენტს 13 მილიონ დოლარად მიჰყიდა.

რაც შეეხება ნიუ იორკში გახსნილ გამოფენას, ის ჰირსტის უახლეს კოლექციას ეძღვნება. ზეთში შესრულებულ ნახატებს საერთო სათაური The Elusive Truth, ანუ მოუხელთებელი ჭეშმარიტება ჰქვია და უკვე მწვავე კრიტიკას იმსახურებს იმის გამო, რომ ჰირსტმა მათი დახატვა ასისტენტებს დაავალა. საწინააღმდეგო აზრს მხატვარი ასე უპირისპირდება: "არ ვეთანხმები აზრს, რომ თითქოს მხატვრული იდეა აუცილებლად მხატვარმა უნდა განახორციელოს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ოდნავ ძველმოდური მეჩვენება".

# კინოლეგენდა რალიზე გრძელდება



სტივ მაქუინი ლეგენდაა, მისი შვილი ჩედ მაქუინი კი ამ ლეგენდის მოკრძალებული აჩრდილი. 44 წლის ჩედი დიდი ხანია, ცდილობდა მამის ორი გატაცება - რალი და მსახიობობა შეეთავსებინა ერთმანეთთან, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ორ ფრონტზე ბრძოლა აღარ შეუძლია:

"მსახიობობა უკვე აღარ მიტაცებს. ამიტომ გადავწყვიტე, სპორტულ მანქანებს მივუძღვნა მთელი თავი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ Grand-Am-ის სერიაში წარმატებას მივაღწიო. მთელი ძალით ვვარჯიშობ, ჩემს ასაკში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სპორტს ისე აღვიქვამ, როგორც ჩემს უკანასკნელ შანსს და ბედნიერიც ვარ, რომ ეს შანსი მაქვს".

ახლახან სტივ მაქუინის დაბადების დღე იყო. მისი 44 წლის ვაჟი კი გადასაღები მოედნიდან სამუდამოდ გამოვიდა და სპორტულ მანქანაში გადაჯდა. ამ შაბათკვირას ის კალიფორნიის გზატკეცილებზე 400-კილომეტრიან "გრენდ ამერიქანის" რალიში მიიღებს მონაწილეობას. მისი მიზანია ლე მანის 24-საათიან რალიშიც გაიმარჯვოს. ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მამა - სტივი მაქუინი ხომ 1971 წელს გამოსულ ამავე სახელწოდების ფილმში თამაშობდა.

რაც შეეხება კინოკარიერას, მისი ყველაზე ცნობილი ფილმები The Karate Kid-ის სერიები იყო. ის ძირითადად მეორეხარისხოვან როლებში სხვადასხვა ბლოკბასტერებშიც ხშირად ჩნდებოდა.

# ხომ არ ვიცეკვოთ?

"ხომ არ ვიცეკვოთ?" - ამ კითხვას ჰოლივუდურ ფილმში ჯერ ჯენიფერ ლოპესი სვამს, შემდეგ რიჩარდ გირი და მერე ყველანი, სიუზენ სარანდონთან ერთად დიდხანს ცეკვავენ. ფილმი ამერიკელებმა იაპონური ბლოკბასტერის მიხედვით გადაიღეს და ამიტომაც სურათის იაპონურმა პრემიერამ განსაკუთრებული პომპეზურობით ჩაიარა. გირი პრემიერ-მინისტრმა ძუნიშირო კოიძუმიმაც მიიღო. როდესაც გირმა პრემიერის მიწვევა მიიღო, იხუმრა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიდოდა პრემიერთან, თუ ცეკვისას თვითონ შეასრულებდა წამყვან პარტიას.

მოკლედ, შეხვედრა შედგა და პრესას კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო მიეცა. იაპონელები საკუთარ პრემიერს ხომ გარეგნობით ისედაც გირს ამსგავსებენ და ამიტომ მათი ერთად ნახვა განსაკუთრებულად გაუხარდათ. "ორმა გირმა" გულითადად ისაუბრა კინოზე და ძველ იაპონურ დედაქალაქ კიოტოზე - გაირკვა, რომ ამერიკელ გირს ეს ქალაქი განსაკუთრებულად უყვარს.

სხვათა შორის, ძუნიშირო კოიძუმი ჰოლივუდის ელიტის წარმომადგენელს პირველად არ ხვდება. მან პირადად უმასპინძლა ტომ კრუზსაც, როცა ის "უკანასკნელი სამურაის" პრემიერისთვის ჩავიდა ტოკიოში. მაშინ პრემიერმა და კრუზმა ერთად იმღერეს ელვის პრესლის I Want You, I Need You, I Love You. თუმცა, როგორც ცნობილია, ოფიციალური შეხვედრის დროს კითხვის - "ხომ არ ვიცეკვოთ?" - მიუხედავად, კოიძუმისა და რიჩარდ გირს არ უცეკვიათ.




## იყიდება

ურეკში კაფე-ბარი სასტუმრო „მთის ბროლის“ პირდაპირ, 350 კვ.მ, მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 899 16 28 67 , ამირანი




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.